ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 აგვისტო ოთხშაბათი 2011

№ 192 (13489) ფასი 80 თეთრი

სოხუმი ამერიკული ძრაპით

9

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პირსი და როზინსონი ერთი წლით გვეწვევიან

მოვიგოთ ისრაელი, ნაკრებს ახლა ლიგა ელის

8-9

5

ესპანური სუპერდაჭერობანა

რეალი დაეწევა თუ ბარსა გაასწრებს?

ქართული ფეხბურთი

● გადადგომა

გეგუჩაძე ზესტაფონს დაემშვიდობა ანუ ზესტაფონო, გშორდები!

ახლა ამის დრო არ იყო!

თუ სხვანაირად არ შეიძლებოდა, ბრიუგეს მერე სჯობდა...

"ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრაა, პროგრამა-მინიმუმი კი – ევროპის ლიგის ჯგუფურ რაუნდში თამაში", - ივლისში "ლელოსთვის" მიცემულ ინტერვიუში ასე ჩამოაყალიბა **გია გეგუჩაძემ** "ზესტაფონის" საევროტურნირო ამოცანა. ავსტრიულ "შტურმთან" მარცხით საქართველოს ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგას დაემშვიდობა, თუმცა ევროპის ლიგის პლეი ოფში გადაინაცვლა, საიდანაც ჯგუფამდე ერთი ნაბიჯია გადასადგმელი. "ზესტაფონი" კი გეგუჩაძის მიერ პროგრამა-მინიმუმად განსაზღვრული მიზნისთვის უკვე მის გარეშე იბრძოლებს.

გუშინ თავად გეგუჩაძემ განაცხადა, რომ "ზესტაფონი" საკუთარი სურვილით დატოვა და ამასვე აცხადებს კლუბიც. ახალმა ამბავმა "ზესტაფონის" და მთლიანად ქართული ფეხბურთის ქომაგებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და გაჩნდა კითხვებიც – იყო კი ეს გეგუჩაძის გადაწყვეტილება? ან თუ წასვლა თვითონ გადაწყვიტა, რამ მიიყვანა ამ ნაბიჯამდე?

"კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან სრულ ნდობასა და მხარდაჭერას ვგრძნობდი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის გამო საკუთარი თავი დავსაჯე", - ესეც გეგუჩაძის სიტყვებია, ოღონდ გუშინდელი. კარგია, რომ იგი ბევრი ქართველი კოლეგისგან განსხვავებით, მარცხზე პასუხისმგებლობას არ გაურბის, მაგრამ ვერაფრით გაგვიგია, რატომ თქვა გეგუჩაძემ უარი თუნდაც პროგრამა-მინიმუმისთვის ბრძოლაზე. "ზესტაფონის" ჩემპიონთა ლიგაში თამაში მთელი საქართველოსთვის უდიდესი ზეიმი იქნებოდა, მაგრამ განა ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპს ჩვენი დასაწუნი სჭირს რამე? დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ხომ ჩვენი კლუბი ჯგუფამდე მხოლოდ ერთხელ მივიდა – 2004 წელს თბილისის "დინამომ" ამ წარმატებას სწორედ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მიაღწია.

ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში "ზესტაფონი" ქუთაისს გეგუჩაძის გარეშე ეწვია. ოფიციალური ინფორმაციით, გუნდის მაშინდელი მთავარი მწვრთნელი შეუძლოდ იყო, რამაც ეჭვი გააჩინა – საქართველოში ხომ მწვრთნელის "შეუძლოდ" ყოფნა მის წასვლას (ან გაშვებას) მოასწავებს...

ფეხბურთში მწვრთნელის შეცვლა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რატომ დარჩა კლუბი მთავარი მწვრთნელის გარეშე მაინცდამაინც ახლა, უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მატჩამდე ორი დღით ადრე. ნუ ვიდავებთ იმაზე, რომ მსგავსი ფაქტი დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი გუნდის როგორც სპორტულ, ასევე, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე.

ძალიან გვინდა, "ზესტაფონმა" ბელგიური ბარიერი გადალახოს, მაგრამ მთავარი მწვრთნელის ასეთ დროს წასვლა გუნდის წისქვილზე წყალს ვერაფრით დაასხამს. წესით, ბიჭები მომხდარით გაოგნებულები უნდა იყვნენ და არ გვინდა, ასეთი მნიშვნელოვანი მატჩის წინ კიდევ მეტად დავთრგუნოთ. ასე რომ, დაველოდოთ "ბრიუგესთან" შეხვედრას, რომლის შესახებაც, იმედია, დადებითზე მოგვიწევს ნერა.

შეგახსენებთ, სწორედ გეგუჩაძის ხელმძღვანელობით "ზესტაფონი" პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. ეს სპეციალისტი ფეროელებს 2008 წლის მიწურულიდან წვრთნიდა და ევროტურნირებზე ყოველწლიურად უკეთეს შედეგებს აღწევდა.

"ზესტაფონის" საევროთასო სტატისტიკას კი უკომენტაროდ შემოგთავაზებთ:

გეგუჩაძემდე

2007 – დამარცხდა ყაზახურ "ტობოლთან" და ინტერტოტოს თასს **პირველივე ეტაპიდან** გამოეთიშა

2008 – დამარცხდა უნგრულ "დიორი ეტოსთან" და უეფას თასს **პირველივე ეტაპიდან** გამოეთიშა

გეგუჩაძესთან ერთად

2009 – დაამარცხა ჩრდილოირლანდიური "ლისბურნი", დამარცხდა შვედურ "ჰელსინგბორგთან" და ევროპის ლიგას **მეორე ეტაპიდან** გამოეთიშა

2010 – დაამარცხა სანმარინოული "ფაეტანო", სლოვაკური "დუკლა", დამარცხდა უკრაინულ "კარპატისთან" და ევროპის ლიგას **მესამე ეტაპიდან** გამოეთიშა

2011 – ჩემპიონთა ლიგაზე დაამარცხა მოლდოვური "დაჩია", დამარცხდა ავსტრიულ "შტურმთან" და ევროპის ლიგის პლეი ოფში (ანუ **მეოთხე ეტაპზე**) ბელგიურ "ბრიუგეს" შეხვდება.

ლევან ჯანელიძაშვილი

● დინამო

გარსიამ რობერტინიო თბილისში დატოვა

ხვალ 18 აგვისტოს, თბილისური „დინამო" უეფას ევროპის ლიგის პლეი ოფის პირველ .შეხვედრას ათენში ოლიმპიურ სტადიონზე „აეკის" წინააღმდეგ გამართავს. დინამოელები საბერძნეთის დედაქალაქში ჩარტერული რეისით გაემგზავრნენ, ათენში კი სასტუმრო „Athens Ledra Marriott Hotel"-ში დაბინავდებიან.

სამწუხაროდ, წინა შეხვედრაში "რეიკავიკთან" მიღებული წითელი ბარათის გამო დისკვალიფიცირებულია **ჯაბა ჯილაური**, შემადგენლობაში არ არის ბრაზილიელი ფორვარდი **რობერტინიო**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" განაცხადშიც არ იყო.

დინამოელები ათენში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრნენ:

მეკარეები: გიორგი ლორია, გიორგი ნადირაძე

მცველები: დავით ოდიკაძე, ირჟი ჰომოლა, ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი, გიორგი რეხვიაშვილი

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთურმანიძე, ალეკო კოშკაძე, ჩისკო, მიკელ ალვარო, კოტო, გოგა ბერაია, ნიკა ფირცხალავა

თავდამსხმელები: გიორგი კახელიშვილი, იაგუე, ირაკლი ლექვთაძე.

"დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძის** ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** ათენში გუნდთან ერთად წაიყვანა **ლევან ხმალაძე**, რომელსაც ტრავმის გამო თვე-ნახევარი გაუცდა. ლევანი ათენშიც ვერ ითამაშებს, მაგრამ გარსიამ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრის დროს მისი გუნდთან ერთად ყოფნა საჭიროდ ჩათვალა.

ათენში გამგზავრებამდე "დინამოს" ვებგვერდმა ფეხბურთელებს კომენტარი ჩამოართვა.

ალექს გარსია: *"ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია, პლეი ოფის შეხვედრაში ყველაფერი ორი მატჩის ჯამში გაირკვევა, ვეცდებით, ფეხბურთით თავადაც ვისიამოვნოთ და "დინამოს" გულშემატკივრებიც გავახაროთ".*

ლევან ხმალაძე: *"ტრავმის გამო თვე-ნახევარი გამიცდა, თბილისში დაბრუნებისთანავე შევუდგები ვარჯიშს და იმედია, ორ კვირაში ოპტიმალურ ფორმას აღვიდგენ. ძალიან მიხარია, რომ ასეთი პრინციპული მატჩის დროს გუნდთან ერთად ვიქნები".*

გიორგი ლორია: *"ჩემპიონატში ორი რთული მატჩი მოვიგეთ, უეფა ზეც წარმატებულად ვითამაშეთ და ყველანი იმედიანად ვართ განწყობილნი".*

ნიკა ფირცხალავა: *"რთულ თამაშს ველით, ევროპის ლიგაში მოსახვედრად მცირე ნაბიჯი დაგვრჩა და სასურველი შედეგის მისაღწევად მაქსიმალურად უნდა მოვინდომოთ".*

ლევან კაკუბავა: *"ვფიქრობ, უკვე ისეთ ეტაპზე ვართ, რომ ჯგუფურ ეტაპში გასვლის უნარი შეგვწევს. გამარჯვებულის ვინაობა განმეორებით მატჩში გაირკვევა. იმედია, თბილისში გულშემატკივრებთან ერთად შევძლებთ მიზნის მიღწევას".*

შეგახსენებთ, რომ 18 აგვისტოს აეკისა და "დინამოს" შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „საზოგადოებრივი მაუწყებელი" 22:45 საათზე გეგმავს.

მერაბ მამულაშვილი

● ქართველი მწვრთნელი ლატვიაში

შოთა მახარაძე მამის კვალს გაჰყვა

როცა სისტემა ტალანტებზეა აწყობილი და არა პროტექციაზე

ცნობილი ქართველი სპეციალისტის თემურ მახარაძის ვაჟი, შოთა მახარაძე გასულ წელს "დაუგავას" საფეხბურთო აკადემიაში მიიწვიეს, შემდეგ კი "დაუგავას" დუბლშემადგენლობაში გადაიყვანეს. როგორც ჩანს, შვილი მამის კვალზე მიდის.

ზაფხულში "დაუგავას" მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტია** თანამდებობიდან გადააყენეს, მაგრამ "სეკვესტრი" მახარაძეს არ შეხებია. მეტიც, მას ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს:

- ერთი თვის წინ კლუბმა კონტრაქტი გამიხანგრძლივა. ახლა "დაუგავას" საფეხბურთო აკადემიის მთავარი მწვრთნელი ვარ, დუბლში კი კირილ კულბატოვთან ერთად ვმუშაობ. მცირე ხნის წინათ, ესტონეთში დიდი საერთაშორისო ბავშვთა ტურნირი "ტალინ კაპი" გაიმართა, სადაც რვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩვენი აკადემიის ოთხმა გუნდმა გაიმარჯვა. ყველა გაოცებული დარჩა, გუნდის ხელმძღვანელობა კი, ცხადია, კმაყოფილია. არადა, ძლიერი რუსული, ბალტიისპირული და ფინური კლუბები მონაწილეობდნენ.

- "დაუგავაში" რუსი მთავარი მწვრთნელის ლეონიდ ნაზარენკოს დანიშვნით პირადად თქვენთვის რა შეიცვალა?

- ნაზარენკო ცნობილი სპეციალისტია, "ლუჩ ენერგიას" ავარჯიშებდა. ცხადია, არ ვიცოდით, რა დამოკიდებულება ექნებოდა ჩვენ მიმართ. ჩვენდა გასაკვირად, ქართველების მიმართ კეთილგანწყობილია. გუშინ შევხვდით, ვილაპარაკეთ და დუბლებთან უფრო აქტიური თანმშრომლობა სურს. ცხადია, მისი მოსვლით "დაუგავაში" რაღაც შეიცვლება. ბავშვთა ფეხბურთს ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე ისაკოვი კურირებს და ისიც გვენდობა, მიხარია ასეთ ადამიანებთან მუშაობა.

ისიც ფაქტია, რომ შედეგი გვაქვს, პატარა ქალაქის აღზრდილებით დუბლების ჩემპიონატში მესამე ადგილზე მივდივართ და ნაზარენკო მენდობა, არსად გამიშვა და გვერდში დამიყენა. სხვათა შორის, ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი ძირითადში დააწინაურეს, რვა კაცი კი ლატვიის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში თამაშობს. 17-წლამდელთა ნაკრებში ჩვენგან ექვსნი მიიწვიეს და მთელი დაცვის ხაზი "დაუგავას" ბიჭებით დააკომპლექტეს. სხვათა შორის, ეს გუნდი მალე პალანგის საერთაშორისო ტურნირზე ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი საქართველოს ნაკრების ჯგუფში ითამაშებს.

- საინტერესოა, რა პირობებში ვარჯიშობენ "დაუგავას" ბავშვები?

- ყველა პირობებია, კარგი ფეხბურთელები რომ გავზარდოთ. სხვათა შორის, რომ იცოდეთ, არასწორი წარმოდგენები გვაქვს ქართველებს, თითქოს ლატვია არასაფეხბურთო ქვეყანაა. ტალანტებით განსაკუთრებით მდიდარი დაუგავპილსია – ამ ქალაქში გაიზარდნენ ლატვიის ნაკრების წევრები, შვეიცარიული "სიონის" მეკარე ვანინი, ჩვენ რომ გაგვიტანა ცაუნია და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რუდნევიც.

"ტალინ კაპის" ერთ-ერთ ასაკობრივ ტურნირში ფინელები დავამარცხეთ, საკმაოდ კარგად გაწვრთნილი, დისციპლინირებული და თეორიულად მომზადებული გუნდი იყო. ამ კომპონენტებში ჩვენებიც არ მოიკოჭლებდნენ, მაგრამ ტალანტით ჩვენმა ბავშვებმა აჯობეს.

ყველამ იცის, რომ ლატვიელები ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ. არადა, ნიჭიერი ბავშვები ჰყავთ და სხვა სტილის დანერგვა დავიწყე, სულ ბურთით ვავარჯიშებ, ვცდილობ, შემოქმედებითი, შემტევი ფეხბურთი ვათამაშო და ბავშვები ამას საკმაოდ კარგად ახერხებენ.

- უცხოეთში ბავშვები ხშირად დაგვყავთ?

- წელინადში მინიმუმ ორჯერ მაინც, ახლა "ზენიტი" გვესტუმრება, ბავშვები მხოლოდ ასე გაიზრდებიან და უცხოეთში თამაშისას ფსიქოლოგიურად მოღონიერდებიან. მალე სამ ბავშვს "დორტმუნდის" სკოლაში გავუშვებთ სინჯებზე ევროკავშირის გაცვლითი პროგრამებით.

მარტო კარგი მწვრთნელები და პირობები არასაკმარისია, თუ გუნდში ჯანსაღი ვითარება არ სუფევს. აქ არ მოსულა ზარით და ნაცნობობით ბავშვების აყვანა, სისტემა ტალანტებზეა აწყობილი და არა პროტექციაზე. სტრუქტურა ასეთია – კოორდინირებულად მუშაობენ მწვრთნელები, სკაუტები, მატჩების და ტურნირების ორგანიზატორები – ფეხბურთელისთვის მთავარი საბაზისო ვარჯიშები და განათლებაა, შემდეგ რომ არ იყვიროს თამაშისას მწვრთნელმა, გაიქეცი, ბიჭო, და ასეთები.

ბედნიერი ვარ, ასეთ გარემოში რომ ვმუშაობ, მაგრამ გული მწყდება, ამ ყველაფერს საქართველოში რომ არ ვაკეთებ.

- ქართულ ფეხბურთს თვალს თუ ადევნებთ?

- რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, არსებობს ინტერნეტი, ტელევიზიებსაც ვუყურებ და გარკვეული წარმოდგენა გამაჩნია. მიხარია, რომ ბოლო დროს ქართული გუნდები დაწინაურდნენ. წინა წლებში პლეი ოფში ერთი ქართული გუნდის გასვლაც სანატრელი გვქონდა, ახლა ერთდროულად ორი მოხვდა. ლატვიელები ამან გააოცა, გვილოცავენ და ვამაყობ, რომ ჩვენს პირობებში გუნდებმა ამდენი მოახერხეს.

ინტერვიუ ჩამომართვეს და მკითხეს, ვის გულშემატკივრობო. ეგონათ, რომელიმე ევროპულ გრანდს დავასახელებდი, მე კი ვუპასუხე ჩვენს "დინამოს"-მეთქი. ჩამეძია - ჯერ იმიტომ, რომ ჩვენს ეროვნულ სტადიონზე შესვლისას მაჟრჟოლებს, მერე "დინამო" ქართველების სიხარული, ტკივილი და ისტორია არისმეთქი და ჟურნალისტი გაოცებული მიყურებდა. ლატვიელები ევროპის ჩემპიონატზე კი მოხვდნენ, მაგრამ ჩვენნაირი მდიდარი საფეხბურთო ისტორია მათ არ აქვთ და არ იციან, რა სიხარული მოგვიტანა ფეხბურთმა.

- საქართველო-ლატვიის ნაკრებების მატჩი ახლოვდება - რას ფიქრობენ ბალტიისპირელები?

- ჯერ აჟიოტაჟი არ დაწყებულა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პატივისცემით არიან განმსჭვალულნი თემურ ქეცბაიას და საქართველოს ფეხბურთელების მიმართ, იციან, რომ ჩვენი ნაკრები გაძლიერდა. ლატვიასაც არ ჰყავს ურიგო გუნდი, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვი, რომ შარშანდელთან შედარებით უკეთესია. 10 აგვისტოს ფინეთთან რიგაში 0:2 წააგო და აშკარა იყო, რომ ფინელებმა კლასით აჯობეს. თუმცა მაინც ძლიერი მეტოქეა, რადგან დაცვით, ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობს, ჩვენ კი მასპინძლად ვხვდებით და მოსაგებად დიდი მონდომება დაგვჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეჭდვითი და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U17

მაისურაძე პალანგასთვის მზადებას შეუდგა

ვასილ მაისურაძე

ჩვენი ნაკრების თამაშების განრიგი ასეთია:

23 აგვისტო

ლატვია-საქართველო

(თბილისის დროით 13:30 საათი)

24 აგვისტო

საქართველო-აზერბაიჯანი (14:00)

26 აგვისტო

საქართველო-ბელარუსი (14:00)

ფინალური მატჩი 27 აგვისტოს გაიმართება.

"ტურნირი ტრადიციულია და წლეულს უკვე მეთვრამეტედ ტარდება. საქართველოს ნაკრები კი, ამ ტურნირის მუდმივი სტუმარია. ყველაზე დიდ წარმატებას ქართულმა გუნდმა 2009 წელს მიაღწია, როცა გიორგი დევდარიანის გაწვრთნილებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ლიტვაში გამგზავრებამდე 17–წლამდელები გლდანის ოლიმპიური რეზერვების ცენტრში დაბინავდებიან და „ამერის" სტადიონზე ივარჯიშებენ.

დღეისათვის ვასილ მაისურაძემ შეკრებაზე გუნდის გაფართოებულ შემადგენლობას უხმო, რომელთაგანაც, ამ დღეების განმავლობაში, პალანგაში წასაყვან შემადგენლობას შეარჩევს" - იუწყება ფედერაციის პრესსამსახური.

ნაკრების გაფართოებული სია:

ალექსანდრე ადამია („მეტალურგი", რუსთავი), ნიკოლოზ შერმადინი („მეტალურგი", რუსთავი), გიორგი გაბაძე („ლოკომოტივი", თბილისი), ნიკოლოზ ჭანტურია („ლოკომოტივი", თბილისი), ალექსანდრე გურეშიძე („დინამოს აკადემია"), ალეკო ჩაკვეტაძე („მეტალურგი", რუსთავი), გიორგი გოროზია („ლოკომოტივი", თბილისი), მათე ცინცაძე („ლოკომოტივი", თბილისი), ნიკოლოზ ახვლედიანი („ბაია", ზუგდიდი), გიორგი აბურჯანია („მეტალურგი", რუსთავი), ბექა მელიქიძე („მეტალურგი", რუსთავი), დავით მაკარაძე („სულაქველიძის აკადემია"), ოთარ კაკაბაძე („დინამოს აკადემია"), ჭიაბერ ჭეჭელაშვილი („დინამოს აკადემია"), ვანო წილოსანი („დინამოს აკადემია"), ალეკო მზევაშვილი („ოლიმპი", თბილისი), დავით დარციმელია („ლოკომოტივი", თბილისი), ამირან გუგუშვილი („ლოკომოტივი", თბილისი), თორნიკე მაჭავარიანი („დინამოს აკადემია"), ლაშა დვალი („მეტალურგი", რუსთავი), გიორგი როსტიაშვილი („გაგრა", გაგრა), გიორგი პაპუნაშვილი („მეტალურგი", რუსთავი), ალექსანდრე სარიშვილი („დინამო", თბილისი), რომან ჭანტურია („ლოკომოტივი", თბილისი), მერაბ ნიკურაძე (35–ე სკოლა), ბექა ტყემალაძე („ლოკომოტივი", თბილისი), ილია კერძევაძე („მეტალურგი", რუსთავი)

მერაბ მამულაშვილი

GUSHIN საღამოს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების შეკრება დაიწყო. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვასილ მაისურაძე** ფეხბურთელებს ლიტვის ქალაქ პალანგას საერთაშორისო ტურნირისთვის მოამზადებს, რომელიც 22-28 აგვისტოს გაიმართება.

წლეულს ტურნირში მონაწილეობენ: ლიტვის, ლატვიის, უკრაინის, აზერბაიჯანის, ბელარუსის, ყაზახეთის. მოლდოვას და საქართველოს 17–წლამდელთა ნაკრები გუნდები.

საქართველოს ნაკრების ჯგუფში მოხვდნენ აზერბაიჯანი, ლატვია და ბელარუსი, მეორე ჯგუფში - ლიტვა, მოლდოვა, ყაზახეთი და უკრაინა.

ინტერვიუ



მარკ მარტენსი

ილბალი ყველგან საჭიროა, ხელოვნური არაფერი ვარგა

GUSHIN გაცნობეთ, რომ თბილისში ცნობილი ბელგიელი ექიმი, დოქტორი მარკ მარტენსია ჩამოსული. შეგახსენებთ, მსოფლიოში სახელგანთქმული ქირურგი საქართველოს იმისთვის ეწვია, რომ "გაგრას" ნიგერიელი თავდამსხმელის, აბაიომი ოვონიკოკოსთვის ოპერაცია გაეკეთებინა. თავდაპირველად მარტენსს მის მდგომარეობაზე ვკითხეთ, თუმცა ბელგიელი სტუმარი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა და სხვა მნიშვნელოვან თემებზეც გველაპარაკა.

- როგორ ჩაიარა ოვონიკოკოს ოპერაციამ?

- ყველაფერი კარგადაა. ოვონიკოკო კლინიკაში მხოლოდ ერთ ღამეს გაატარებს. როგორც იცით, მან მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და ოპერაციის შემდეგ ფეხბურთელს მოედანზე დასაბრუნებლად მინიმუმ ექვსი თვე სჭირდება. რაკი მას ზედმეტი გართულებები არ აქვს, დიდი ალბათობით შემიძლია გითხრათ, რომ ექვს თვეში ითამაშებს. კარგი იქნებოდა, სარეაბილიტაციო პერიოდის ერთი თვე მაინც გაეტარებინა ბელგიაში, მაგრამ რადგან იქ ჩასვლის უფლება არ აქვს, მითითებებს ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით მივაწვდით.

- ახლახან ბელგიაში ოპერაცია გაუკეთეთ "ზესტაფონის" ფეხბურთელ გიორგი ხიდეშელს. მისი მდგომარეობა როგორია?

- იმის მიუხედავად, რომ გიორგის ჯვარედინ მყესებთან ერთად მენისკიც გაუწყდა, მისი ტრავმა დაახლოებით ოვონიკოკოს სიმძიმისაა. ასე რომ, ნახევარ წელიწადში ხიდეშელის თამაშსაც ნახავთ. მას უკვე შეუძლია ყავარჯნებით სიარული, ექვს კვირაში კი თავისუფლად გაივლის და მსუბუქ ინდივიდუალურ ვარჯიშსაც დაიწყებს. კარგია, რომ იგი ბელგიაში კიდევ ჩამოვა და მისი გამოჯანმრთელების პროცესს ადგილზე დავაკვირდებით.

- რა იწვევს ასეთი სიმძიმის ტრავმას, შეიძლება თუ არა მისი თავიდან აცილება?

- მუხლის ჯვარედინი მყესები ათიდან ცხრა შემთხვევაში ფეხბურთელებს უწყდებათ, რასაც მარტივი ახსნა აქვს – სპორტის ამ სახეობაში ფეხს ყველაზე დიდი დატვირთვა ადგას და მუხლი, ასე ვთქვათ, "ცვდება". მუხლის სახსარი ყოველწამიერად იხრება, თანაც ყველა შესაძლო მიმართულებით, რასაც სპორტის სხვა სახეობებში ვერ ნახავთ. შესაბამისად, მყესების გაწყვეტა ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი. აქ დიდი მნიშვნელობა არ აქვს ფეხბურთელის წონას, სიმაღლესა თუ ფიზიკურ მომზადებას. ეს ჩვეულებრივი უიღბლობაა და მეტი არაფერი. თუმცა მნიშვნელობა აქვს მოედნის საფარს. ხარისხიან მინდორზე ტრავმის საფრთხე მცირდება, ხელოვნურსაფრიანი მოედანი კი, პირდაპირ გეტყვით, ფეხბურთელის დიდი მტერია. ჩემი პრაქტიკიდან ერთ ფაქტს აღვნიშნავ – ბოლო წლებში ინგლისის ქვედა ლიგის კლუბებმა საკუთარ სტადიონებზე ხელოვნური საფრის დაგება დაიწყეს და ჩემს პაციენტებში სწორედ ამ კლუბების ფეხბურთელები მომრავლდნენ.

- ქართველი ფეხბურთელებისთვის ადრეც გიმკურნალიათ...

- დიახ, ოპერაციები კახა კალაძესა და რატი წინამძღვრიშვილს გავუკეთე და მოხარული ვარ, რომ ისინი კარიერას აგრძელებენ. ნამდვილად არავის ვუსურვებ, საქმე საოპერაციოდ გაუხდეს, მაგრამ თუკი საჭირო გახდა, ყველას ყოველთვის სიამოვნებით დავეხმარები.

- ქართველ კოლეგებთან შეხვედრას და მათთვის გამოცდილების გაზიარებას ხომ არ აპირებთ?

- ამჯერად კონკრეტული ოპერაციის ჩასატარებლად და თქვენი დედაქალაქის ხედებით დასატკბობად ჩამოვედი, მომავალში კი არაფერია გამორიცხული, თუ ორმხრივი სურვილი იქნება. ვიცი, რომ საქართველოს ბევრი სახელოვანი ექიმი ჰყავს და თქვენი ქვეყანა ჩემთვის ამ კუთხითაც ძალიან საინტერესოა.

- თქვენი პაციენტები კაკა, შევჩენკო და სხვა ცნობილი ფეხბურთელები არიან. წარმოუდგენლად გვეჩვენება, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი არ იყოთ.

- ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს, მაგრამ ჩემი საყვარელი გასართობი ფეხბურთის ყურება და ფეხბურთის თამაშია. თანაც, არა მხოლოდ გრანდების, ვცდილობ, შედარებით მცირე მასშტაბის მატჩებიც არ გამოვტოვო. სამწუხაროდ, თბილისში "ზესტაფონისა" და "ბრიუგეს" მატჩზე მისვლას ვერ შევძლებ, მაგრამ ბელგიაში ამ გუნდების საპასუხო შეხვედრას აუცილებლად დავესწრები, ოღონდ არ მკითხოთ, ვის ვუქომაგებ (იცინის).

ლევან ჯანეზაშვილი

ყველას თავისი აზრი აქვს

მე რომ ქეცბაია ვიყო

MIUXEDAVAD იმისა, თუ როგორ გაგრძელდება **თემურ ქეცბაიას** სამწვრთნელო კარიერა, მისი სახელი როგორც ფეხბურთელისა და მწვრთნელისა საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ევროპული ფეხბურთის ისტორიაშიც, უკვე შევიდა. როგორც ფეხბურთელის, ისე მწვრთნელის რანგში იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი კლასით, მებრძოლი სულით, მტკიცე ხასიათით, შრომისუნარიანობით და მიზანდასახულობით. ეს მახასიათებლები, სამწუხაროდ, აკლდა ზოგიერთ სხვა ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელს და მწვრთნელს, რომლებიც ოსტატობით და კლასით არ ჩამოუვარდებოდნენ თემურს, და ზოგჯერ მას აღემატებოდნენ კიდეც. მაგრამ სწორედ აღნიშნული თვისებების არქონის გამო ვერ მიაღწიეს იმ მწვერვალებს, რომლის დაპყრობაც შეძლო 43 წლის თემურ ქეცბაიამ. მისი საფეხბურთო კარიერა და შედეგები ყველასთვის ცნობილია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. იმ თემასთან დაკავშირებით კი, რაზედაც ქვემოთ მინდა გავამახვილო ყურადღება, ჯერ მხოლოდ 1987 წელს უეფას თასზე „ვერდერი" – „დინამოს" შეხვედრას გავიხსენებ.

გფრ-დან რეპორტაჟი მიჰყავდა ლეგენდარულ კომენტატორს **კოტე მახარაძეს ნიკოლაი ოზეროვთან** ერთად. ბატონმა კოტემ ტელემაყურებელს ძალიან თბილად წარუდგინა ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელი ქეცბაია და დასძინა, რომ თამაშის წინადღეს თემურმა გამოთქვა უკმაყოფილება „დინამოს" მთავარი მწვრთნელის **გერმან ზონინის** მიმართ - რომ მას (თემურს) არ ათამაშებენ მთელ თამაშს, და მხოლოდ 25-30 წუთით შეყავდათ მოედანზე. თემური მწვრთნელებს უმტკიცებდა, რომ მას გუნდისთვის უფრო მეტი შედეგის მოტანა შეეძლო, თუ თუნდაც მეორე ტაიმს სრულად ათამაშებდნენ.

მე რომ თემურის ადგილზე ვიყო, ახლა ამას გავიხსენებდი და დავფიქრდებოდი, საქართველოს ნაკრების შემადგენლობის რომელიმე ფეხბურთელმა რომ გამოთქვას ანალოგიური უკმაყოფილება, ე.ი. მწვრთნელს მოედანზე ან არ გაჰყავს ან მხოლოდ ბოლო 20-30 წუთით ათამაშებს. ეს არ გამიკვირდებოდა და ძალიანაც არ გავნაწყენდებოდი, არ მივმართავდი რადიკალურ ზომებს, ისე როგორც ეს, ჩემო თემურ, შენ ერთხელ უკვე ერთი ფეხბურთელის მიმართ გააკეთე. ცხადია, მწვრთნელმა უკეთ იცის, მაგრამ მოთამაშის დასჯა საქართველოს ნაკრებიდან გარიცხვით მისი ფიცხი ან უხეში ხასიათის გამო, არ არის სიტუაციიდან გამოსავალი. იმ პირობებში, როდესაც ნაკრებს ჰაერივით სჭირდება ესა თუ ის მებრძოლი ხასიათის, გამოცდილებისა და ოსტატობის ფეხბურთელი, მწვრთნელი უბრალოდ ვალდებულია დასძლიოს პირადი წყენა. თემურს კარგად ახსოვს ალბათ, 1998 წლის სექტემბერში თბილისში საქართველო-ალბანეთის მატჩისას თავად როგორ ენერგიულად და მკვეთრად გამოთქვა უკმაყოფილება, როცა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ გუცაევმა** იგი 55-ე წუთზე გამოცვალა. მაშინ, 90-იან წლებში თემური საქართველოს ნაკრების ყველაზე სტაბილური ფეხბურთელი იყო. ნაკრების ყველა შეხვედრაში ის იდგა მონოდების სიმაღლეზე და თავისი შემართებით ფრთებს ასხამდა სხვა ფეხბურთელებსაც. მაშინ მის საყვედურებს გაგებით ეკიდებოდნენ. ახლა შეგნებულად არ ვასახელებ თანამედროვე ფეხბურთელებს, რომლებიც ფიცხი ხასიათისა და შეკამათების ან უხეშობის გამო გაუშვეს საქართველოს ნაკრებიდან. ვფიქრობ, მათ შესახებ ყველამ იცის. მე არ მსურს რომელიმე მოთამაშის ადვოკატი ვიყო, მაგრამ თემურის ადგილზე ამნისტიას გამოვაცხადებდი იმ ფეხბურთელების მიმართ, რომლებიც „ულირსად" მოიქცნენ ან ასე მოიქცევიან მომავალში. ეს არ ნიშნავს, რომ მწვრთნელმა უნდა აპატიოს სპორტსმენს ყველაფერი ან შეასუსტოს დისციპლინა და კონტროლი გუნდზე, მაგრამ დასჯაშიც უნდა იყოს აღმზრდელობითი ელემენტები. და კიდევ, მე, მაგალითად, ნაკრების კაპიტან **კახა კალაძეს** ნახევარდაცვაში გავამწესებდი. კახამ ყველაზე დიდი წარმატებები სწორედ ამ პოზიციაზე თამაშით მოიპოვა. ეს ადგილი თავის დროზე მას **ვალერი ლობანოვსკიმ** კიევის „დინამოში" მიუჩინა. ბოლო თვეებში კალაძემ აღიდგინა თავისი ფორმა, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრად უფრო შედეგიანი იქნება იგი ნახევარდაცვაში. ეს საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ ხშირად მისი შეცდომები დაცვის ხაზში გოლს ან საგოლე სიტუაციას უქმნის მოწინააღმდეგეს, ხოლო ნახევარდაცვაში მას ბევრად უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია - აქვს კარგი დარტყმა, ფიზიკურად ძლიერია და აქტიურად ერთვება შეტევაში, სასარგებლოა სტანდარტულ სიტუაციებში. ზოგი იტყვის, კალაძის დრო წავიდაო, მაგრამ რაკი ის კვლავ თამაშობს ნაკრებში ე.ი. უმჯობესია გამოვიყენოთ იქ, სადაც მოიტანს მეტ სარგებლობას, ანუ ნახევარდაცვაში.

დაბოლოს, გერმანიაში წარმატებით თამაშობს საქართველოში დაბადებული და ალემანიის მოქალაქე **აკაკი გოგია.** უწინ ქართულ პრესაში იყო ინფორმაცია, რომ ცდილობდნენ მის მოწვევას საქართველოს ჭაბუკ და ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ აკაკი არ დათანხმდაო. მე რომ მკითხონ, დავიწყებდი მოლაპარაკებას და აკაკი გოგიას ვათამაშებდი ნაკრებში. აკაკი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებშია მიწვეული. ამბობენ, რომ ის დიდი ტალანტია, მით უფრო გვჭირდება...

თენგიზ პაჭკორია
ჟურნალისტი

თემურ ქეცბაია

ქართული ფეხბურთი

● რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია. შიდა ქართლი

დილა უხარიათ და ბავშვები აღარდებთ

შიდა ქართლის საფეხბურთო ცხოვრების უმთავრესი საზრუნავი ყოველთვის გორის „დილა“ იყო და ასეა დღესაც. მიმდინარე სეზონამდე, ანუ ვიდრე ეს გუნდი უმაღლესიდან ქვედა ლიგებში იყო დაქვეითებული და იქ სამი წელიწადი გაატარა, პირველ თავსატეხად რეგიონის ფეხბურთის მესვეურთ სწორედ „დილას“ დაუძლურება მიაჩნდათ. მას შემდეგ, რაც რეგიონის ხელისუფლების და უშუალოდ გუბერნატორის ძალისხმევით ფინანსურ სიდუხჭირეს „დილამ“ თავი დააღწია და უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, ფეხბურთის ფედერაციის მესვეურნიც პირველ რიგში ისევ მისით ამაყობენ.

წლეულს გორის მუნიციპალიტეტი-სავე ინიციატივით გუნდს ქალაქის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა და სტადიონი „ქართლიც“ გადაეცა. შესაბამისად, მას ახლა აქვს არენა, რომელზეც ოფიციალურ მატჩებს მართავს და საკმაოდ კარგი მოედანი, რომელსაც მხოლოდ ვარჯიშისთვის გამოიყენებს. მეორე მხრივ, მართალია, ამ გადაწყვეტილებით ცხინვალის „სპარტაკის“ პირველ გუნდს საშინაო მატჩების „ქართლის“ სტადიონზე გამართვის საშუალება აღარ ეძლევა, ამ კლუბის ბავშვთა გუნდები კვლავინდებურად გორში რჩებიან. ისინი ქალაქის გარეუბანში ივარჯიშებენ. აქვე დავძენთ, რომ შიდა ქართლს უმაღლესის გარდა მხოლოდ რეგიონალლიგაში ჰყავს გუნდი. ხაშურის „ივერიას“ გასულ სეზონში ცოტა დააკლდა პირველ ლიგაში აღზევებამდე, თუმცა იქაურთა მონდომებამ შესაძლოა გაისად გამოიღოს ნაყოფი. რეგიონის კიდევ ორი რაიონი, კასპი და ქარელი ჯერჯერობით მხოლოდ ბავშვთა საფეხბურთო სკოლების მუშაობით შემოიფარგლებიან.

საერთოდ, საფეხბურთო სკოლების თემა შიდა ქართლის ფეხბურთში ყველაზე მტკივნეულია. სფფ-ს სალიცენზიო კომიტეტის გადაწყვეტილებით რეგიონის ვერ ცერთმა ბავშვთა საფეხბურთო სკოლამ ვერ მოიპოვა ლიცენზია, მეტიც, მისი მიღების კანდიდატიც ვერ გახდა. რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი **გია რევაზიშვილი** მიიჩნევს, რომ სავალალო მდგომარეობაში არც ერთი საფეხბურთო სკოლა არ არის, თუმცა ლიცენზიის მისაღებად დიდი მუშაობა მართებთ. ინფრასტრუქტურას ისინი, რაიონების ხელისუფალთა დაუხმარებლად ვერ მოაგვარებენ. გადასაჭრელია გასახდელების, ცხელი წყლის, სამედიცინო მომსახურების, მოედნების პრობლემა.

საფეხბურთო სკოლებში მწვრთნელთა კვალიფიკაციას რეგიონალური ფედერაციის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს. მათი ინიციატივით წლეულს ერთხელ უკვე ჩატარდა სამწვრთნელო კურსები „ც“ კატეგორიის ლიცენზიის მოსაპოვებლად. ახლა მიმდინარეობს მეორე ნაკადის ჯგუფების დაკომპლექტება შემოდგომიისთვის.

ხვიჩა გაგნიძე ერთადერთი მსაჯია შიდა ქართლიდან, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. რამდენიმე არბიტრი ამ რეგიონიდან პირველ და რეგიონალლიგის გათამაშებებსაც ემსახურება.

ადგილობრივი ფედერაციის ინიციატივით თითქმის ყოველ წელს იმართება ასაკობრივი პირველობები რეგიონის საფეხბურთო სკოლების მონაწილეობით. გამარჯვებული გუნდები თასებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. რამდენიმე ასაკობრივი გუნდი თბილისის პირველობაზეც მონაწილეობს.

გია რევაზიშვილი შვიდი წელიწადია საქართველოში „ღია სახალისო“ ფეხბურთის ერთ-ერთი ინსტრუქტორია და წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. 2008 წლის საომარი მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დიდი ლიახვის ხეობის სოფელმა თამარაშენმაც კი უმასპინძლა „სახალისო“ ფეხბურთს.

საკმაოდ კარგად მუშაობს ქალთა ფეხბურთის სექციები. ყველაზე გამორჩეული კი ხაშურის გუნდია არა მხოლოდ ქართლში, მთელ საქართველოში. ბევრი თამაშობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში.

რეგიონის ფედერაციამ წლეულს ნიგერიის დედაქალაქ აბუჯას საფეხბურთო აკადემიის 18-წლამდელთა გუნდი ჩამოიყვანა გორში. შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ბიუჯეტი მეტად მწირია, სულ 10-15 ათას ლარს შეადგენს. აქედან 10 ათასს სფფ-დან იღებენ. როგორც რევაზიშვილმა გვითხრა, მისი რეგიონი სნორედ იმ ოთხეულშია, რომელმაც მხოლოდ ხელფასებისთვის არ გამოიყენა ჩარიცხული თანხა...

ვასილ ბალახაძე

დავით ასპანიძის ფოტო

● საქართველოს ჩემპიონატი. დუბლშემადგენლობათა განაცხადები

ზესტაფონი	
კახაბერ მეშველიანი	14.04.92
მამუკა კოზახიძე	23.08.92
საბა ლომია	07.07.90
გიორგი ჭანკოტაძე	26.07.91
როსტომ გეწაძე	18.01.91
მიხეილ სარდალიშვილი	17.09.92
ნიკოლოზ მნათობიშვილი	27.09.92
თორნიკე გრიგალაშვილი	23.01.93
დავით ფერაძე	31.03.93
მალხაზ გაგოშიძე	20.02.93
ნოდარ გაჩეჩილაძე	05.01.93
ნოდარ კიკნაველიძე	25.04.93
თევდორე ლურსმანაშვილი	29.05.92
გერდია შარვაძე	24.01.93

დინამო	
გიორგი გველესიანი	05.05.91
გესიკ ამაშუკელი	16.09.92
ლევან ტყეშელაშვილი	10.05.93
თედო კაკულია	26.09.93
გუგა რუხაძე	22.01.93
ვახტანგ ფოცხვერია	20.10.92
ნიკა კაჭარავა	13.01.94
არჩილ ტვილდიანი	31.03.93
დავით ხოჭოლავა	08.02.93
ლაშა პარუნაშვილი	14.02.93
ნიკა სანდოხაძე	20.02.94
თორნიკე ნემსაძე	25.08.92
სანდრო სარიშვილი	08.07.95
გიორგი ჯავახიშვილი	23.09.94
სანდრო რეხვიაშვილი	23.09.93
ლაშა ჩაფიძე	08.07.92
კონსტანტინე გაბაშვილი	06.02.92
ოთარ დოლიძე	09.05.93
მიხეილ ჯიშკარიანი	31.10.92
გია ნიკვაშვილი	19.05.94
გიორგი პაპავა	16.02.93
გელა მუმლაძე	17.12.92

მეტალურგი	
ზურაბ თევზაძე	28.08.94
გიორგი პაპუნაშვილი	02.08.95
გიორგი ნემსიწვერიძე	28.08.95
გელა მელიქიძე	18.01.95
ნიკა შერმადინი	08.01.95
ალექსანდრე ადამია	09.04.95
გიორგი გაფრინდაშვილი	06.05.95
ილია კერძევაძე	19.01.96
ლუკა მაღრაძე	22.10.94
ლაშა ქოჩლაძე	25.08.95
ლევან შენგელია	27.10.95
ცოტნე ქებურია	24.02.95
ალეკო ჩაკვეტაძე	28.02.95
ლაშა დვალი	14.05.95
ნიკა გორდელაძე	08.01.95
კონსტანტინე ღალინიძე	03.02.94
გიორგი აბურჯანია	02.01.95

ლილა	
ოთარ დულარიძე	02.10.92
გიორგი მიხანაშვილი	19.08.91
აკაკი სირბილაძე	01.01.92
ნოდ. ნიკოლოზის ძე ნოზაძე	20.06.92
გიორგი ღარიბაშვილი	25.06.92
გიორგი იჩქითი	29.04.90
ვანო რუსიშვილი	03.01.92
გელა ოხანაშვილი	20.01.91
თორნიკე სტეფნიაშვილი	10.11.92
ვეფხვია მურადაშვილი	10.03.92
შმაგი ელიაშვილი	12.03.92
გელა ახალგედაშვილი	28.12.90
ვაჟა ნემსაძე	07.12.90
ვახტანგ გიორგაშვილი	22.03.91
ზვიად გამცემლიძე	31.03.91

მარტვილი	
თემურ სანიკიძე	04.03.92
ლაშა კუჭუხიძე	14.03.92
თორნიკე კაკუშაძე	02.01.91
ჯონი შეროზია	09.09.90
ოთარ ტორაძე	03.06.92
კიჟი მელიავა	14.04.92
მურად გოგიშვილი	15.06.92
ინდიკო მონიავა	01.01.93
რომან კიკალიშვილი	18.03.90
ამბაკო ბუალავა	11.03.93
ზურაბ თევდორაძე	23.05.93
გიგა ამბროლაძე	28.11.90

გორელები	
გივი იოსელიანი	25.10.90
დავით კირკიტაძე	03.09.92
ცოტნე ხარაბაძე	16.05.93
ვაჟა ტაბატაძე	01.02.91
გიორგი კუხიანიძე	01.07.95
უშანგი ბანძელაძე	09.02.93
გიგა ბერიშვილი	26.11.95
ზურაბ გაბრიაძე	27.03.94
გიორგი გაგუნია	10.03.92
არჩილ კალანდია	14.06.93
გიორგი კეპულაძე	20.05.94
დავით კუპატაძე	06.06.91
თეგა ლომიძე	21.12.93
თეიმურაზ მარკოზაშვილი	09.08.94
ანრი ტყეშელაშვილი	20.01.93
ნიკა შალამბერიძე	25.06.94
ლაშა შერგელაშვილი	17.01.92
ონისე ჩინჩალაძე	15.04.93
გიგა ჟეიშვილი	17.09.93
გიორგი ხარაბაძე	20.03.92
თეიმურაზ ჯანაშია	06.01.94

ვიტ ჯორჯია	
ჯინო რეჭია	10.06.91
გიგლა ქუთათელაძე	22.06.93
ირაკლი ჭოჭუა	17.03.93
გიორგი კალანდია	18.01.93
ოთარ ჯავაშვილი	17.08.93
ირაკლი ხუჭუა	29.04.92
ალიოშა ჭაფანძე	14.04.93
შოთა დავლაშელიძე	25.03.93
ელგუჯა ლობჟანიძე	17.09.92
გიგა ჯულელი	08.11.91
გიორგი გურეშიძე	21.01.91
გიორგი ნიშარაძე	01.07.92
გიორგი ვაშაკიძე	24.10.92
ირაკლი სიხარულიძე	17.07.90
გიორგი ოთარიშვილი	12.12.90
ანდრო სოფრომაძე	25.03.93
ლაშა სილაძაძე	31.03.93
ვაჟა ხურცილავა	26.03.92
ჯუმბერ სულაქველიძე	29.09.92
შოთა გვაზავა	26.10.92
გიორგი ფაჩულია	29.11.92
ლაშა სეფიაშვილი	25.04.92
ვახტანგ ჯაყელი	17.03.92
ნოდარ სვანაძე	15.07.92
ლევან კუხალეიშვილი	24.02.92

ბაზა	
ვახტანგ ჯოგიდავა	25.04.91
კონსტანტინე ახალაია	08.08.91
ნიკოლოზ ახვლედიანი	20.05.95
ავთანდილ ენდელაძე	17.09.94
რომეო მამფორია	12.11.90
გრიგოლ ბერიშვილი	11.09.93
ნიკა ნარმანია	15.08.94
ზურაბ მალანია	07.10.96
ლაშა დოლიძე	07.03.92
ილია გადელია	02.03.92
რომეო კანკია	27.05.92
კოტე ლურსმანაშვილი	20.05.91
ზურაბ ძვარცხავა	20.10.93
აკაკი ფარჯიკია	25.09.93
გურამ სამუშია	05.09.94
თამაზ აკოზია	01.01.92
გორის გუჯეჯიანი	02.03.91
ლევან ძანთარია	05.07.91
ლექსო კვარაცხელია	09.04.92
თამაზ ჯიშკარიანი	13.03.93

კოლხეთი	
გორის ძირია	15.04.91
ლაშა ყურუა	01.04.91
ხვიჩა დანელია	16.08.91
ივანე მიქაბერიძე	12.11.91
ირაკლი მოისწრაფიშვილი	11.05.91
ალექსანდრე ჟურჩილავა	11.09.91
მალხაზ მაჩანია	10.06.92
გელა ხოფტარია	30.08.92
ირაკლი ლეჟავა	04.02.92
გელა ხოხობაია	21.01.90
გუგა მახარაძე	23.12.95
ლაშა ჯახია	22.01.90
დათო კუკულაძე	16.11.90
მიხეილ რუსია	07.05.91
კონსტანტინე ბარამიძე	12.07.91
ლევან კაკულია	28.05.92
დავით მოისწრაფიშვილი	1990
ზვიად ჭედია	16.01.92
მამუკა ლორია	19.02.92
გიორგი წულაია	23.01.92
თემურ მამულია	27.06.92
გიორგი სამსონია	25.05.92

სიონი	
ვილი ისიანი	22.03.91
მანუჩარ ოქროპირიძე	19.02.90
საბა ადამაშვილი	29.09.92
ომარ ლაბაძე	29.07.91
რატი ვაშაბაშვილი	21.08.91
ლევან მინაშვილი	31.05.91
გიორგი თარგამაძე	11.01.90
გურამ ბაკაკაშვილი	07.01.91
გოჩა აბშილავა	12.10.91
ლევან ჯინჭარაძე	02.05.90
თეიმურაზ ქუნთელია	07.10.90
არჩილ შონია	01.01.92
მიხეილ ხოკერაშვილი	16.10.90
სულიკო ხიზანიშვილი	18.10.93
მირიან სტეფანია	21.04.94
უჩა ჯაფარიძე	20.03.94
გიორგი დემურაძე	04.09.91

გაგრა	
გიორგი ბეგაშვილი	12.02.91
ლაშა კალანდაძე	17.06.91
ირაკლი ხუციძე	16.04.90
ნიკა ჭკუასელი	09.12.93
გიორგი ზვიადაძე	15.09.91
გიორგი ყურულაშვილი	12.10.90
ლევან ყიფიანი	14.01.92
გიორგი ჭოხონელიძე	19.09.91
ილია მაღრაძე	01.01.92
ზურაბ ჭიპაშვილი	29.05.93
დავით ჯანაშია	31.01.93
ლევან გზირიშვილი	03.04.93
გიორგი გაზუაშვილი	15.04.93
გუგა ფალავანდიშვილი	14.08.93
ნუგზარ ხოჯაშვილი	21.08.93
ლაშა ბაკურაძე	07.02.92
მურთაზ ჩანგელია	26.06.92
გელა ქართველიშვილი	31.01.92
გიორგი მანგაბაძე	01.06.93
პაატა ჭანტურია	13.02.94
გიორგი როსტიაშვილი	20.04.95

სპარტაკი	
ზაზა მამასახლისი	08.10.93
დიმიტრი გაბელია	23.01.93
გრიგოლ ანდრიაძე	04.11.90
გიორგი სანიკიძე	15.07.93
გელა ხოჯანაშვილი	23.01.93
მიხეილ შერგელაშვილი	05.04.93
გიორგი გოგუაძე	11.03.93
იაკობ ჟლენტი	05.11.93
ნესტორ ლომიძე	25.09.93
ზვიად ლოგჯანიძე	19.04.90
თორნიკე თუხარელი	11.09.91
გია ტაბატაძე	21.08.93
მიხეილ მერეჩკო	04.03.91
დავით გელაშვილი	08.04.93
უჩა ბურძენაძე	23.04.93
ილია ბუზალაძე	29.02.92
ვარლამ კილასონია	09.01.93
კახაბერ კაკაშვილი	26.06.93
გიორგი ნარიმანიძე	25.11.93
გესიკ დეკანოიძე	01.03.93
ერეკლე ხაჭვანი	31.12.93
დავით ზერეკიძე	09.03.91

● ევროპის ლიგა. ჰლეი ოფი. ზესტაფონი-ბრიუგეს წინ

ბრიუგე დღეს ჩამოფრინდება, დაუშვილი დუბლებში

"ბრიუგე" თბილისში დღეს ნაშუადღევს ჩამოფრინდება და სასტუმრო "რედისონში" დაბინავდება, საღამოს კი ეროვნულ სტადიონზე მატჩის წინადღისთვის განსაზღვრული ყველა ღონისძიება გაიმართება.

18 საათზე "ბორის პაიჭაძეზე" "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი ჭიაბრიშვილის** პრესკონფერენციაა დაგეგმილი, რასაც "ზესტაფონის" ვარჯიში მოჰყვება. "ბრიუგეს" მთავარი მწვრთნელი **ადრი კოსტერი** პრესკონფერენციას 19 საათსა და 30 წუთზე გამართავს, რის შემდეგაც მისი გუნდის ვარჯიში დაიწყება.

"ბრიუგე" თბილისში 19 ფეხბურთელით ჩამოვა.

მეკარეები: **ვლადან კუიოვიჩი, კოლინ კუსემანსი, სვენ დოსტი;**

მცველები: **მიქაელ ალმებეკი, ტომ ჰოოგლი, კარლ ჰუფკენსი, რაიან დონკი, ჯიმი დე იონგი, იან ვენსტიინკისტე;**

ნახევარმცველები: **ლიორ რაფაელოვი, ნიკი ზიმლინგი, ნაბილ დირარი, ჯონათან ტომას მუნიე, ტიბო ვან აკერი, ფრის დიშლიდერი, ვადის ოჯიჯა-ოფოე;**

თავდამსხმელები: **ვიქტორ ვასკესი, ჟოზეფ აკპალა, მაქსიმ ლისტინი.**

ტრავმის გამო ბელგიელებს თავდამსხმელი **ბიორნ ვლემინკსი** ვერ დაეხმარება, მცველი **მიქაელ ალმებეკი** კი, იმის მიუხედავად, რომ ბელგიის ჩემპიონატის წინა ტურში ცხვირი გაიტეხა, სათამაშოდ მაინც მზადაა. "ზესტაფონი"-"ბრიუგე" ხვალ 20 საათსა და 30 წუთზე დაიწყება და მას ავსტრიელი **ჰარალდ ლეხნერი** განსჯის. ბილეთის ფასი 5 და 10 ლარია.

გუშინ „ზესტაფონთან“ დაკავშირებული კიდევ ერთი ინფორმაცია დადასტურდა - ბუბა დაუშვილი, რომელმაც კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი თქვა, დუბლებში გადაიყვანეს.

ლევან ჯანეზაშვილი

ბუბა დაუშვილი (ბურთით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერთასი. საპასუხო მატჩის წინ

მოდი, ვნახოთ სესკი...

... და რეალი

„ბარსელონა“ ესპანეთის სუპერთასს ყველაზე მეტჯერ, 9-ჯერ ფლობდა, 8-ჯერ ამ ტიტულს მისი დაუძინებელი მტერი - „რეალი“. მოკლედ, ამღამ „კამპ ნოუზე“ გაირკვევა, წინ გაიჭრება კატალონიური გრანდი თუ გაათანაბრებს ტიტულთა რიცხვს „სამეფო კლუბი“. ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ახალი „რეალის“ ნახვა, იყო თუ არა პირველი მატჩი, როცა მადრიდელებმა თამამად შეუტიეს „ბარსას“, გამონაკლისი, თუ **ჟოზე მოურინიო** წლეულს სულ სხვა ტაქტიკით აპირებს მეტოქის ჰეგემონიის დამხობას ესპანეთში. არის კიდევ ერთი ძალზე საინტერესო ინტრიგა: ითამაშებს თუ არა „ბარსას“ ახალწვეული **სესკ ფაბრეგასი**. ფეხბურთელი, რომელიც მშობლიურ კლუბს ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 29 მილიონი ევრო დაუჯდა (არაოფიციალურად 40 მილიონს ასახელებენ). ესპანური მედია ამტკიცებს, რომ სესკი ითამაშებს და თანაც სასტარტო შემადგენლობაში იქნება! აი, ეს უკვე ძალზე საინტერესოა...



ხოსეპ გვარდიოლა პრეს კონფერენციაზე

შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ძალზე განებივრებული ვართ „კლასიკოებით“, გასულ სეზონში ხუთი „კლასიკო“ ვიხილეთ, თანაც ზედიზედ ოთხი სულ რაღაც 21 დღის განმავლობაში. არადა, ადრე ასე სულაც არ იყოს. მაგალითისთვის, ესპანეთის სუპერთასზე ბოლოს ეს გუნდები 1997 წელს შეხვდნენ. მაშინ, 14 წლის წინათ, სუპერთასი „რეალს“ დარჩა (1:2, 4:1), ისევე, როგორც სამ სხვა შემთხვევაში, როცა „რეალი“ და „ბარსელონა“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ამ გათამაშებაში. ანუ ესპანეთის სუპერთასზე „ბარსელონას“ „რეალისთვის“ აქამდე არ უჯობნია, ახლა კი შესანიშნავი შანსი აქვს - მადრიდელთა ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მატჩი სტუმართათვის კარგი ანგარიშით, 2:2 დასრულდა.

გუშინ ჟოზე მოურინიომ კატალონიისკენ 22 ფეხბურთელი დაძრა. სიახლე ისაა, რომ **ესტებან გრანერო** ამჯერად გუნდთან ერთად იქნება, ისევე როგორც „რეალ კასტილიას“ წევრები **მორატა** და **მეხიასი**. „რეალის“ ახალწვეულები, **ნური შაჰინი** და **ჰამით ალთინთოპი** კვლავ ტრავმირებულები არიან. გამგზავრებამდე ჟოზემ ითამაშებს „რეალის“ წინააღმდეგ, მაგრამ ამას პირველად გააკეთებს მშობლიური კლუბის მაისურით. ორჯერ, როცა ის მოედანზე „სამეფო კლუბს“ გადაეყარა, „არსენალი“ არ დამარცხებულა. 2006 წელს მან პირველად ითამაშა ესპანეთის მინაზე პროფესიულ დონეზე, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ლონდონურმა კლუბმა 1:0 მოიგო და იმ თამაშში სესკმა საგოლე პასი გაუკეთა **ტიერი ანრის**, 18 წლის ფაბრეგასი მადრიდულმა პუბლიკამ ოვაციებით გააცილა. ხოსეპ გვარდიოლამ, შეიძლება პირველად სწორედ დღეს დააყენოს სუპერშემტევი ექვსეული (რომელსაც, თქმა არ უნდა, კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ მომავალში) - შუა ხაზში სამკუთხედს სესკი, **ჩავი** და **ინიესტა** შექმნიან, შეტევაში ტრიო კი **სანჩესი**, **მესი** და **ვილია** იქნება. მოდი, და ებრძოლე ასეთ გუნდს!

„ბარსას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** კვლავ არ არის მზად თამაშისთვის. ამიტომაც, კვლავ მოუნევს ნახევარმცველ **მასკერანოს** დაცვის ცენტრში თამაში. აი, **პიკე** კი სასტარტოდან დაიწყებს, რის გამოც **აბიდალი** გადავა დაცვის მარცხენა ფრთაზე, ადრიანო კი - სათადარიგოთა სკამზე. მოკლედ, ცვლილებები მინიმალური იქნება, თუმცა ერთი ისეთია, რომ მარტო მის სანახავად ღირს თამაშის ყურება.



რეალის ვარჯიში ვალდებებასის ბაზაზე

● ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფები

კოპენჰაგენი (დანია)-პლზენი (ჩეხეთი) 1:3

კოპენჰაგენი (4-4-2): ვილანდი - ტომსენი, ოტესენი, იორგენსენი, ბენგტსონი - ბოლანიოსი, კრისტენსენი, გრინდჰეიმი, დიუფი (56. ნორდსტრანდი) - ნდოიე, კლაუდემირი (აბსალონსენი).

პლზენი (4-1-4-1): ჩეხი - ლიმბერსკი, ბისტრონი, ჩიშოვსკი, რაიტორალი - ტრაში - პეტრჟელა (76. ფილო), ჰორვატი, კოლარჟი, პილარჟი (91. ჰორა) - ძურიში (89. შევინსკი).

გოლები: 0:1 ოტესენი (52. ს. კ.), 0:2 პილარჟი (59), 1:2 ოტესენი (69), 1:3 ფილო (79)

ტვენტე (პოლანდია)-ბენფიკა (პორტუგალია) 2:2

ტვენტე (4-3-3): მიჰაილოვი - კორნელისე, დუგლასი, ვისგერჰოფი, ტიენდალი (75. ბუისე) - ლანდზაატი (46. იანკო), ბრამა, იანსენი - რუისი, დე იონგი, ბაირამი (58. იონი).

ბენფიკა (4-2-3-1): არტური - მ. პერეირა, ლუიზაო, გარაი, ემერსონი - ხავი გარსია, კარდოსო (87. მატჩრი) - ვიტსელი, გაიტანი (56. ამორიმი), ნოლიტო - აიმარი (64. სავიოლა).

გოლები: 1:0 დე იონგი (6), 1:1 კარდოსო (21), 1:2 ნოლიტო (35), 2:2 რუისი (80)

ლიონი (საფრანგეთი)-რუბინი (რუსეთი) 3:1

ლიონი (4-2-3-1): ლორისი - რევეიერი, ბ. კონე, ლოვრენი, სისოხო (52. პიანიჩი) - გონალონსი, კალსტროიმი - ბრიანი (82. პიე), გომისი, ბაშტოში - ლ. ლოპესი.

რუბინი (5-4-1): რიჟიკოვი - კუზმინი, **კვერკველია**, ბოკეტი, შარონოვი, კალეშინი - კარადენიზი, ნობოა, ნატხო, კასაევი (69. ლებედენკო) - დიადიუნი (36. მედვედევი),

გოლები: 0:1 დიადიუნი (3), 1:1 გომისი (10), 2:1 კვერკველია (40. ს. კ.), 3:1 ბრიანი (71).

ბატე (ბელარუსი)-შტურმი (ავსტრია) 1:1

ბატე (4-2-3-1): გუტორი - იურევიჩი, ფილიპენკო, შიმიჩი, ბორდაჩევი (82. ვოლოდკო) - ბაგა, ოლეხნოვიჩი - პატოცკი (46. გორდეიჩუკი), როდიონოვი (69. რუდიკი), ნეხაიჩიკი - კონცევოი.

შტურმი (4-4-2): გრაცეი - შტანდფესტი, დუდიჩი, ბურგშტალერი, ფოფხაძე - ჰიოლცლი (88. ეჰრენრაიხი), ვებერი, ზიომელი, ბუკვა - კიენასტი, საბიჩსი (72. მურატოვიჩი).

გოლები: 0:1 ვებერი (12), 1:1 შიმიჩი (59)

არსენალი (ინგლისი)-უდინეზე (იტალია) 1:0

არსენალი (4-2-3-1): შჩესნი - სანია, კოშელნი, ვერმალენი, გიბსი (46. ჯურუ) - სონგი, როსიცკი (73. ფრიმპონგი) - უოლკოტი, რემზი, ჟერვინიო - შამახი.

უდინეზე (4-1-4-1): ჰანდანოვიჩი - ეკსტრანდი, ბენატია, ლარანგეირა, ნეუტონი (59. პასკუალე) - აგიემანგ-ბადუ - ისლა, ასამოა, პინცი (88. აბდი), არმერო - დი ნატალე.

გოლი: 1:0 უოლკოტი (4)

გოლი, ოღონდ, ავგო

გუშინ ჩემპიონთა ლიგაზე პლეი ოფების პირველი მატჩები გაიმართა, ხუთი შეხვედრიდან ორში ქართველებიც მონაწილეობდნენ. 19 წლის **საბა კვერკველია** სულ მეორედ თამაშობდა ჩემპიონთა ლიგაზე, თუმცა, ამჯერად, ყველაფერი ისე კარგად არ წარიმართა ჩვენებურისთვის, როგორც კიევში - „ლიონმა“ 3:1 მოუგო მის გუნდს, „რუბინს“, ხოლო მატჩის მე-40 წუთზე **ბაფეტიმბი გომისმა** მარცხნიდან დაარტყა სტუმართა კარისკენ, საბა ბურთის ჩაჭრას ცდილობდა, თუმცა საკუთარ კარში კი ჩაჭრა... თამაშით კი „ლიონი“ ბევრად სჯობდა მეტოქეს, რომელმაც 5 მცველით ითამაშა. ზამთარი რომ იყოს, ვიტყოდით, რომ რუსთა გუნდს მაინც შერჩა ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შანსიო... საბამ 11,3 კილომეტრი დაფარა, მისი 49 პასიდან 38 ზუსტი იყო, ჩვენებური 2-ჯერ დაჯარიმდა.

ავსტრიულმა „შტურმმა“ ზუსტად იმ ანგარიშით დაასრულა თამაში, როგორც „ზესტაფონთან“ გასვლით მატჩში - 1:1. ასე რომ, თუ ქართული კლუბი ვერ გავიდა ჯგუფურ ეტაპზე, ერთი ქართველს მაინც კარგი შანსი გაუჩნდა იქ მოხვედრის - „შტურმში“ ხომ **გიორგი ფოფხაძე** თამაშობს. ბატე-სთან გიორგიმ 90 წუთი გაატარა მოედანზე. ფოფხაძემ 11,3 კილომეტრი გაირბინა, მისი 38 პასიდან 28 ზუსტი იყო, გიორგი ერთხელაც არ დაჯარიმებულა.

ხუთი წყვილიდან მხოლოდ ერთზე ვიტყვით, რომ ყველაფერი თითქმის გარკვეულია - ჩეხეთის ჩემპიონმა, პლზენის „ვიქტორიამ“ სტუმრად 3:1 მოუგო დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენს“ და, არა გვგონია, სამშობლოში ამხელა უპირატესობა ხელიდან გაუშვას. ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს „ბენფიკას“ პორტუგალიელებმა ჰოლანდიაში („ტვენტეს“ წინააღმდეგ) 2:2 ითამაშეს. ყველაზე საინტერესო წყვილში კი „არსენალმა“ 1:0 მოუგო „უდინეზეს“, იტალიელთა კარში ერთადერთი გოლის ავტორი **თეო უოლკოტია**. დღეს საქმეში ისეთი კლუბები ჩაერთვებიან, როგორიც „ბაიერნი“ და „ვილიარეალია“.

დღეს

ვისლა (პოლონეთი)-აპოელ (კვიპროსი)	22:45
მაძაგი ჰ. (ისრაელი)-გენკი (ბელგია)	22:45
დინამო ზ. (ხორვატია)-მალმიო (შვედეთი)	22:45
ოდენსე (დანია)-ვილიარეალი (ესპანეთი)	22:45
ბაიერნი (გერმანია)-ციურიხი (შვეიცარია)	22:45

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ესპანური ტრანსფერები

აგვისტო

თარიღი	ფეხბურთელი	საიდან	სად	თანხა
1 აგვისტო	კოფი რომარიკი	სევილია	ბურსა	2 მლნ ევრო
1 აგვისტო	ფრანსისკო სუტილი	სოსიედადი	მურსია	თავ. აგენტი
1 აგვისტო	რობერტო ხიმენესი	ბენფიკა	სარაგოსა	8,6 მლნ.
1 აგვისტო	ხეფრენ სუარესი	ბარსელონა	სპორტინგი ლ.	5 მლნ.
2 აგვისტო	დავიდ ფერეირო	გრანადა	კადისი	იჯარა
2 აგვისტო	კიკე ლოპესი	სალამანკა	ვილიარეალი ბ.	თავ.
2 აგვისტო	ფერნანდო გერერო	ხოსე ტირანი	ვილიარეალი ბ.	იჯარა
2 აგვისტო	ასიერ დელ ორნო	ვალენსია	ლევანტე	თავ. აგენტი
2 აგვისტო	ხავიერ პორტილიო	ერკულესი	ლას პალმასი	თავ. აგენტი
3 აგვისტო	ალან ნიოვი	უდინეზე	გრანადა	იჯარა
3 აგვისტო	ელდინ ჯადჟიჩი	ერკულესი	ვალენსია ბ.	იჯარა
4 აგვისტო	ხავიერ არისმენდი	ხეტაფე	ძსამაძსი	იჯარა
4 აგვისტო	მიკელ გალენზიაგა	ბილბაო	ვალიადოლიდი	თავ. აგენტი
4 აგვისტო	დავიდ გარსია	ესპანიოლი	ხირონა	თავ. აგენტი
4 აგვისტო	გაბრიელ მილიტო	ბარსელონა	ინდეპენდიენტე	თავ. აგენტი
5 აგვისტო	არმენგოლ ორტეგა	ლას ჯალმასი	ვალენსია ბ.	თავ. აგენტი
5 აგვისტო	ფრან რიკო	რეალი ბ.	გრანადა	1 მლნ.
5 აგვისტო	ნიკი ბილე	ვილიარეალი ბ.	ელჩე	იჯარა
9 აგვისტო	მატეო კონტინი	სარაგოსა	სიენა	იჯარა
9 აგვისტო	რაულ გონი	სარაგოსა	კარტახენა	იჯარა
10 აგვისტო	მიკელ როგუსტი	ლევანტე	ხერესი	თავ. აგენტი
10 აგვისტო	აჩილე ემანა	ბეტისი	ალ-ჰილალი	4,5 მლნ.
11 აგვისტო	დავიდ ლოპესი	ესპანიოლი	ლეგანესი	იჯარა
11 აგვისტო	გუსტავო კაბრალი	ტაკოსი	ლევანტე	იჯარა
11 აგვისტო	ანტონიო ლოსანო	ვალენსია	ალკოიანო	იჯარა
12 აგვისტო	არდა თურანი	გალათასარაი	ატლეტიკო	12 მლნ.
12 აგვისტო	ხორხე გალანი	ოსასუნა	კილმარნოკი	იჯარა
12 აგვისტო	ფრანკო სუკულინი	ჰოფენჰაიმი	სარაგოსა	იჯარა
13 აგვისტო	ხუან ვალერა	ატლეტიკო	ხეტაფე	თავ. აგენტი
13 აგვისტო	რობერტო ტარაშორასი	სელტა	ვალიანო	იჯარა
13 აგვისტო	კრისტიან სტუანი	რეჯინა	რასინგი	იჯარა
13 აგვისტო	დავიდ დე ჯონი	გრანადა	კადისი	თავ. აგენტი
13 აგვისტო	კარლუშ მარტინეზი	ბენფიკა	გრანადა	იჯარა
13 აგვისტო	რამონ არაკსი	რასინგი	უელვა	თავ. აგენტი
13 აგვისტო	ადრიან სარდინერო	ხეტაფე	ერკულესი	იჯარა
14 აგვისტო	ნელსონ ვალდესი	ერკულესი	რუბინი	4 მლნ.
14 აგვისტო	ინიგო დიას დე სერიო	ბილბაო	ნუმანსია	იჯარა
14 აგვისტო	სესკ ფაბრეგასი	არსენალი	ბარსელონა	29 მლნ.
15 აგვისტო	სამსონ კაიოდე	ატლეტიკო	გრაგა	იჯარა
15 აგვისტო	ომარ მონტერდე	ლევანტე ბ.	ალკოიანო	თავ. აგენტი
15 აგვისტო	როდრი	სევილია	ბარსელონა ბ.	1,5 მლნ.
15 აგვისტო	ფერნანდო მეირა	ზენიტი	სარაგოსა	თავ. აგენტი
16 აგვისტო	ჟორჟე რიბეირო	ბენფიკა	გრანადა	თავ. აგენტი
16 აგვისტო	მიკელ ლაბაკა	სოსიედადი	ვალიანო	თავ. აგენტი
16 აგვისტო	კარლოს ველა	არსენალი	სოსიედადი	იჯარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● მანჩესტერ სიტი

ეს ჯერ ფორმაში არ არის

23 წლის არგენტინელმა ვარსკვლავმა, **სერხიო აგუერომ** „მანჩესტერ სიტიში“ კარიერა საუცხოოდ დაიწყო — „სუონსისთან“ შეხვედრაში მოედანზე ნახევარი საათით შევიდა და ორი გოლი თავად შეაგდო, ერთი კი **დავიდ სილვას** გაატანინა. მადრიდის „ატლეტიკოს“ ყოფილმა თავდამსხმელმა, რომელშიც ისტლენდელებმა 43 მილიონი ევრო გადაიხადეს, პირველი გოლი შესვლიდან 8 წუთში გაიტანა, მეორე კი მსაჯის ნამატებულ დროში შორეული დარტყმით დაამატა. კიდევ ერთი, რიგით პირველი გოლი „სუონსის“ კარში **ედინ ჯეკომ** შეაგდო.

აქამდე, „სიტის“ მწვრთნელი **რობერტო მანჩინი** აგუეროს არ ათამაშებდა, „კოპა ამერიკას“ შემდეგ დაღლილია და ჯერ ფორმაშიც არ არისო. არგენტინელის ფორმაზე მანჩინიმ „სუონსის“ 4:0 ძლევის შემდეგაც ილაპარაკა, იგივე გამიეორა, ჯერ ფორმაში არ არისო, მაგრამ, ამჯერად, იტალიელის ნათქვამი სხვანაირად ჟღერდა - თითქოს მეტოქეებს აფრთხილებდა, რომ შევა, მერე ნახეთ თქვენი ბრალიო.

მანჩინი: *„ეს იყო იდეალური დასაწყისი, მიუხედავად იმისა, რომ აგუერომ გუნდთან ერთად მხოლოდ ათი დღე იმუშავა, სრულყოფილ ფორმაში შესასვლელად კი ორ-სამ, კვირიანი ინტენსიური ვარჯიში კიდევ სჭირდება. იმის თქმა არ მინდა, რომ გადაღლილია, მაგრამ ვინაიდან „კოპა ამერიკას“ შემდეგ ჯერ ერთი თვეც არ გასულა, მას ძალთა აღმდგენი ვარჯიშები სჭირდება. გარწმუნებთ, აგუერო გაცილებით უკეთ ითამაშებს.*

დღეს მისმა გამოსვლამ სულაც არ გამაოცა, რადგან კარგად ვიცი რა ფეხბურთის თამაშიც შეუძლია არგენტინელს. მას ნაკრებსა და ესპანეთის ჩემპიონატში ბევრი გოლი აქვს გატანილი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აგუერო და სილვა ერთსა და იმავე საფეხბურთო ენაზე ლაპარაკობენ. ისინი ორივენი ფანტასტიკურები არიან“.

„მანჩესტერ სიტის“ ახალწვეულის ქება არც დამარცხებული უელსური გუნდის მწვრთნელმა, **ბრენდენ როჯერსმა** დაიზარა:

„დღეს ჩვენ დიდებული გაელვება ვნახეთ. კუნ აგუერო მსოფლიო კლასის ფეხბურთელია, რომლის ძალა და დონე, გასაოცარი გახლდათ. მისმა ორმა გოლმა გვაჩვენა, რომ არგენტინელი მეტოქის საჯარიმო მოედანში შესავარდნად ყოველწამს მზად არის და იმავდროულად შესანიშნავი დარტყმა აქვს დაყენებული“.

„მანჩესტერ სიტის“ მეკარე **ჯო ჰარტი**: *„აგუერომ ეფექტი მოახდინა, ხომ მართალია? მართალი გითხრათ, მის თამაშს მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობდი, რადგან მწვრთნელი უფრო მეტად ასვენებდა, მაგრამ აგუეროზე მსჯელობა მისი სატრანსფერო ფასით შემეძლო. დღეს ვხედავ, რომ მასში ამხელა თანხის გადახდა მართლაც ღირდა“.*

დავუბრუნდეთ მანჩინის. ისე როგორ იქნებოდა, „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელი პრესკონფერენციაზე მისულიყო და ჟურნალისტებს **კარლოს ტევესის** შესახებ არ ეკითხათ. მანჩრომ თქვა, რომ 27 წლის თავდამსხმელი შესაძლოა „სიტიში“ დარჩეს და თანამემამულე აგუეროს მხარდამხარ ითამაშოს. რაღაც ამდაგვარი თქვა ისტლენდელთა აღმასრულებელმა შეფმა **გერი კუკმაც**.

მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერში დაბრუნდა, ტევესი „სიტისა“ და „სუონსის“ თამაშს არ დასწრებია, მაგრამ კუკმა ბრძანა:

„კარლოსი ჯერ კიდევ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელია და მისი აგუეროს მხარდამხარ ხილვა გუნდის ყველა ფანის ოცნებაა“.

შემდეგ დირექტორს ჰკითხეს, იქნება თუ არა ტევესი „სიტის“ ფეხბურთელი 31 აგვისტოს შემდეგაც.

„მე არ მილაპარაკია ისეთ ადამიანთან და არ მსმენია ისეთი რამ, რაც მაფიქრებინებდა, რომ ტევესი 31 აგვისტოს შემდეგ სხვაგან ითამაშებს“ - უპასუხა კუკმა.

● ინგლისის ნაკრები

ამას არც კაპ-ელლოდა

ინგლისის ნაკრებისა და „არსენალის“ ნახევარმცველი, 22 წლის **თეო უოლკოტი ფაბიო კაპელოსგან** შერისხვას ელოდება. მიზეზი: უოლკოტმა ავტობიოგრაფიული წიგნიში ეროვნული გუნდის იტალიელი მწვრთნელის შესახებ ისე დაწერა, რაც მას აშკარად არ ესიამოვნება. წიგნს დაახლოებით ასე ჰქვია: „სწრაფად გაზრდილი ბიჭი“... შეგვიძლია „სწრაფად დაკაცების ისტორიაც“ ვუწოდოთ. მასში უოლკოტი იხსენება, როგორ უყვიროდა კაპელო, იცოდე, მოგკლავო. ეს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, მოსამზადებელი პერიოდის დროს, ერთ-ერთ ვარჯიშზე მოხდა, როდესაც ის გარღვევის დროს ფლანგიდან საჯარიმოში შევარდა. ამ ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელმა გარემარბი თუ განაპირა ნახევარმცველი (თუ გნებავთ, ჰაფბეკი) აითვალწუნა და სამხრეთ აფრიკაში აღარ ნაიყვანა.

უოლკოტი წერს: *„მართალი გითხრათ, ზუსტად არასდროს ვიცოდი, რას ითხოვდა კაპელო მოედანზე ჩემგან. დავიზაფრე. იმ სე ზონში დავშავდი, შედეგად საკუთარი თავის რწმენა შემერყა, მაგრამ არავინ დამხმარებია. არადა, თუ მწვრთნელი ხარ, წესით, უნდა გინდოდეს, შენმა ყველა ფეხბურთელმა კარგად ითამაშოს და მათ ხელს უნდა უწყობდე. კაპელოს საქციელმა გულში ლახვარი ჩამასო. თავი უსამართლოდ დაჩაგრულად ვიგრძენი“.*

წიგნში უოლკოტი იხსენებს, როგორ აარიდა კაპელომ თვალი სასტუმროში, როდესაც მან გუნდის კრების გაცდენის შემდეგ ბოდიშის მოხდა გადაწყვიტა და მასთან, მწვრთნელთან, მივიდა. იტალიელს არსენალელისთვის კარი პირდაპირ ცხვირწინ მიუჯახუნებია.

უოლკოტის მოგონებებში გახლავთ აღწერილი (უფრო სწორად კი დადასტურებული) ის ამბავი, თუ როგორ ესროლა მწვრთნელმა **ემილ ჰესკის** რაღაც საგანი - ეს დონეცკში, სადილობისას მოხდა, როდესაც კაპელოს მობილურების გამორთვა ჰქონდა ნაბრძანები, მაგრამ შეამჩნია, რომ ჰესკი მესიჯს აგზავნიდა. ავტორმა არც თანაგუნდელები დაინდო. მას აღწერილი აქვს ისტორია, თუ როგორ გადატეხა **უეინ რუნიმ** ბილიარდის კი **ჯონ ტერისთან** პარტიის ნაგების გამო. გაზეთები წერენ, რომ ასეთი პირადი



დეტალების გამომზეურება შესაძლოა არც რუნისა და სხვა ფეხბურთელებს ესიამოვნოთ.

კაპელო დიქტატორი რომ არის და შეკამათება არ უყვარს, ამას **მაიკლ ოუენიც** ადასტურებს. ვეტერანი იგონებს თავის ბოლო გამოძახებას ინგლისის ნაკრებში. ეს ამბავი სამი წლის წინ მოხდა. ის გამოძახება 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის უკანასკნელი იმიტომ აღმოჩნდა, რომ მან გაბედა და იტალიელ მწვრთნელს უკმაყოფილოდ ჰკითხა, სათადარიგოთა სკამზე რატომ დამსვი, რატომ არ მათამაშეო.

● ტოტენჰემი

დასავლეთი ჩრდილოეთის წინააღმდეგ

„ჩელსი“ ნახევარდაცვაში დაგროვილი პრობლემების გადაწყვეტას კვლავ „ტოტენჰემისგან“ 25 წლის ხორვატი გამთამაშებლის, **ლუკა მოდრიჩის** ყიდვით აპირებს. დასავლეთლონდონელთა თავკაცი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** მოედნის შუაში გუნდის სიმკვირცხლით უკმაყოფილოა. მას მიაჩნია, რომ პრემიერლიგის პირველ ტურში, სტოკში, მისმა გუნდმა უპირველეს ყოვლისა ნახევარმცველთა მძიმე თამაშის გამო ვერ მოიგო. შეგახსენებთ, რომ მატჩი დასრულდა ფრედ, 0:0.

„ჩელსი“ „ტოტენჰემს“ მოდრიჩის სანაცვლოდ 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს ან 27 მილიონ სტერლინგს და **იოსი ბენაიუნს** სთავაზობს. 31 წლის ბენაიუნი დასავლეთლონდონელთა ებრაელი ნახევარმცველია, რომელიც ადრე „ლივერპულში“ თამაშობდა. „სანმა“ დაადგინა, რომ ბენაიუნი „უაით ჰართ ლეინზე“ გადაბარგების წინააღმდეგი სულაც არ არის.

შეგახსენებთ, რომ „ჩელსი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“ მოდრიჩის გამო მთელი ზაფხულის მანძილზე ვაჭრობენ. „ლურჯებმა“ „დეზებს“ თავდაპირველად 22 მილიონი შესთავაზეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს. მაშინ, „დეზების“ თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** თქვა, რომ ხორვატი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია და მასში მყიდველმა მხარემ იმდენი უნდა გადაიხადოს, რამდენსაც, ჩვეულებრივ, ასეთი რანგის ფეხბურთელებში იხდიან. რედნაპმა ისიც კი თქვა, მოდრიჩი „ბარსელონაში“ ძირითადის წევრი იქნებოდაო. ამის შემდეგ „ჩელსიმ“ 27 მილიონი გაიმეტა და ჩრდილოლონდონელებს ახალი წინადადებით მიმართა.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ორი ლონდონური კლუბის ვაჭრობის მიღმა ერთმა დიდმა პრობლემამაც იჩინა თავი: „სფურზის“ თავმჯდომარე **დენიელ ლივი** მოდრიჩზე გაბრაზდა და განაცხადა, რომ მას არანაირ ფასად არ გაყიდდა. ფეხბურთელს და ბოსს შორის, ივნისში, ამ უკანასკნელის კაბინეტში ხმამაღალი ლაპარაკიც კი გაიმართა. მოდრიჩი ცდილობდა მისთვის ძველი დაპირება შეეხსენებინა, რომლის თანახმადაც როგორც კი „კარზე დიდი გუნდი დააკაკუნებდა“ ლივის ის უნდა გაეშვა. ეს გახლდათ ზეპირი დაპირება, რომელიც ხორვატი ვარსკვლავის აზრით „დეზების“ თავმჯდომარემ დაივიწყა. თუმცა, ჩრდილოლონდონელთა კლუბში წონიანი სიტყვა მხოლოდ თავმჯდომარეს არ ეთქმის. იქ, გავლენიანი რედნაპიცაა, მას კი, როგორც ამბობენ, ძველებურად შეუვალი პოზა აღარ უჭირავს. ხუთშაბათს მოდრიჩი ევროლიგის პლეი-ოფში შოტლანდიურ „ჰართსთან“ არ ითამაშებსო, მრავალმნიშვნელოვნად წერენ გაზეთები.

გვერდი მოამზადა **ილია ბაბუნაშვილმა**

● არსენალი

ნასრიალდი აქედანო



„არსენალის“ ფანებს ფრანგი ნახევარმცველი, **სამირ ნასრი** უკვე ძალიან აღიზიანებთ და ისინი მის გუნდიდან გაგდებას ითხოვენ. საქმე ის გახლავთ, რომ 24 წლის ფეხბურთელმა „მეთოფეთა“ ხელმძღვანელობის კიდევ ერთ წინადადებაზე თქვა უარი. ამჯერად მას „ემირეიტზე“ კვირაში 90 ათას ფუნტს სთავაზობდნენ.

ჩრდილოლონდონური კლუბის ქომაგები ისე გაღიზიანდნენ, რომ კვირას, ნიუკასლში, სადაც ნასრის სულ არ უთამაშია, მაინც მის სახელს ახსენებდნენ და ფრანგს ლანძღავდნენ. ამან ფეხბურთელზე ძალიან იმოქმედა. მან საჯაროდ თქვა, „არსენალის“ გულშემატკივრებმა ადამიანის პატივისცემა არ იციანო. ამან თავის მხრივ უკურეაქცია გამოიწვია და ვითარებაც დაიძაბა.

„მეთოფეთა“ ქომაგებს აღიზიანებთ, რომ ნასრი „მანჩესტერ სიტის“ შეთავაზებულ ფულზე გაიყიდა. მოგეხსენებათ, „სიტი“ ჩრდილოლონდონელებს ნახევარმცველში 22 მილიონ ფუნტს უხდის. ფრანგმა „ტვიტერში“ დაწერა:

„მითხრეს, რომ ნიუკასლში ფანები ტრიბუნიდან ჩემზე მღეროდნენ. ეს დიდ უპატივცემულობად მიმაჩნია. მე ხომ ჯერ კიდევ „არსენალის“ ფეხბურთელი ვარ“.

ამის შემდეგ, კვლავ და კვლავ სოციალური ქსელის მეშვეობით, ნასრიმ „მეთოფეთა“ გულშემატკივრების ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანების ლიდერ **ტიმ პეიტონთან** იკამათა. პეიტონმა დაწერა:

„ნასრის „ტვიტები“ უადგილო და არაადეკვატურია. არსენ ვენგერმა თქვა, რომ „არსენალი“ ხელფასს მხოლოდ ერთგულ ფეხბურთელებს უნდა უხდიდეს. ნასრი ერთგული აშკარად არ არის და ამიტომ ჩვენს კლუბს რაც მალე დატოვებს, მით უკეთესი იქნება. „არსენალი“ გაცილებით დიდია, ვიდრე რომელიმე ფეხბურთელი“.

● სერია A

კალჩოს სატრანსფერო ციებ-ცხელება

საფეხბურთო იტალია სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია ჩართული და სპორტულ პრესაში მეტწილად შემდგარი თუ შესაძლო გარიგებების შესახებ იწერება. უკვე არაერთი მსუყე ტრანსფერი გაიჩარხა და დიდია შანსი, უახლოეს დღეებში კიდევ უფრო საინტერესო ტრანსფერების შესახებ შევიტყოთ. თუნდაც, სამუელ ეტოოს "ინტერიდან" "ანჟიში" გადაბარგების ამბავი რად ღირს, რომელსაც დღე დღეზე ველოდებით. ქვემოთ, სერია A-ს გუნდების სატრანსფერო გეგმების შესახებ მოგითხრობთ – დღეს, პირველ ათ გუნდზე გვექნება საუბარი, ხვალინდელ ნომერში კი დარჩენილ კლუბებზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას.



ალბერტო ჯილარდინო

ტრანკვილო ბარნეტა

ატალანტა

ბერგამოული კლუბის მესვეურებმა მადლობა უნდა თქვან, რომ მომავალი სეზონის გატარება სერია B-ში არ მოუწევთ. "ატალანტას" რამდენიმე მოთამაშე ჩაწყობილი მატჩების ორგანიზებაში ამხილეს და მოკვეთეს კიდეც ფეხბურთიდან. მათ შორის გახლდათ გუნდის ლიდერი და კაპიტანი **კრისტიანო დონი**. "გაძეტა დელო სპორტში" გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, დონის შემცვლელის ძიება უკვე დაწყებულია და დიდია შანსი, ბერგამოულ კლუბს **ალესანდრო როზინამ** მიაშუროს. ისიც შუა ხაზში ირჯება, ტექნიკურია და ლიდერის თვისებებით გახლავთ დაჯილდოებული.

ბოლონია

კლუბს მუდმივი პრობლემები აქვს ადმინისტრაციაში და ცვლილებები უფრო ამ კუთხით არის მოსალოდნელი. დიდია შანსი, მცველმა **მორასმა** დატოვოს გუნდი, რომლის მიმართაც "სამპდორია", "ნაპოლი" და "კალიარი" იჩენენ ინტერესს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **მაკდონალდ მარიგას** გადაბირებით გახლავთ დაინტერესებული, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს გარიგება შედგეს. ამბობენ, რომ მოლაპარაკების წარმატებით დასრულების ალბათობა საკმაოდ მცირეა. სხვა მხრივ, "ბოლონია" გაძლიერებას არ აპირებს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გუნდმა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

კალიარი

არაერთი გუნდი იჩენს ინტერესს **ანდრეა კოსუს** მიმართ, მაგრამ მისი გაშვება სარდინიული კლუბის მესვეურებს არ სურთ. სამაგიეროდ, ვერაფერი გააწყვეს და **ანდრეა ლაძარი** ვერ შეინარჩუნეს, იგი მომდევნო სეზონიდან "ფიორენტინას" ღირსებას დაიცავს. სარდინიელები ორ-სამ ფეხბურთელს აუცილებლად დაიმატებენ, რაც კლუბის პრეზიდენტის სიტყვებით დასტურდება. პრესაში გაჟღერებული ცნობის თანახმად, "კალიარიში" გადასვლასთან ახლოს არის **სიმონე ლორია**, რომელიც "რომადან" უბოდიშოდ გამოუშვეს. არადა, ლორია კვალიფიციური მცველია და უშუალო მოვალეობების შესრულების გარდა, გოლების გატანაც ეხერხება. მთლიანობაში, კუნძულელები მაინც პასიურნი არიან სატრანსფერო ბაზარზე და ისეთი პირი უჩანს, რომ მხრივ არც მომავალში შეიცვლება რამე. სამაგიეროდ, შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, **რობერტო დონადონის** ნაცვლად, გუნდს მისი სეხნია, **რობერტო ფიკადენტი** განვრთნის.

კატანია

"კატანია" სამხრეთამერიკულ ბაზარზეა აქტიური, განსაკუთრებით კი არგენტინელი ფეხბურთელების მიზიდვით არის დაკავებული. თუმცა, ამ ზაფხულს განსხვავებული ვითარებაა – ზოგადად, სიცილიელებს გარღვევა აქვთ ბიუჯეტში და არათუ გაძლიერებაზე, შემადგენლობის შენარჩუნებაზე არიან კონცენტრირებულნი. მაგალითად, **მაქსი ლოპესის** გადაბირებით "ფიორენტინაა" დაინტერესებული და ფეხბურთელს საკმაოდ სარფიან ხელშეკრულებასაც სთავაზობს. თუმცა, იქამდე კლუბებს შორის უნდა შედგეს შეთანხმება. სიცილიელები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევიან ლოპესს, თუკი არგენტინელი ფორვარდის სანაცვლოდ მსურველი გუნდი მინიმუმ 15 მილიონ ევროს გადაიხდის.

შესაძენ ფეხბურთელთა სიაშია **ნიკოლა ლეგროტალიე**, რომელმაც გასული სეზონის პირველი ნახევარი "იუვენტუსში" გაატარა, ხოლო მეორე ნახევარი "მილანში". არც "ოლიმპიკოზე" უწევდა თამაში და არც "სან სიროზე" - გამომდინარე აქედან, მოკრძალებული შესაძლებლობების გუნდში განიზრახა გადასვლა და დიდია შანსი, არჩევანი სწორედ "კატანიაზე" შეაჩეროს.

ჩეზენა

"ჩეზენამ" გასული სეზონი ძალიან კარგად დაიწყო, თუმცა შემდეგ აურია, სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა და გავარდნას ძლივს გადაურჩა. როგორც კლუბის მესვეურები აცხადებენ, გაძლიერება ყველა რგოლს ესაჭიროება და სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებენ. **ადრიან მუტუს** გადაბირებით თავდასხმას ასე თუ ისე მიხედეს და უკანა ხაზზე გადაერთვნენ. ნახევარდაცვისთვის **მანუელე ბლაზის** გადაბირება და **ხორხე მარტინესის** იჯარის წესით აყვანა სურთ. გარდა ამისა, დაინტერესებულნი არიან "იუვენტუსის" იმედისმომცედმი შუახაზელ **ჯანდონატოთი**. გარდა ამისა, "ჩეზენას" ინტერესების სფეროშია "სამპდორიას" კაპიტანი **ანჯელო პალომბოა**.

კიევი

"კიევი" ტრადიციულად პასიურია სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ მაინც ახერხებს და ყოველწლიურად ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავს. ვერონული კლუბის მესვეურები არც ამ ზაფხულს გეგმავენ ხმაურიანი ტრანსფერების გაჩარხვას და გაძლიერებას ლოკალური მასშტაბით აპირებენ. ბოლო ინფორმაციით, ვერონელები "ლაციოს" მესვეურებს შეეხმიანენ და **სერჯო ფლოკარის** ტრანსფერზე ჩამოუგდეს სიტყვა. შეგახსენებთ, რომ ფლოკარიმ სწორედ "კიევოში" ასპარეზობით გაითქვა სახელი და იქ დაბრუნების სურვილი ჯერ კიდევ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გამოთქვა. ფლოკარის რომ "ლაციოდან" აბარგება მოუნევს, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია და გადავა თუ არა "კიევოში", ამას დრო გვიჩვენებს.

ფიორენტინა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ "ფიორენტინას" მესვეურები "კატანიადან" მაქსი ლოპესის გადაბირებით არიან დაინტერესებულნი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ალბერტო ჯილარდინო** "ჯენოაში" გააგრძელებს კარიერას. ჯილას გენუაში გადაბარგების ამბავი ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ თუ **ენრიკო პრეციოზის** დავუჯერებთ, ამ საქმეს წინ ვეღარაფერი დაუდგება. ჯილარდინომდე გუნდი **ადრიან მუტუმ** დატოვა და ბუნებრივია, რომ გუნდს თავდასხმაში სჭირდება გაძლიერება. კლუბის პრეზიდენტმა, **ანდრეა დელა ვალემ მაურო სარატეს** დაადგა თვალი, რომელიც **ედუარდო რეიას** გეგმებში ველარ ჯდება და "ლაციოდან" წასვლაზე უჭირავს თვალი. მართალია, სარატეს არაბული და რუსული კლუბები კოლოსალურ თანხებს სთავაზობენ, მაგრამ დიდია შანსი, არჩევანი მაინც "ფიორენტინაზე" შეაჩეროს.

ჯენოა

გენუელები, როგორც ყოველთვის, აქტიურად არიან ჩართულნი სატრანსფერო ციებ-ცხელებაში. შემდგარ ტრანსფერებზე აღარ გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას, რადგან ამის შესახებ არაერთხელ გვაქვს მონათხრობი. სამაგიეროდ, ჯერ არ გვითქვამს ის, რომ **ენრიკო პრეციოზიმ** თავზე ხელი აიღო და **ნილმარის** გადაბირების საკითხზე "ვილიარეალის" მესვეურებს შეეხმიანა. ძნელად სავარაუდოა, რომ პრეციოზიმ მიზანს მიაღწიოს, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რომ ამბიციებს არ უჩივის. მთავარ ამბავზე კი უკვე მოგიყევით: უახლოეს დღეებში **ალბერტო ჯილარდინოს** გენუაში გადაბარგების ცნობებს ველოდებით.

ინტერი

სამუელ ეტოოს "ინტერიდან" წასვლა პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია და ბუნებრივია, ეს ბევრ რამეს შეცვლის მილანურ გუნდში. პირველ რიგში, ახალი ფორვარდის მოძებნაა საჭირო და ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. **კარლოს ტევესი, დიეგო ფორლანი, დიდიე დროგბა** - ეს იმ თავდამსხმელთა ჩამონათვალია, რომელთა საკუთარ გუნდში ხილვა **მასიმო მორატისა** და **ჯანპიერო გასპერინის** ტანდემს სურს. ყველაზე ხშირად მაინც ფორლანის შესახებ იწერება და ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ისტორიას. გარდა ამისა, "ინტერი" **ხავიერ მასკერანოს** გადაბირებითაც გახლავთ დაინტერესებული და უახლოეს მომავალში, შესაბამისი შინაარსის შეთავაზებაც გაკეთდება.

იუვენტუსი

"იუვენტუსის" მესვეურებმა სატრანსფერო ფანჯრის პირველ პერიოდში იაქტიურეს, შემდეგ, გარკვეული პაუზა აიღეს და იქამდე ნაყიდ მოთამაშეებს **მირკო ვუჩინიჩიც** დაამატეს. ბოლო ცნობების თანახმად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ "იუვენტუსის" მაისურს შვეიცარიელი ნახევარმცველი **ტრანკვილო ბარნეტა** მოირგებს, რომელმაც გასული სეზონი ლევერკუზენის "ბაიერში" გაატარა. "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, ბარნეტას სანაცვლოდ ტურინელები 7 მილიონ ევროს გადაიხდიან.

ლაშა ნიკლაური

● ტრანსფერი

ვენგერი: სესკს ვერ დავაბამდით!

„არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** აღიარა, რომ 24 წლის კაპიტნის, **სესკ ფაბრეგასისთვის** ბრძოლაში მარცხი იწვნია. ნახევარმცველი უკვე ორი დღეა ოფიციალურად „ბარსელონას" მოთამაშე გახლავთ. ვენგერი მთელი ზაფხულის განმავლობაში დაჟინებით იმეორებდა, რომ „არსენალი" ფაბრეგასისა და **სამირ ნასრის** გასხვისების ნებას თავს ვერ მისცემდა, მაგრამ პირველი ამბავი უკვე აღსრულდა და, სავარაუდოდ, მეორეც მალე აღსრულდება. არადა, საინტერესოა, რომ ვენგერი ჯერ კიდევ გასულ პარასკევს აცხადებდა, ფაბრეგასს არ ვყიდიო. დღეს ჩრდილოლონდონელთა თავკაცი ასე ბრძანებს:

„ყველამ ერთი რამ უნდა გაიგოს: სესკი „ბარსელონაში" იმიტომ არ წავიდა, რომ ბევრი ფული გადაუხადეს ან „არსენალი" არ უყვარდა. მას გულმა თავისი ბავშვობის ქალაქისა და გუნდისკენ გაუწია, ეს იყო და ეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბავშვობაში ის „ბარსელონას" საფეხბურთო სკოლაში თამაშობდა. დიახ, ჩვენ მსოფლიო დონის ფეხბურთელი დავკარგეთ, რასაც ძალიან განვიცდით. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ ფაბრეგასის შესანარჩუნებლად, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთელის სურვილსა და გადაწყვეტილებას ჰატივი ვეცით. „არსენალი" 125 წლის კლუბია და ამ ხნის განმავლობაში ის ბევრ დიდ ფეხბურთელს დაუტოვებია. შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ცხოვრება გრძელდება და ჩვენ შეგვწევს ძალა ფაბრეგასის წასვლის შემდეგაც წარმატებით ვიბრძოლოთ სხვადასხვა ფრონტზე".

ბოლოს ვენგერს პირდაპირ ჰკითხეს, აღიარებს თუ არა ის, რომ ფაბრეგასისთვის ბრძოლაში დამარცხდა.

„ვაღიარებ, მაგრამ ამაზე რომ ლაპარაკობთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამ შემთხვევაში სპეციფიკურ მომენტთან გვქონდა საქმე — ის ბარსელონელია. მერედა, ფაბრეგასს გულმა გაუწია კლუბისკენ, რომელსაც დღეისათვის მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. ვიმეორებ, სესკს ეს გადაწყვეტილება ფულის გამო არ მიუღია".

ვენგერს ისიც ჰკითხეს, დარჩა თუ არა მას გულში წყენა.

„სესკმა ჩვენ თავისი კარიერის რვა წელიწადი მოგვიძღვნა. მასთან ყოველდღიური ურთიერთობა და მუშაობა სასიამოვნო იყო. მოდი ნუ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს ის დაბრუნდეს. ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება".

ცნობისთვის: „ბარსელონასთან" გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ფაბრეგასის „ბარსელონასგან" გამოსყიდვის უპირველესი უფლება „არსენალს" აქვს, თუმცა კატალონიელებმა ვარსკვლავს 175 მილიონი ფუნტი დაადეს. ეს ევროებში 199.5 მილიონია. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ „ბარსა" ფაბრეგასს, ოდესმე, სხვა გუნდს მიჰყიდის, სატრანსფერო თანხის ნახევარი „მეთოფეებს" გადაერიცხება.

ვენგერს მიაჩნია, რომ „არსენალმა" თავისი კაპიტანი იაფად გაყიდა:

„რასაკვირველია, ჩვენ სესკი იაფად გავყიდეთ. ნებისმიერ სხვა კლუბს მეტს გამოვართმევდით. თუ „რეალის", „მანჩესტერ სიტისა" და „ჩელსის" მონაწილეობით აუქციონს მოაწყობ, ფაბრეგასის დონის ფეხბურთელში დიდ ფულს გამოჰკრავ ხელს".

ილია ბაბუნაშვილი

16 აგვისტო. თბილისი, სპორტის სასახლე

5 000 მაყურებელი

საქართველო-ისრაელი 97:91

24:25, 21:18, 24:23, 28:25

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, დ. ბერიშვილი

საქართველო	წთ	2ქ	3ქ	1ქ	მ	პ	ფ	ფ-მეტ.	შ	ჩ	დ	ქ
ცინცაძე	26	1/3	0/3	0/0	4	7	0	3	2	1	0	2
მარკოიშვილი	26	3/6	1/4	4/4	7	3	0	4	0	1	0	13
სანიკიძე	25	3/4	3/4	0/0	6	4	3	0	0	0	2	15
ვ. გოისა	18	6/8	0/0	1/1	3	2	4	1	1	0	0	13
ფაჩულია	29	6/12	0/0	6/6	7	2	2	7	1	0	3	18
გამყრელიძე	8	1/2	0/1	0/0	1	2	1	0	1	2	0	2
შერმადინი	10	1/1	0/0	3/3	4	0	2	2	0	0	2	5
ცქიტიშვილი	21	2/5	2/4	0/0	3	2	2	2	1	0	1	10
შენგელია	16	3/4	0/0	4/6	7	0	3	4	4	0	2	10
ჰეინსი	21	3/6	1/4	0/0	2	3	1	1	2	0	0	9
სულ		29/51	7/20	18/20	46	25	18	24	12	4	10	97

ისრაელი	წთ	2ქ	3ქ	1ქ	მ	პ	ფ	ფ-მეტ.	შ	ჩ	დ	ქ
ოჯაიონი	21	0/5	0/1	1/2	2	9	4	1	1	3	1	1
ნაიმი	8	0/1	0/1	3/3	1	0	0	2	1	0	0	3
გლუ	22	3/5	2/5	2/2	4	0	5	1	2	0	0	14
პნინი	33	2/2	7/11	1/2	2	4	4	2	1	0	0	26
მეკელი	24	3/7	1/1	1/2	2	4	0	2	0	0	0	10
ბურშტეინი	33	3/7	2/5	2/2	6	1	2	1	0	2	0	14
ელიაჰუ	22	7/12	0/0	0/3	4	2	4	4	1	1	1	14
კადირი	18	1/3	0/0	1/2	4	2	2	4	1	0	0	3
გრინი	8	3/6	0/0	0/0	2	0	1	0	0	0	0	6
კოკია	10	0/1	0/0	0/0	2	0	2	1	0	0	0	0
სულ		22/49	12/24	11/18	32	22	25	18	7	6	2	91

შენიშვნა: წთ - წუთი, 2ქ - ორქულიანი, 3ქ - სამქულიანი, 1ქ - საჯარიმო, მ - მოხსნა, პ - პასი, ფ - ფოლი, ფ-მეტ - ფოლი მეტოქეს, შ - შეცდომა, ჩ - ჩაჭრა, დ - დაფარება, ქ - ქულა.

მოვიტოვეთ ისრაელი, ნაკრებს ახლა ლიგვა ელის

ჰეინსმა 3 შედეგიანი გადაცემა შეასრულა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფაჩულია მატჩის საუკეთესოდ დაასახელეს

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ევროშეტევა

სამქულიანების წვიმა, ჩატენვების სეტყვა, გულშემატკივართა ქუხილი და ქულების კორიანტელი - მოკლედ, გუშინ სპორტის სასახლეში მისული ერთი ქომაგიც არ დარჩებოდა უკმაყოფილო. ვიხილეთ ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი თამაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობით. ქართულ „საკალათბურთო ამინდს“ იოლად შეეგუა ისრაელის ნაკრებიც. მეტსაც გეტყვით - ზემოთ სამქულიანების წვიმა რომ ვახსენეთ, სწორედ ებრაელების ტყორცნებს ვგულისხმობდით. მათ 12 შორეული სროლა გამოიყენეს (24-დან), რაც მეტად მაღალი მაჩვენებელია, თუმცა ქართველთათვის ეს სამქულიანები მტკივნეული არ ყოფილა, რადგან **ზაზა ფაჩულია** და მისი მეგობრები ფარქვეშიდან ქულას-ქულაზე აგროვებდნენ და ებრაელებს დაწინაურების შანსს არ აძლევდნენ.

ქართველთა მხრიდან კი სანახაობრივ მხარეს ეფექტური ზემოდან გდებები მატებდა. **ცქიტიშვილის**, ფაჩულიასა და **სანიკიძის** გარდა უკანახაზელებმა, **მარკოიშვილმა** და **ჰეინსმაც** გაახარეს გულშემატკივრები ჩატენვებით. არადა, რამდენიმე დღის წინ მარკიზ ჰეინსმა დაიჩივლა: საქართველოს ნაკრებში თავს მშვენივრად ვგრძნობ, მაგრამ აქამდე რვა მატჩი ჩავატარე და ერთხელაც არ ჩამიტენიაო. ჰოდა, მარკიზმა ახალ სამშობლოში გამართულ პირველივე მატჩში დაგვანახა, რომ კარგი ნახტომიც აქვს და ეხერხება.

მოკლედ, გულშემატკივარმა თვალსასეირო მატჩი იხილა, რომელშიც ორივე გუნდი მიუახლოვდა 100-ქულიან ნიშნულს, რაც არცთუ ხშირად ხდება. თუმცა, მედალს მეორე მხრიდანაც უნდა დავხედოთ, რაშიც კაპიტანი ზაზა ფაჩულია დაგვეხმარება.

...და დაცვა?

- თამაშის ხასიათით გულშემატკივარი კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო - უხვქულიანი შეხვედრა გამოვიდა. მეტევაში თამაშით ჩვენც კმაყოფილები ვართ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კალათბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია დაცვა. 100 ქულამდე ყოველ მატჩში ვერ ახვალ, ამიტომ, აუცილებელია დაცვაში დამაჯერებელი თამაში. ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია. დრო კიდევ გვაქვს და უარყოფით მხარეებზე კიდევ ვიმუშავებთ. ევრობასკეტამდე რაც უფრო ნაკლები დრო რჩება, მით მეტად მობილიზებული უნდა ვიყოთ და ერთობლივად ბევრი ვიმუშაოთ, - თქვა ზაზამ.

ქართველთა დაცვა რიგ ეპიზოდებში ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე. ისრაელის ნაკრების კალათბურთელები ფარქვეშიდანაც სიზუსტით გამოირჩეოდნენ, საშუალო დისტანციიდანაც და პერიმეტრიდანაც. აკი გითხარით 24-დან 12 სამიანი გამოიყენეს-თქო. **არიკ შივეკს** შეკრული გუნდი ჰყავს. მისი შეგირდები ბურთს სწრაფად ათამაშებდნენ და სატყორცნ პოზიციაზე ხან **ბლუ** გაჰყავდათ, ხან **პნინი,** ხანაც **ბურშტეინი**. მათ შემყურეს შარშანდელი ბელგიის ნაკრები გამახსენდა. ასე რომ, ბელგიასთან ოფიციალური მატჩის წინ ისრაელთან დაპირისპირება სასარგებლო უნდა იყოს. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლეულს ბენილუქსელებს ცენტრი **დიდიე მბენგა** დაემატათ და შესაძლოა თამაში პერიმეტრიდან ნაწილობრივ ფარქვეშ გადაიტანონ. არც ამან უნდა შეგვაშინოს, წინა ხაზში ხომ ფაჩულია და **შერმადინი** გვყავს. აქვე გეტყვით, რომ მატჩის შემდეგ რადიო „ჯაკომ“ ქართველთა მხრიდან საუკეთესო კალათბურთელად ფაჩულია, ხოლო სტუმართაგან პნინი დაასახელა.

ნიკა ცქიტიშვილი ებრაელებს დაუსხლტა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ქრონოლოგია

IV პერიოდი

09:45	მეკელი 2ქ (69:68)
09:21	პნინი 3ქ (69:71)
09:02	შენგელია 2ქ (71:71)
08:46	მეკელი 3ქ (71:74)
08:20	ცქიტიშვილი 2ქ (73:74)
07:57	ჰეინსი 2ქ (75:74)
07:39	პნინი 3ქ (75:77)
07:24	ცქიტიშვილი 3ქ (78:77)
07:01	მარკოიშვილი 3ქ (81:77)
06:34	მარკოიშვილი 2ქ (83:77)
06:20	პნინი 3ქ (83:80)
05:25	ელიაჰუ 2ქ (83:82)
04:34	სანიკიძე 2ქ (85:82)
04:06	ფაჩულია 2ქ (87:82)
03:47	ელიაჰუ 2ქ (87:84)
03:19	ელიაჰუ 2+1ქ (87:86)
02:41	სანიკიძე 2ქ (89:86)
01:57	ვ. გოისა 2ქ (91:86)
01:04	გლუ 1+1 (91:88)
00:32	ფაჩულია 1+1 (93:88)
00:25	ელიაჰუ 2ქ (93:90)
00:15	მარკოიშვილი 1+1 (95:90)
00:08	პნინი 1ქ (95:91)
00:08	შენგელია: მოხსნა
00:05	შენგელია 1+1 (97:91)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნდურად

2004 წელს თბილისში ფინეთი დავამარცხეთ. სწორედ ის მატჩი გავახსენე ერთი წლის წინათ საქართველოში ჩამოსულ ფიბა-ევროპის გენერალურ მდივან **ნარ ძანოლინს** - მაშინაც კარგი გუნდი გვყავდა და დივიზიონებად დანაწილებამ ბევრი დაგვაკარგვინა-მეთქი. გენმდივანმა მოკლედ მომიჭრა:

- 2004 წელს გუნდი სამ-ოთხ კალათბურთელზე იყო აწყობილი, ახლა კი შედარება არ არის - გუნდურად თამაშობს და პროგრესიც აშკარაა.

ბოლო წლებში საქართველოს ნაკრები მართლაც შეიკრა. ამის დასტურად ისრაელთან მატჩიც გამოდგება: მწვრთნელმა 10 კალათბურთელი გამოიყენა და მოედნიდან უქულოდ ერთიც არ გასულა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართველი სათადარიგოები სასტარტოებს არათუ უმტკივნეულოდ ცვლიდნენ, არამედ გუნდს ახალ ენერგიას მატებდნენ და შედეგად ნაკრებმა მთელი მატჩი სტაბილურად ჩაატარა. ებრაელ სათადარიგოებთან შედარებით ქართველებმა გაცილებით უკეთესად ითამაშეს: ჩვენებმა 36 ქულა ჩააგდეს, სტუმრებმა - 21.

როგორც ჩანს, მწვრთნელი, **იგორ კოკოშკოვი** გათვლას ევროპის ჩემპიონატზე აკეთებს - ლიტვაში ხომ ექვს დღეში ხუთი მატჩის ჩატარება მოგვიწევს და ფუნქციების ყველა კალათბურთელზე განაწილება აუცილებელია.

ესეც რევანში

ნამატჩევს **გიორგი ცინცაძე** კმაყოფილი ჩანდა:

- მთავარია, რომ გავიმარჯვეთ. კარგად ვითამაშეთ, თუმცა გვქონდა მინუსები, რომელთა აღმოფხვრაზე სამუშაო კიდევ გვაქვს. ისრაელი სწორ და დალაგებულ კალათბურთს თამაშობდა და მატჩიც საინტერესო სანახავი გამოდგა. შეხვედრა ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რაც ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო - ევრობასკეტზე, სავარაუდოდ, არაერთი მატჩის ბედის გადაწყვეტა მოგვიწევს ბოლო წუთებში და დღეს კიდევ ერთხელ დავინახეთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია.

ვიქტორ სანიკიძემ დასძინა:

- ჩვენთვის ისრაელთან დაპირისპირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე საქართველოში ერთადერთი მატჩი ჩავატარეთ და ძალიან გვინდოდა ისრაელის ძლევით გულშემატკივარი გაგვეხარებინა. რთული თამაში იყო, თუმცა კარგად გავისარჯეთ და ჰოლანდიაში წაგების გამო ისრაელთან რევანშიც გამოგვივიდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს ორი წამყვანი კალათბურთელი აკლდა (იოთამ ჰალპერინი და ომრი კასპი), მაინც კარგად ითამაშა. ისრაელი ძლიერი გუნდია. ასეთ ნაკრებს რომ ვაჯობეთ, გამოდის, არც ჩვენ გვყავს ურიგო გუნდი.

ეს რომ თქვა, ვიქტორ სანიკიძეს ერთი გულშემატკივარი მიუახლოვდა: შენ რომ გიყურებ, მიშა ქორქიას თამაში მახსენდება. მისებრი ნახტომი გაქვს და გულიანად თამაშობ...

გუშინაც დავინახეთ, რომ ქართველებს გულით თამაში გენში გვაქვს - მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური მატჩი იყო, მთელი გუნდი ბოლომდე დაიხარჯა.

ვაჟა სიმონიშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ქართველებმა მეტოქეს მოხსნებში 46:32 აჯობეს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კადირი ქართულ წნეხში

იგორ კოკოშკოვის წვრთნა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

● სატრანსფერო სიახლეები

რობინსონი და პირსი სოხუმში

ფრენკ რობინსონი

დაიბადა: 01.06.1984 (კომპტონი, აშშ)
სიმაღლე: 193 სმ.
ამპლუა: უკანახაზელი

კარიერა

2005-08 ფულერტონი (NCAA)
2008 ატლანტა (NBA)
2008-09 ოლიმპია (სლოვენია)/ლუდვიგსბურგი (გერმანია)
2009-10 ატლანტა (NBA)/ლოს ანჯელესი (NBDL)
2010-11 მაქაბი (ჰაიფა, ისრაელი)

გასული სეზონის სტატისტიკა (მაქაბი)

ევროჩელენჯი: 14 მატჩი, 9.3 ქულა, 4.1 მოხსნა, 1.3 პასი, 1.9 დაფარება, 2-ქულიანი - 48.6%, 3-ქულიანი - 30.0%, საჯარიმო - 59.5%.
ისრაელის ლიგა: 28 მატჩი, 12.9 ქულა, 4.3 მოხსნა, 2.7 პასი, 2.4 დაფარება, 2-ქულიანი - 54.4%, 3-ქულიანი - 30.4%, საჯარიმო - 61.1%.

10 დღის წინ „სოხუმთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გამოცდილმა ამერიკელმა **ბრენდონ გაიმ**. გუნდის ოფიციალური საიტის (www.sokhumibc.com) ცნობით გუშინ სოხუმელებს კიდევ ორი ამერიკელი შეუერთდათ - **ფრენკ რობინსონი** და **პიერ პირსი.**

ფრენკი 27 წლისაა, პიერი - 28-ის. მათ ევროპაში არაერთი ნაყოფიერი სეზონი აქვთ გატარებული, „სოხუმის“ პრეზიდენტი **მინდია გულუა** და მთავარი მწვრთნელი **აინარს ბაგატსკისი** იმედოვნებენ, რომ ახალწვეულებს გუნდის საგრძნობლად გაძლიერება შეუძლიათ როგორც საქართველოს ჩემპიონატში, ასევე ევროჩელენჯზე.

მათ, ისევე როგორც ბრენდონ გაიმ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.



პიერ პირსი

დაიბადა: 07.06.1983 (ვესტმონტი, აშშ)
სიმაღლე: 193 სმ.
ამპლუა: უკანახაზელი

კარიერა

2001-05 აიოვა (NCAA)
2005 NBA-ს დრაფტის კანდიდატი
2008-10 ტულონი (საფრანგეთი)
2010-11 არისი (საბერძნეთი)/აზოვმაში (უკრაინა)

გასული სეზონის სტატისტიკა

„არისი“, საბერძნეთის ლიგა: 5 მატჩი, 7.0 ქულა, 1.8 მოხსნა, 1.8 პასი, 2-ქულიანი - 57.1%, 3-ქულიანი - 25.0%, საჯარიმო - 55.6%.
ევროთასი: 3 მატჩი, 10.0 ქულა, 4.3 მოხსნა, 3.7 პასი, 1.0 დაფარება, 2-ქულიანი - 44.3%, 3-ქულიანი - 28.0%, საჯარიმო - 73.4%.
„აზოვმაში“, უკრაინის ლიგა: 21 თამაში, 8.5 ქულა, 2.8 მოხსნა, 2.6 პასი, 2-ქულიანი - 42.0%, 3-ქულიანი - 34.5%, საჯარიმო - 73%.

ძიუდო

ვაზაგაშვილმა კიევში რიო დე ჟანეირო დაინახა

მინისტრის შეხვედრა ჭაბუკ ძიუდოისტებთან

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებს შეხვდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ფალავნებმა კიევში გამართულ ამ პრესტიჟულ ტურნირში 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. მსოფლიოს ჩემპიონები **ბექა ტულუში** (81) და **გურამ თუშიშვილი** (90) გახდნენ, **ბექა დონლვანი** (73) და **შალვა ჩოჩელი** (90) მეორეზე გავიდნენ, **ლევან გუგავა** (73) კი მესამე იყო. ღვინიაშვილმა წლეულს სეზონის სამივე უმთავრესი შეჯიბრება მოიგო - ევროპისა და მსოფლიოს პირველობა, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, 90 კილოგრამში გამართული ქართული ფინალი კი ამ რანგის ტურნირებში პირველი შემთხვევაა ქართული ძიუდოს ისტორიაში.

შეხვედრას გოგოების გუნდიც ესწრებოდა მწვრთნელ **გია თენაძის** ხელმძღვანელობით. მართალია, გოგოები ამჯერადაც უმედლოდ დარჩნენ, მაგრამ **მარიამ ჯანაშვილმა** (57) ძალიან კარგად იჭიდავა, ის დამამშვიდებელში გაფრთხილებით დამარცხდა. მინისტრმა ბიჭებს და ნაკრების ხელმძღვანელებს წარმატება მიულოცა და მადლობა გადაუხადა იმ დიდი მუშაობისთვის, რაც ამ წარმატებამდე გასწიეს და რამაც წლევანდელი ტრიუმფალური შედეგი მოიტანა. სამომავლოდაც მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა შეკრებებისა თუ ტურნირების დასაფინანსებლად. *„მისასალმებელია, რომ ასეთი კარგი თაობა მოდის, რომელსაც ღირსეულად შეუძლია ეროვნული ნაკრების წევრთა შეცვლა“* - განაცხადა ვარძელაშვილმა.

„ყველა დაძაბული შეხვედრა იყო, განსაკუთრებით -ნახევარფინალში უკრაინელ დავით ხარებავასთან. მსაჯებიც მასპინძლის მხარეს იყვნენ, თუმცა ღმერთის წყალობით, მეტოქე დავამარცხე. ფინალში მეორე უკრაინელს ვაჯობე - ბოჰდან ზუსკოს, ვისაც ევროპის პირველობის ფინალშიც ვძლიე. საბედნიეროდ, ორივეს დამაჯერებლად მოვუგე“ - გვითხრა ღვინიაშვილმა.

„ქართული ფინალი მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია და მიხარია, ასე რომ მოხდა. ჩემს გამოსვლას რაც შეეხება, ჩემპიონობისთვის ვემზადებოდი. მე და შალვა ჩოჩელი მეგობრები ვართ. გამარჯვების შემდეგ ემოცია ამიტომ არ გამოვხატე“ - თქვა თუშიშვილმა.

მთავარი მწვრთნელის შეფასებები

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი ვაზაგაშვილს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

- წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჩაატარეთ, ელოდით ასეთ სეზონს?

- მართლაც წარმატებული სეზონი გამოგვივიდა. ევროპის პირველობაზე 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო მოვიპოვეთ, ოლიმპიურ ფესტივალზე - 1 ოქრო და 4 ბრინჯაო, ყველაზე მთავარი კი მსოფლიოს პირველობა იყო, სადაც 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო დავიმსახურეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ არც ერთ ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე ოქროს მედლისა და ჩემპიონის გარეშე არ დავრჩენილვართ.

- უცხოელთა მხრიდანაც მოჰყვებოდა ამას გამოხმაურებები...

- როგორ მოხდა, რამ მოიტანა ასეთი სტაბილური სეზონი, ამხელა წარმატება... უცხოეთში ბევრი მეგობარი მყავს, მქონდა მათთან ლაპარაკი და ყველას აინტერესებდა ეს საკითხი.

- თავად როგორ ფიქრობთ, რის ხარჯზე მოვიდა ასეთი წარმატება?

- უპირველესად უნდა აღვნიშნო სახელმწიფოს დახმარება. რომ არა სპორტის სამინისტროს ფინანსური თანადგომა, ასეთი შედეგები არ იქნებოდა. მივიღეთ ყველაფერი, რაც მოვითხოვეთ - რომელი შეკრებაც მოვისურვეთ, დაგვიფინანსეს. მოსამზადებელ პერიოდში არ ყოფილა ერთი დღეც კი, რომ ბიჭები ჩემთან არ ყოფილიყვნენ. ტრაბზონიდან 30 ივლისს დავბრუნდით, მეორე დღეს კი უკვე შეკრება დავიწყეთ. მიმაჩნია, რომ ეს მთავარი იყო ფორმის შესანარჩუნებლად. საბედნიეროდ, ბიჭებიც ამყვნენ მუშაობაში, არანაირი წუწუნი და უკმაყოფილება არ ყოფილა დატვირთული გრაფიკის გამო. დიდი მადლობა თითოეულ მათგანს ამისთვის. ისინი ნამდვილად გმირები არიან, რომ დროის მცირე მონაკვეთში ასე წარმატებით იჭიდავეს. ძალიან მოინდომეს და მაქსიმუმი გაიღეს.

- ფინანსური დახმარება აუცილებელია, მაგრამ საჭიდაო არსენალში ცვლილებებიც აშკარაა - დაიწყეს ჩოქბჯენში ჭიდაობა, ფიზიკურადაც ბევრად უკეთ არიან მომზადებულები...

- კი, ნამდვილად შეიცვალა ბევრი რამე, მათ შორის ფიზიკურ მომზადებაშიც და სწორედ ამან მოიტანა წარმატებები.

- ქართული ფინალი ჩვენთვის გამორჩეული ამბავია...

- შალვა ჩოჩელმა ნახევარფინალში იაპონელთან შეძლო და იმ სტილში იჭიდავა, რაც შევუკვეთეთ. იაპონელთან მოგება იოლი არაა. ყველა დავალების პირნათლად შესრულება რომ არა, ფინალში იაპონელი გავიდოდა და კაცმა არ იცის, იქ რა მოხდებოდა.

ძალიან კარგად იჭიდავა თუშიშვილმაც. მონდომებით და შემართებით მან დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ჩემპიონობის ღირსი იყო. ნახევარფინალში მათი ჭიდაობისას ჩემი ფიქრი მხოლოდ ის იყო, ქართული ფინალი შემდგარიყო. წინა დღეს ამის შანსი 73 კილოგრამშიც გვქონდა, მაგრამ ლევან გუგავა რუს მეტოქესთან აშკარად დაჩაგრეს. ფინალის დამთავრებამდე მათ აღარ გავკარებივარ, არავითარი დავალება არ მიმიცია. მხოლოდ ის ვთხოვე ორივეს, რომელიც მოიგებთ, ეცადეთ, სიხარული ძალიან არ გამოხატოთ-მეთქი. ამიტომ იყო თუშიშვილი ისე თავშეკავებული.

- ბექა ღვინიაშვილი გამორჩეული თემაა და ალბათ, ბევრიც გექნებათ მასზე სათქმელი.

- ღვინიაშვილი ძალიან მშრომელია, დამჯერი, აკეთებს ყველაფერს, რასაც დაავალებენ. მან თუ ასე გააგრძელა ვარჯიში, აუცილებლად ვიხილავთ დიდ არენაზე.

- 73-შიც ძალიან სტაბილურად გამოვიდნენ ჩვენები. თქვენი აზრით, იქაც იყო ქართული ფინალის შანსი?

- ძალიან კარგად იჭიდავა - დონღვანმაც და გუგავამაც. დონღვანს მთელი სეზონი წონის პრობლემა აწუხებდა, საკმაოდ ბევრს იკლებდა - 6-7 კილოგრამს. ახლაც ამდენი დაიკლო, მაგრამ მაინც შეძლო მობილიზება. მადლობა მას იმ დიდი მონდომებისთვის, რამაც ფინალში გაიყვანა. ის ევროპაზე მეხუთეზე გავიდა - იქ რუს ვალენტინ გერეკოვთან წააგო, ვისაც ახლა მეოთხედფინალში აჯობა, ფინალში კი მეორე რუსთან, სულეიმან ვიშეგუროვთან წააგო.

გუგავაც კარგად გამოვიდა და შემიძლია ვთქვა, რომ რეალურად ფინალისტი იყო. ქართულ ფინალს ერთი დღით ადრე ვიხილავდით, მაგრამ მსაჯებმა ვიშეგუროვი არა და არ გააფრთხილეს. ძალიან მწყდება გული თამაზ კირაკოზაშვილზეც 60 კილოგრამში. ის მეოთხედფინალში იაპონელთან დამარცხდა, თუმცა ბრინჯაოს მოპოვება მაინც შეეძლო. სამწუხაროდ, ვეღარ განეწყო საბრძოლველად.

თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა ეს გუნდი გაისად მთლიანად ახალგაზრდებში გადადის. ამ ნაკრებიდან რამდენიმეს ნამდვილად შეუძლია, 2016 წლის ოლიმპიადაზე მოხვდეს.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. მსოფლიოს უნივერსიადა

უმედლობა გრძელდება

ჩვენმა ძიუდოისტებმა უმედლოდ დაამთავრეს გამოსვლა ჩინურ შენჟენში მიმდინარე მსოფლიოს უნივერსიადაზე.

გუშინ მორიგი ქართული დუეტი გავიდა ტატამზე და მათაც წააგეს, თუმცა შეჯიბრების მიმდინარეობაში პირველად მივუახლოვდით მედალს - აბსოლუტურ წონაში **იოსებ მსხალაძე** ნახევარფინალში გავიდა. იქამდე ჩვენებურმა ჯერ უკრაინელი **ალექსანდრ სიზოვი** დაამარცხა - ვაზარიც აუღო და იპონზე დასცა, მერე კი მონღოლი **ალტანგერელ დავაანიამი** დააგდო ბეჭებზე. ნახევარფინალში მსხალაძე რუს **რენატ საიდოვს** ხვდებოდა და როგორც გავიგეთ, ხელიც უტკენია. ჩვენი ინფორმაციით, რუსი ბოჭავდა და ალბათ ხელიც დაურტყა დანებების ნიშნად, მაგრამ საიდოვმა გააგრძელა ბოჭვა და ხელი მაგრადაც დაუზიანაო. ცხადია, ამ ტრავმის გამო მსხალაძემ ვერც დამამშვიდებლის ფინალში იჭიდავა იაპონელ **მასარო მომოსესთან** და უბრძოლველად დაუთმო მედალი, მაგრამ გვაეჭვებს შემდეგი გარემოება: შეხვედრის ოქმში ჩვენებურის გვარი არც დამამშვიდებლის ფინალში წერია, როგორც მომოსეს მეტოქე, ხოლო მედალოსანთა გრაფაში მეხუთე ადგილოსანთაგან მონღოლი თავის ადგილასაა მითითებული, მსხალაძისთვის განკუთვნილი გრაფა კი ცარიელია! წაგება წაგებად, მაგრამ კარგია, დისკვალიფიკაციაც თუ არ მიიღო...

რაც შეეხება მერებაშვილს, მან პირველ წრეში პაკისტანელი **გულამ ფარიდი** იოლად კი დააიპონა, მაგრამ მეორეში თვითონ წააგო სუფთად რუსეთის სახელით მოასპარეზე **რობერტ მშვიდობაძესთან**. ორივე გორელია და მეგობრობენ კიდეც, თან კარგადაც იცნობენ ერთმანეთს. მერებაშვილმა მეგობარს 2009 წლის ევროპის 23-წლიანთა ფინალში მოუგო, ამჯერად კი მშვიდობაძემ რევანში აიღო და მერე ბრინჯაოც მოიპოვა.

ხვალ შენჟენში გუნდური პირველობა გაიმართება და ამით ძიუდოისტთა ტურნირიც დასრულდება.

ირაკლი თავაძე

წყალხტომა, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი

უნივერსიადაზე შეჯიბრებაში წყალმხტომელებიც ჩაებნენ. გუშინ ვაუები 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ცდიდნენ ძალებს. მოასპარეზეთა შორის იყვნენ **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი,** რომლებმაც 6 ნახტომის შემდეგ 371,67 ქულა მოაგროვეს და მე-5 ადგილზე გავიდნენ. საგულისხმოა, რომ ბრინჯაოს მედლამდე ჩვენს ბიჭებს 3 ქულაღა დააკლდათ. არადა, ქართველმა წყალმხტომელებმა ტიტულოვან უკრაინელებს - ილია კვაშას და ოლექსეი პრიგოროვს, რუსებს - რომან იზმაილოვსა და იგორ კორიაკინს აჯობეს. პირველი-მეოთხე ადგილები კი ასე განაწილდა: 1. კაი ქინი, ჯინ ლინი (ჩინეთი, 419,07), 2. კომელ პაჩეკო, ჯონათან რუვალკავა (მექსიკა, 385,32), 3. იუ ოკამოტო, შო საკაი (იაპონია, 374,40), 4. აარონ ფლეშნერი, ლანდონ მარზულო (აშშ, 374,16).

■ ■ ■

სერგო პეტრიძე წილისყრით, როგორც გაუწყეთ, მაგიდის ჩოგბურთელთა 23-ე ჯგუფში მოხვდა. პირველი შეხვედრა მან კორეელ ლისთან წააგო 0:3, გუშინ კი მსგავსი ანგარიშით (2:11, 5:11, 7:11) ჰონლანდიელ ჩუნთან დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა.

■ ■ ■

გუშინ მოჭადრაკეებმა ორი ტურის პარტიები გამართეს. ვაჟებში **დავით ბენიძემ** მე-3 ტურის შეხვედრა მალაიზიელ ლუ იუ იონგ აუს მოუგო, **ლუკა პაიჭაძე** კი სლოვაკ იან მარკოშთან დამარცხდა. ამავე ტურში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა ჰაო ვანმა (ჩინეთი), რომელმაც ანდრეი ვოვკს (უკრაინა) სძლია. მსგავს წარმატებას მიაღწიეს ავეტიკ გრიგორიანმა (სომხეთი), ვასილ პაპინმა (რუსეთი) და აჰმედ ადლიმ (ეგვიპტე).

ვანმა და გრიგორიანმა პოზიციები მე-4 ტურში განიმტკიცეს, შესაბამისად, პაპინისა და ადლის ძლევით. რაც შეეხებათ ჩვენებურებს, დავით ბენიძემ ფელიქს ჰინდერმანი (შვეიცარია) დაამარცხა და 3 ქულა მოაგროვა. ლუკა პაიჭაძემაც იმარჯვა ნიდერლანდელ ჟან ქიან ვანთან პაექრობისას და ახლა 2,5 ქულა აქვს.

გოგონების მე-3 ტურში პოლონეთის ნაკრების წევრმა იოლანტა ზავადსკამ თეთრი ფიგურებით **სოფიკო გურამიშვილს** აჯობა, **მაკა ფურცელაძე** ჩინელ ქიან ჰუანს დაუზავდა, **ნინო ბაციაშვილმა** კი ყაზახ გულმირა დაულეტოვას სძლია.

მეოთხე ტურში ლიდერების - ირინა ვასილიევიჩისა (რუსეთი) და იოლანტა ზავადსკას ორთაბრძოლა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გამარჯვებით დამთავრდა და 4 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა, რადგან სამქულიანი შენ იანი (ჩინეთი) ტუვშინთუგს ბათხიმეგს (მონღოლეთი) დაუზავდა.

ქართველთა პარტიები ასე დამთავრდა: ნინო ბაციაშვილი-კარინა ამბარცუმოვა (რუსეთი) 1:0, ანე სარაჩ ჰულტი (გერმანია)-მაკა ფურცელაძე 0:1, სოფიკო გურამიშვილი-ტამარა ჩერემნოვა (რუსეთი) 0:1. ფურცელაძეს და ბაციაშვილს 4 შესაძლებლიდან 3,5-3,5, გურამიშვილს კი 2 ქულა აქვს.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ. ხვალ მე-5 ტურში მეწინავეთაგან ითამაშებენ: **გოგონები.** თან ჟონი (ჩინეთი)-ირინა ვასილევიჩი (რუსეთი), ტუვშინთუგს ბათხიმეგი (მონღოლეთი)-ქიან ჰუანი (ჩინეთი), მაკა ფურცელაძე-ნინო ბაციაშვილი, მადინა დავლეტბაიევა (ყაზახეთი)-შენ იანი (ჩინეთი), იოლანტა ზავადსკა (პოლონეთი)-ანდელია სტოიანოვიჩი (სერბეთი). **ვაჟები.** ჰაო ვანი (ჩინეთი)-ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი), ჩაო ლი (ჩინეთი)-ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი), ძიანჩაო ჟოუ (ჩინეთი)-მარტინ კრავციკი (უკრაინა), პეტერ მიხალიკი (სლოვაკეთი)-იუ ვანი (ჩინეთი), დავით ბენიძე-ჰუა ნი (ჩინეთი), ოლივერ კურმანი (შვეიცარია)-ლუკა პაიჭაძე.

ვაჟა დანელია

ძიუდო. არჩევნები

დაფასება და ნდობა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ საარჩევნო ყრილობაზე **გიორგი ალექსიძე** ოფიციალურად აირჩიეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტად. სხვა პრეცენდენტი არც ყოფილა და ალექსიძის კანდიდატურას დელეგატებმა მშვიდ ვითარებაში, ერთხმად დაუჭირეს მხარი. ის ფედერაციას მომავალ რიგით საარჩევნო-საანგარიშო ყრილობამდე უხელმძღვანელებს, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ გაიმართება.

ალექსიძე თავის საპრეზიდენტო პროგრამაში ეროვნულ ნაკრებთან ერთად ასაკობრივ გუნდებზე, რეგიონული ფედერაციების მუშაობის გააქტიურებაზე, სამედიცინო სფეროსა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას დაგვპირდა.

ყრილობამ დამტკიცა ფედერაციის გადახალისებული ხელმძღვანელობაც. ოთხი ვიცე-პრეზიდენტიდან ორი ისევ ძველი დარჩა - ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** და **თამაზ ნავერიანი,** ორი კი ახალია, ძიუდოს სამყაროსთვის შინაური და ავტორიტეტული პიროვნება - ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი** (ეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი იქნება) და ოლიმპიური

პრეზიორი, დამოუკიდებელი საქართველოსთვის პირველი ოლიმპიური მედლის მომტანი **სოსო ლიპარტელიანი.** შეიცვალა გენერალური მდივანიც - ამიერიდან ამ თანამდებობას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ვლადიმერ ნუცუბიძე** დაიკავებს, ხოლო მისი წინამორბედი **ფირუზ (ანზორ) მარტყოფლიშვილი** აღმასრულებელი მდივნის პოსტზე გადაინაცვლებს. აირჩიეს აღმასკომის ახალი შემადგენლობაც. წევრთა რაოდენობა - 15 უცვლელი დარჩა, მაგრამ შეიცვალა რამდენიმე კანდიდატურა.

ირაკლი თავაძე

მილოცვა

საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 50 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს საქართველოს ჭაბუკ ძალოსანთა ნაკრების უფროს მწვრთნელს **ზურაბ ანთაურს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ისტორია

მსოფლიოს თასი, 1999 წელი

1999 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას დიდმა ბრიტანეთმა უმასპინძლა. რამდენიმე შეხვედრის გამართვის უფლება საფრანგეთსაც მისცეს. ამ ტურნირზე ავსტრალიის ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიოს თასი. „ვოლაბების“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი, საქართველოს ნაკრების ამჟამინდელი დაცვის მწვრთნელი **ჯონ მაგლტონი** იყო.

ტურნირის ალმოჩენა: არგენტინის ნაკრები

არგენტინელებმა ამ მსოფლიოს თასზე მართლაც ფურორი მოახდინეს. ნათელი შეიქნა, რომ მსოფლიო რაგბიში ახალი ძალა, ახალი სარაგბო ერი მოდიოდა. ჯგუფურ ტურნირში უელსის ნაკრებთან კარდიფში განცდილი მარცხის შემდეგ „პუმებმა“ ზედიზედ სამი თამაში მოიგეს. ჯერ სამოას ნაკრებს სძლიეს დამაჯერებლად 32:16, მერე კი იაპონელთა დამარცხებით 33:12 მეოთხედფინალის შესარჩევ ტურნირში გაიკვალეს გზა.

აქ კი სამხრეთამერიკელებმა ირლანდიის ნაკრებთან მატჩში კიდევ ერთხელ გამოიყენეს თავიანთი მძიმე შერკინება და მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე 21:9 იგებდნენ. შეხვედრის დასკვნითი მონაკვეთი საკმაოდ მძაფრი მოვლენებით დახუნძლული გამოდგა, „სამყურებმა“ ყველაფერი იღონეს მატჩის გადასარჩენად, თუმცა „პუმებმა“ უდიდესი თავდადების წყალობით მაინც შეძლეს გამარჯვების მოპოვება - 28:24.

მეოთხედფინალში არგენტინის ნაკრები მომავალ ფინალისტთან, საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა 26:47.

ტურნირის იმედგაცრუება: ახალი ზელანდიის ნაკრები

„ოლ ბლექსი“, ისევე როგორც ყველა ტურნირზე, აქაც უმთავრესი ფავორიტი იყო, მაგრამ ქომაგებს იმედი ამჯერადაც გაუცრუვდათ. მათ საშინელი დღე ნახევარფინალში საფრანგეთის ნაკრებმა გაუთენა. „ლე ბლემ“ ახალზელანდიელები 43:31 დაამარცხა.

თუ „ოლ ბლექსის“ ნახევარფინალამდე განვლილ გზას თვალს გადავავლებთ, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ეს გუნდი ცუდად დაამთავრებდა. ჯგუფურ ტურნირში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ჯერ ინგლისის ეროვნულ გუნდს მოუგო - 30:16, მერე ტონგელებს სძლია 45:9 და ბოლო შეხვედრაში „სკუადრა აძურა“ გაანადგურა - 101:3. მეოთხედფინალში „ოლ ბლექსმა“ შედარებით ოდნავ მძიმე ბრძოლაში მოუგო შოტლანდიას 30:18.

როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ახალზელანდიელებმა ნახევარფინალამდე გზა ძალიან იოლად განვლეს და ისე იყვნენ დარწმუნებული თავიანთ შესაძლებლობებში, რომ ვარჯიშებზე ფეხბურთს თამაშობდნენ და დროს ღლაბუცში ატარებდნენ. ყოველივე ამან ისინი „ჯოჯოხეთში“ მიიყვანა.

ტურნირის გუნდი: საფრანგეთის ნაკრები

საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიოს თასის მიმდინარეობისას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. „ლე ბლემ“ იმ წელიწადს წარუმატებლად იასპარეზა ხუთი ერის გათამაშებაში. ტურნირის დაწყების წინ კი ახალი ზელანდიისა და უელსის ეროვნულ გუნდებთან წააგო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდი ტრავმებმაც გვარიანად აზარალა. მზადების პერიოდში დაშავდა **ფილიპ კარბონო**, ტურნირის დაწყებისთანავე - **ტომა კასტანიედი** და **პიერ მიონი, კრისტიან კალიფანომ** კი ბოლო ტესტში ფიჯის ნაკრებთან ბინძური თამაშის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

ასეთ საშინელ ქაოსში ფრანგებმა მოახერხეს ერთ მუშტად შეკვრა და ნახევარფინალში გაყოყოჩებულ ფავორიტ „ოლ ბლექსს“ კუდით ქვა ასროლინეს. მაგრამ მსოფლიოს თასის გათამაშებებში ფრანგები მუდმივად არაპროგნოზირებადი არიან. ახალი ზელანდიის „კლდის განგრევის“ შემდეგ მათ ფინალში ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში სრული კაპიტულაცია გამოაცხადეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე: კრისტოფ ლამეზონი

კრისტოფ ლამეზონმა შესანიშნავად შეცვალა ტრავმირებული ტომა კასტანიედი. კრიტიკის მიუხედავად „ბრივის“ მგეზავმა გუნდის ნახევარფინალში გაყვანა მაინც მოახერხა.

ნახევარფინალში კი ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში, რომელიც მის კარიერაში უდავოდ საუკეთესო იყო, 28 ქულა მოიპოვა (ერთი ლელო, ოთხი გარდასახვა, სამი საჯარიმო და ორი არეკნი).

ტურნირის მატჩი: საფრანგეთი-ახ.ზელანდია

ეს უბრწყინვალესი თამაში იყო. მატჩში ექვსი ერთმანეთზე უკეთესი ლელო გავიდა, რომლებიც ნებისმიერი გემოვნების ქომაგს დააკმაყოფილებდა. **ჯონა ლომუმ** თავისი უზარმაზარი ძალის წყალობით ორი ლელო გაიტანა, ფეხით შესანიშნავად ითამაშეს **კრისტოფ დომინისიმ** და **რიჩარდ დურთიმ.** ხელდახელ ბურთაობის შედეგრები აჩვენა კრისტოფ ლამეზონმა. თითოეულმა მოთამაშემ რაგბის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაწერა საკუთარი სახელი. საფრანგეთის ნაკრებმა, რომელიც ვერც კი იოცნებებდა ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდის დამარცხებაზე, ეს შეძლო. თანაც მას შემდეგ, რაც იმავე წელიწადს ტესტმატჩში 7:54 წააგო.

ტურნირის ლელო: კრისტოფ დომინისი

საფრანგეთისა და ახალი ზელანდიის ნახევარფინალური მატჩის 56-ე წუთზე ანგარიში 24:22 იყო „ლე ბლეს“ სასარგებლოდ. ფრანგები მაღალი ხარისხის რაგბის აჩვენებდნენ. შესანიშნავად ითამაშა **კრისტოფ ლამეზონმა,** რომელმაც ორი საჯარიმოსა და ამდენივე არეკნის გატანა მოასწრო. გაიბრწყინა „ოლ ბლექსის“ გარემარბმა ჯონა ლომუმაც, რომელმაც ორჯერ 30-მეტრიანი სპრინტი ლელოთი დაასრულა.

მატჩის გვირგვინი კი კრისტოფ დომინისის ლელო გახდა. ფრანგებმა ბურთი საკუთარი მოედნის ორმოცმეტრიან ხაზთან მოიგეს. **ფაბიენ გალტიემ** სწრაფი გადაწყვეტილება მიიღო და ბურთი მეტოქის დაუცველ ზონაში გადაჰკიდა. დომინისიმ ყველას გაასწრო და ფარანგები კიდევ უფრო დააწინაურა. ეიფორიაში მყოფმა „ლე ბლემ“ ინიციატივა ხელში აიღო და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანა.

● მეტოქეები

ბოლო შანსი შოტლანდიელი მორაგბეებისთვის

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე შოტლანდიის ეროვნული გუნდი შაბათს „სკუადრა აძურას“ ეთამაშება. მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის წინ „სკოტებისთვის“ ეს ბოლო ტესტმატჩია.

იტალიელებთან დაპირისპირება ასევე ბოლო შანსია შოტლანდიელი მორაგბეებისთვის, რათა ახალ ზელანდიაში წამსვლელთა შორის დაიბევონ ადგილი. „ნარშავების“ თავკაცი **ენდი რობინსონი** 30-კაციან შემადგენლობას ორშაბათს გააცხადებს.

„ირლანდიასთან მატჩისგან განსხვავებით გუნდის შემადგენლობაში 14 ცვლილება განვახორციელეთ. ასე იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ყველა მოთამაშეს, რომლებიც აქამდე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ, თავის გამოჩენის საშუალება მივცეთ.

იტალიის ნაკრები ჩვენი ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. ამ გუნდს წლეულს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა, ექვსი ერის გათამაშებაში საკუთარ მოედანზე საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. საფრანგეთის ძლევა იოლი საქმე არ არის და ეს იმის დასტურია, რომ იტალიელთა გუნდი საკმაოდ მრისხანე მეტოქედ ჩამოყალიბდა.

ძალიან გაგვიხარდა, რომ ირლანდიას მოვუგეთ. ეს იმის ნიშანია, რომ კრიზისს თავი დავაღწიეთ. როგორც ყოველთვის, ჩვენი მიზანია, თამაშის ხარისხი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ და, ვფიქრობ, იტალიის ნაკრებთან თამაში ძალიან წაგვადგება საიმისოდ, რომ მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ორი მატჩისთვის, რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებებთან, სრულ მზადყოფნაში ვიყოთ“ - თქვა შოტლანდიის ნაკრების თავკაცმა ენდი რობინსონმა.

შოტლანდია: 15. ლორი ლამონტი, 14. მაქს ევანსი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. გრეგ მორისონი, 11. საიმონ დენიელი, 10. დენ პარქსი, 9. მაიკ ბლერი. 1. ალასდაირ დიკინსონი, 2. სკოტ ლაუსონი, 3. მურეო ლოუ, 4. ნათან პინესი, 5. ალისტერ კელოკი, 6. კელი ბრაუნი, 7. ჯონ ბარკლი, 8. რიჩი ვერნონი.

16. დაგ ჰალი, 17. ეუან მურეი, 18. რიჩი გრეი, 19. როს რენი, 20. კრის კაზიტერი, 21. რუარიდ ჯექსონი, 22. ნიკი უოლკერი.

პუმების რეპეტიცია პომეებთან მატჩამდე

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე არგენტინის ნაკრები კარდიფში, „მილენიუმზე“ უელსის ეროვნულ გუნდთან ითამაშებს. „პუმები“ უკვე ევროპაში არიან და მსოფლიოს თასისთვის მზადებას განაგრძობენ.

არგენტინელთა მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** შემადგენლობაში ძირითადის ყველა მოთამაშე დააყენა. როგორც ჩანს, „პუმების“ თავკაცი, 10 სექტემბერს ინგლისის ნაკრებთან სწორედ ამ შემადგენლობით აპირებს თამაშს და უელსის ნაკრებზე უკეთეს გამომცდელს აბა, სად იპოვიდა.

აღსანიშნავია, რომ ფელანი უელსთან ყველა ვეტერანს ათამაშებს. ძირითად შემადგენლობაში იქნებიან პირველხაზელები **როდრიგო რონსერო** და **მარიო ლედესმა,** მეორეხაზელი **პატრისიო ალბასეტე,** მესამეხაზელები **ხუან მანუელ ლეგუსამონი** და **მარტინ ფერნანდეს ლობე.** „პუმებს“ მგეზავი **ფელიპე კონტეპომი** უკაპიტნებს.

საგულისხმოა, რომ ძირითადი შემადგენლობის 15 მორაგბიდან 12 საფრანგეთის ჩემპიონატში ასპარეზობს და „ბორჯღალოსნების“ უმრავლესობა მათ კარგად იცნობს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები არგენტინელებს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში, პალმერსტონში 2 ოქტომბერს დაუპირისპირდება.

არგენტინა: 15. მარტინ როდრიგესი, 14. ორასიო აგულა, 13. მარსელო ბოსხი, 12. სანტიაგო ფერნანდესი, 11. გონსალო კამაჩო, 10. ფელიპე კონტეპომი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. მარიო ლედესმა, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ხულიო კაბელო, 7. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე, 8. ხუან მანუელ ლეგუსამონი.

16. ავგუსტინ კრევი, 17. მარტინ სკელსო, 18. მარიანო გალარსა, 19. ალეხანდრო კამპოსი, 20. ალფრედო ლანალე, 21. ფედერიკო სანჩესი, 22. ხუან იმპოფი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ. ფრანც ბეკენბაუერთან

კაიზერი... ვის ანალვლებდა?

რუსულმა "სპორტ ექსპრესმა" ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე საინტერესო ინტერვიუ აიღო გერმანელი ვარსკვლავებისგან. ეს სერია "ბაიერნის" პეტერბურგში ვიზიტს მოჰყვა. გაზეთის ჟურნალისტები ბასტიან შვაინშტაიგერსა და თომას მიულერს გაესაუბრნენ. ამჯერად კი თავად ესტუმრნენ მიუნხენს და ფრანც ბეკენბაუერთან ერთსაათიან აუდიენციას გამოჰკრეს ხელი. ყველა დროის მსოფლიო ერთ-ერთ უდიადეს ფეხბურთელთან ინტერვიუ ბუნებრივია საინტერესო გამოდგა. მასალას სერიოზული შემოკლებით გთავაზობთ.

- რომელი დღე იყო თქვენს კარიერაში ყველაზე ბედნიერი, როცა კაპიტნის რანგში მოიგეთ მსოფლიოს ჩემპიონატი, მწვრთნელის თუ რამე სხვა თარიღიც გაქვთ?

- ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო დღე, როცა გერმანიამ მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. როგორც ფეხბურთელს გაქვს შანსი, რომ ჩემპიონატი ყოველ ოთხ წელიწადში მოიგო. შინ ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატი კი ცხოვრებაში ერთხელ ხდება.

- იყო თუ არა სიურპრიზი თქვენთვის რუსეთისა და ყატარის მიერ 2018 და 2022 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების მასპინძლობის მოგება?

- რუსეთის მოგება არ გამკვირვებია. ყატარა ბავშვების მოხუცი მამა ვარ და ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი ამჟამად ოჯახია. გასულ წელს მთელი ორთვე-ნახევარი გავატარე მოგზაურობაში. ეს ყველაფერი უეფასა და ფიფას საქმეების გამო. მოთმინების ფიალაში ეს ბოლო წვეთი იყო. ჩემს თავს ვუთხარი: "კმარა"! მალე 66 წლის ვხდები (11 სექტემბერს. რედ.) და 100 წლამდე ხომ ვერ ვიქნები დაკავებული ამ საქმეებით? ყველა თანამდებობაზე უარი ვთქვი, ჯერ "ბაიერნის" პრეზიდენტობაზე, შემდეგ ფიფას აღმასკომის წევრობაზეც. ამის მიუხედავად მაინც ბევრი საქმე მაქვს.

- ბავშვობაში თუ გქონდათ ამბიცია, რომ ფეხბურთის ვარსკვლავი გამოსულიყავით?

- მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორიოდე თვეში დავიბადე, მაშინ, როცა მთელი ქვეყანა ნანგრევებად იყო ქცეული. მაშინ იყო განცდა, რომ მომავალი არავის ჰქონდა. ყველაფერი მარტივად იყო: პატარაობისას წარმატებებზე კი არ ვფიქრობდი, უბრალოდ მოძრაობა მიყვარდა. თამაში და მინდორში სირბილი მიზიდავდა. სულ ეს იყო ჩემი მოტივაცია. ომისშემდგომ გერმანიაში ერთადერთი ფეხბურთი იყო, რასაც თამაშობდნენ. რომელ ჩოგბურთსა და გოლფზე ლაპარაკობთ? მხოლოდ ფეხბურთი.

- მშობლები თუ უჭერდნენ მხარს პროფესიულ არჩევანს?

- დედა ჰო. მამაჩემი კი, ფოსტის უბნასხვებისგან გარიყული იყო. მსოფლიოს მოგება კი პირველი დადებითი სიგნალი იყო. ის წარმოუდგენლად მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ხალხმა საკუთარი თავის ირწმუნა, მიხვდა, რომ რაღაცის კეთება კიდევ შეეძლო.

- თქვენი მეტსახელია კაიზერი, საიდან გაჩნდა ის?

- ეს 60-იანი წლების ბოლოს მოხდა. ვენაში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ვიყავით. ჩვენი სასტუმროს წინ ავსტრიის კაიზერის, ფრანც იოსეფის ძეგლი იდგა. ერთ-ერთმა ფოტოჟურნალისტმა ძეგლთან ფოტოს გადაღება შემომთავაზა. მეორე დღეს კი დაბეჭდა ეს ფოტო და ჟურნალებსა და გაზეთებს გაუგზავნა. ასე შემარქვეს კაიზერი.

- მოგწონდათ ეს სახელი?

- და ვის აინტერესებდა მომწონდა თუ არა? არჩევანი ხომ არც მქონდა. ასე მხოლოდ ჟურნალისტები მომმართავდნენ, ფეხბურთელებისთვის ყოველთვის ფრანცად ვრჩებოდი...

- საფეხბურთო ექსპერტებისთვის კი – თავისუფალი მცველის პოზიციაზე მოთამაშე რევოლუციონერად.

- ეს ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია იყო, ჩემი ხედვა. ბავშვობაში თავდამსხმელად ვიწყებდი თამაშს. ერთ დღესაც მწვრთნელმა მითხრა: "შენ დაცვაში ითამაშებ". მაშინ მცველები მხოლოდ თავს იცავდნენ, თავდამსხმელები უტევდნენ, ჩემი სტილი კი ყველასთვის სიურპრიზი იყო.

- გული არ გწყდებათ, რომ პოზიცია, რომელზეც ასპარეზობდით, თანამედროვე ფეხბურთმა მოკლა?

- რას იზამ, დრო იცვლება. ახლა მოდაშია ფეხბურთი "ბარსას" სტილში, პასი ერთი შეხებით. 60-იანებში კი, რასაც ბურთის მიღებისთანავე ვცდილობდით, ბურთიანად წინ წასვლა იყო. 70-იანებში ჰოლანდიელებმა ტოტალური ფეხბურთი შემოგვთავაზეს, რომლის მიბაძვა ყველამ მოინდომა, მაგრამ როგორ გინდოდა კრუიფისა და ნეესკენსის სტილის კოპირება? ყველა სქემას საჭირო ფეხბურთელები სჭირდება.

- ფეხბურთელები ახლა ფინანსებს სხვანაირად უდგებიან, ვიდრე ეს თქვენს დროს ხდებოდა?

- რთული შეკითხვაა. მარკეტინგული თვალსაზრიით ფეხბურთი ახლა სულ სხვა რამაა. მაშინ არ იყო ტელერეპორტაჟები, არ იყვნენ სპონსორები, არ იყო რეკლამა. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელები საფეხბურთო სამყაროს მთავარი მოქმედი პირები არიან და იმსახურებენ თავიანთ წილს.

- საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ თქვენ პელესა და კრუიფის შემდეგ ყველა დროის მესამე ფეხბურთელად დაგასახელათ. სამეულში მარადონა ადგილს არ იმსახურებდა?

- მე ძველ სამყაროს ვეკუთვნი. მარადონა უდიდესი ფეხბურთელია, მაგრამ ჩემთვის უპირველესი პელე იყო, თანაც ულაპარაკოდ. რატომ? იმიტომ, რომ 20 წელიწადი მსოფლიო კლასის ფეხბურთს თამაშობდა. ის მოედანზეც ჯენტლმენი იყო და მის ფარგლებს გარეთაც.

- თქვენი მეგობრები პაულ ბრაიტნერი და გერდ მიულერი კი ამბობენ, რომ მათთვის ბეკენბაუერი უპირველესია.

- მათი მხრიდან ამის მოსმენა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ საკუთარი თავის შეფასებას ვერ დავიწყებ.

- ახსენეთ, რომ პელე ჯენტლმენი იყო. ანუ 1986 წლის "ღმერთის ხელი" თქვენს შეფასებაზე გავლენას ახდენს?

- იმისთვის, რომ საუკეთესო იყო სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, მხოლოდ ტალანტი საკმარისი არ არის. საჭიროა ბავშვებისთვის მისაბაძი მაგალითი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ საერთო სურათისთვის პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. პელე არასოდეს გახვეულა სკანდალებში, არასოდეს დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი შარმი და თანაც 1000 გოლზე მეტი გაიტანა. მქონდა ბედნიერება მასთან ერთად ნიუ იორკის კოსმოსში მეთამაშა, ის ფანტასტიკური იყო.



ფრანც ბეკენბაუერი – პატარა ბავშვების მოხუცი მამა

სხვა ევროპელი კანდიდატებიც ძლიერები იყვნენ, მაგალითად ინგლისი, მაგრამ ის მისმა პრესამ დაღუპა, რადგან ჟურნალისტები ფიფას აღმასკომის წევრებს ბრალდებებს უყენებდნენ. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მესმის, რატომ აღარ მისცეს ხმა ამ ქვეყანას.

ყატართან დაკავშირებით ცოტა სხვა სიტუაციაა. ჩემპიონატს პატარა და თანაც არასაფეხბურთო ქვეყანა უმასპინძლებს. ამ ქვეყანაში ზაფხულში საშინელი სიცხეებია. ვინ გაუმკლავდება 40-50 გრადუსს, ძნელი წარმოსადგენია. პირობა დადეს, რომ მინდვრებსა და ტრიბუნებზე ტემპერატურის დასაგდებად ყველაფერს გააკეთებენ. მათ ამისთვის ფულიც აქვთ და ტექნოლოგიებიც. ამასთან მათ წინ კიდევ 11 წელი აქვთ და ამ პერიოდში ბევრი რამის სრულყოფა შეიძლება.

- მაისში ფიფას აღმასკომი დატოვეთ, არადა ზეპ ბლატერის ყველაზე რეალურ შემცვლელად მიგიჩნევდნენ. ეს ყველაფერი ციურიხში გამართული კენჭისყრის გამო ხომ არ მოხდა?

- არა. ეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ მქონდა გადაწყვეტილი. ფიფას პრეზიდენტობას კი არასოდეს ვგეგმავდი. მე რალო მუშაკი, წყნარი და ძალიან არასპორტული ადამიანი იყო. პროფესიული ფეხბურთი მაშინ არ არსებობდა, რადგან ქვეყანას სხვა პრობლემებიც თავზე საყრელად ჰქონდა. მარტო ნანგრევების გასუფთავებას მთელი ქვეყანა რამდენიმე წელიწადი მოუნდა. სიტუაცია მხოლოდ 50-იანებში შეიცვალა. სკოლის შემდეგ სადაზღვევო საქმეს ვსწავლობდი და ფეხბურთს ვთამაშობდი. სწორედ ამ დროს, 1963 წელს "ბაიერნმა" კონტრაქტი შემომთავაზა. ბუნდესლიგა სწორედ ამ წელს დაარსდა, მაგრამ არავინ იცოდა, რამე თუ გამოვიდოდა ამ საქმიდან. რთული არჩევანის წინაშე ვიდექი. ბოლოს მაინც "ბაიერნი" ვარჩიე. 65-ში უმაღლეს ლიგაში გადავედით. ამ წელსვე შვედებთან ჩავატარე პირველი თამაში ბუნდესგუნდში. 1966-ში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გავხდი.

- ერთადერთი გერმანული ოქრო, რომელთანაც უშუალო შეხება არ გქონიათ, გერმანიამ 1954-ში მოიპოვა. ამ წარმატებამ იქონია თუ არა გავლენა საზოგადოების ზოგად განწყობაზე?

- მიმაჩნია, რომ ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება გერმანული სპორტის ისტორიაში. ომის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ... ეროვნული ბიბლიოთეკა

● დავირისპირება



ლამსა და შვაინშტაიგერს კანმა ფეხბურთისადმი მიდგომა დაუწუნა

კანი ახალგაზრდების წინააღმდეგ

ამ დღეებში **ოლივერ კანმა** "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა "ბაიერნის" კაპიტანი **ფილიპ ლამი** და ვიცე-კაპიტანი **ბასტიან შვაინშტაიგერი**. ვეტერანმა ვარსკვლავმა ყოფილ თანაგუნდელებს ეგოიზმში დასდო ბრალი. აი, რა თქვა ლეგენდარულმა მეკარემ: *"ის, რომ "რეკორდმაისტერი" ტიტულებს ვერ იგებს, განა იმ თაობის ფეხბურთელების ბრალი არ არის, რომელთაც ლამი და შვაინშტაიგერი წარმოადგენენ? ისინი მუდმივად იმას ამტკიცებენ, რომ "ბაიერნს" ახალი ლიდერები არ სჭირდება. საქმე ის არის, რომ ამას ეგოისტური მოსაზრებებით, საკუთარი იმიჯის შესანარჩუნებლად აკეთებენ და არა გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. ახალი ვარსკვლავების გუნდში მოსვლის შემთხვევაში ხომ ისინი ძველებურად წამყვან როლებზე ვეღარ დარჩებიან".*

ბუნებრივია, ასეთ ხმაურიან განცხადებას "ბაიერნის" ამჟამინდელი ლიდერები უყურადღებოდ ვერ დატოვებდნენ. შვაინის პასუხმა არ დააყოვნა: *"კარგად მახსოვს, როცა ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელი იყო, ოლივერ კანს ყველაზე მეტად პრესაში კოლეგების კრიტიკული შენიშვნები აღიზიანებდა და ამის გაკეთებას თავად გაურბოდა. ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: ბოლო სამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავუშვით. ხოლო თუ გუნდს მშრალად თამაში შეუძლია, ეს წარმატების გარანტიაა".*

● სოშო

მაიგა უარზეა

"სოშოს" მალელი შემტევი **მოდიბო მაიგა** შარშან გუნდის საუკეთესო ბომბარდირი იყო, წელს კი კლუბის ხელმძღვანელობასთან პირდაპირ კონფლიქტსაც არ მოერიდა და პრესის ფურცლებზე მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. მიზეზი ბანალურია, მას ინგლისის პრემიერლიგაში კარიერის გაგრძელების შანსი აქვს, "სოშო" კი მის ტრანსფერს ცოცხალი თავით არ თანხმდება. ლიგა 1-ის მეორე ტურში "კანთან" მატჩის შემდეგ გუნდის თავკაცმა **მეჰმეთ ბაზდარევიჩმა** ფეხბურთელის არყოფნა პირადი მიზეზებით ახსნა, თუმცა რეალური მიზეზი დიდხანს ვერ დაიმალა. მაიგა მეორე დღეს ვარჯიშზე არ გამოცხადდა, ხელმძღვანელობა კი იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ფეხბურთელი მათ მითითებებს აღარ ემორჩილებოდა. ბუნებრივია, კლუბმა თავდამსხმელი უკვე დააჯარიმა, თუმცა რა თანხით, ამას არავინ ამბობს.

ჯერ კიდევ წინა სეზონის დასრულებისთანავე "სოშომ" მთავარი მწვრთნელი **ფრანსის ჟიიო** ("ბორდო" ჩაიბარა) და საუკეთესო ფეხბურთელი **ბრაუნ იდეიე** (კიევის "დინამომ" შეიძინა) დაკარგა. "ეკიპის" ცნობით, სიტუაცია კლუბში ახლაც საკმაოდ დაძაბულია, რადგან მაიგას გარდა ნასვლა უნდათ საფრანგეთის ნაკრების წევრ **მარვენ მარტენს** ("მარსელი" და პსჟ იწვევდნენ), ასევე წამყვან ნახევარმცველებს **კევინ ანანსა** და **რიად ბუდებუზს.**

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

მოდიბო მაიგას გარდა სოშოდან წასვლა ბევრს სურს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსეთი. პრემიერლიგა. XX ტური

ვარსკვლავები და... საეჭვო თამაშები

რუბინი-ცსკა 1:1

გოლები: 1:0 ნათხო (33, პენალტი), 1:1 ძაგოევი (90+5)

იგნაშევიჩმა (ცსკა) 67-ე წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი

გაძევება: **კალეშინი (66, რუბინი)**

ზენიტი-ამკარი 1:1

გოლები: 1:0 **კოლომოიცევი (23)**, 1:1 **კერჟაკოვი (52)**,

45-ე წუთზე ლაზოვიჩმა (ზენიტი) ვერ გამოიყენა პენალტი

დინამო-ტერეკი 6:2

გოლები: 0:1 **ევერტონი (6)**, 1:1 **ვორონინი (29)**, 2:1 **კურანი (35)**, 3:1 **სემშოვი (45)**, 4:1 **იუსუპოვი (49)**, 5:1 **სემშოვი (84)**, 5:2 **გეორგიევი (87)**, 6:2 **საპეტა (90+2)**

76-ე წუთზე კარიაკამ („დინამო") ვერ გამოიყენა პენალტი

სპარტაკი (მ)-ანჟი 3:0

გოლები: 1:0 **არი (75)**, 2:0 **დ. კომბაროვი (44)**, 3:0 **კოზლოვი (73)**

როსტოვი-ყუბანი 1:2

გოლები: 0:1 **ზელაუ (23)**, 1:1 **ბრაკამონტე (57)**, 1:2 **ნე (63)**

ვოლგა-ლოკომოტივი 0:0

ქრასნოდარი-ქრილია 1:2

გოლები: 0:1 **ჯორჯევიჩი (34)**, 0:2 **ბობიორი (84)**, 1:2 **მარცვალაძე (90+4)**

ტომი-სპარტაკი (ნ) 0:2

გოლები: 0:1 **შანიცინი (75)**, 0:2 **სირაძე (90+1)**

ჯერჯერობით ყველაზე თვალსასაჩერო ფეხბურთს მოსკოვის დინამო თამაშობს

...პარაგვაელი **ნელსონ აედო ვალდესი,** არგენტინელი **მაურო სარატე**, ნიგერიელი **ობაფემი მარტენსი,** - არავის გაუკვირდეს, ეს სამი თავდამსხმელი უკვე ამ შაბათ-კვირას რუსულ პრემიერლიგაში რომ გამოჩნდეს; კვლავაც აქტუალურია **სამუელ ეტოოს** მახაჩყალის „ანჟიში" გადასვლის საკითხი; ბოლო დღეებში კი ისეთი სატრანსფერო ჭორი აგორდა, ვფიქრობთ, ამ ზაფხულს შემდგარ ყველა სატრანსფერო გარიგებას რომ დაჩრდილავს, — შეუზღუდავი ფინანსური შესაძლებლობების მქონე „ანჟი"... **რაულს** ინვევს! ისე, ამ ბოლო დროს რუსულ საკლუბო ფეხბურთში იმხელა ფული „ტრიალებს", აგვისტოს ბოლომდე (ანუ, „სატრანსფერო ფანჯრის" დახურვამდე), სულ მცირე, სამი-ოთხი ხმაურიანზე-ხმაურიან ტრანსფერს უნდა ველოდოთ. თუმცა, მანამდე გასულ ტურზე ვისაუბროთ, ორი მეტად საეჭვო მატჩითა და ერთიც სენსაციური შედეგით რომ დაგვამახსოვრდა. ტურის მიმოხილვასაც იმ ორი სნორედაც საეჭვოზე-საეჭვო მატჩით დავიწყებთ, ოღონდ გადაჭრით ვერაფერს დავამტკიცებთ ორივე შეხვედრის შედეგის მანიპულაციაზე, — უბრალოდ, რუსული მედიის „ერთსულოვნებაც" გვინდა აღვნიშნოთ და ის ფაქტიც, რომ ვინც „ტომი"-„ნალჩიკის" და „კრასნოდარი"-„კრილია სოვეტოვის" დაპირისპირებებს თვალი მიადევნა, აშკარად გაორებული შთაბეჭდილება დარჩებოდათ...

XX ტური სწორედ „ტომი"-„ნალჩიკის" მატჩით დაიწყო და სტუმართა მოულოდნელი გამარჯვებით დამთავრდა: შეხვედრის მიწურულს 29 წლის **დავით სირაძემ** ჯერ ასისტენტობა გაუწია თანაგუნდელს, შემდეგ კი მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა სეზონში მეორე გოლი გაიტანა. ბევრად უფრო „ხმაურიანი" გამოდგა ტურის უკანასკნელი შეხვედრა, თანაც ეჭვები იმ ფაქტმაც გააძლიერა, როცა რუსეთისა და ევროპის თითქმის ყველა საბუქმეიქერო კანტორაში „კრასნოდარი"-„კრილია სოვეტოვის" მატჩამდე სამი დღით ადრე ფსონების მიღება შეწყვეტილი იყო! ბუქმეიქერები კი, მოგეხსენებათ, იშვიათად ცდებიან: მასპინძელთა 34 წლის მეკარემ **იგორ უსმინსკიმ** ისეთი ბურთები გაუშვა, კაცი შაყირის ხასიათზე დადგებოდა; განსაკუთრებით მეორე გოლი გვინდა აღვნიშნოთ, რომელიც 28 წლის **იგორ ბობიორმა** უკიდურესად მახვილი კუთხიდან გაიტანა. ჩვენთვის ერთადერთი „შვება" ის თუ იქნებოდა, ახალ კლუბში პირველი გოლით **ოთარ მარცვალაძე** რომ გამოირჩა - 27 წლის ფორვარდმა მატჩის ბოლო წუთზე, ფაქტობრივად, ცარიელი კარი დალაშქრა.

ტურის მთავარი მოულოდნელობა კი, რაღა თქმა უნდა, „ზენიტის" საშინაო ფრე იყო: **ლუჩანო სპალეტის** გუნდი გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე გადადიოდა, მაგრამ **რაშიდ რახიმოვის** გაწვრთნილ „ამკართან" პაექრობაში მხოლოდ ფრეს დასჯერდა. მასპინძლებს ამ მატჩის წინ „ჩეზენაში" ივარით ნათამაშები 27 წლის **ალესანდრო როზინა** დაუბრუნდათ, მაგრამ დაცვაში „ჩამჯდარ" მეტოქესთან კინაღამ წააგეს: 28 წლის **ალექსანდრ კერჟაკოვის** ეფექტური თავური დარტყმა მხოლოდ ქულის მომტანი აღმოჩნდა. არადა, პირველ ტაიმში „ზენიტმა" პენალტი ვერ გამოიყენა: 28 წლის სერბმა **დანკო ლაზოვიჩმა** ბურთი ხარიხას გადააცილა. გასულ ტურში კიდევ ორი გაცუდებული პენალტი ვნახეთ: 32 წლის **სერგეი იგნაშევიჩმაც** (ცსკა) არაზუსტად დაარტყა, ხოლო 33 წლის **ანდრეი კარიაკამ** (დინამო) მეტოქის მეკარეს ვერ აჯობა. ამ ტურში ორი შეხვედრა ინვევდა განსაკუთრებულ ინტერესს და ორივეში ჩვენებურები მონაწილეობდნენ; „რუბინი" მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა ცსკა-ს და ეს, პარტნიორებთან ერთად, ყაზანელთა 19 წლის ცენტრალური მცველის **საბა კვერკველიას** დამსახურებაც იყო; თუმცა, მსაჯის მიერ დამატებული მეოთხე წუთიც რომ ინურებოდა, არმიელთა შემტევმა ნახევარმცველმა, 21 წლის **ალან ძაგოევმა** საჯარიმოს მისადგომებიდან ნახევარბრუნში ზუსტად გაისროლა და თავის გუნდს ლიდერობაც შეუნარჩუნა!

რაც შეეხება ტურის მეორე ცენტრალურ შეხვედრას, აქ, ფაქტობრივად, ბრძოლა არც ყოფილა: **ვალერი კარპინის** „სპარტაკმა" ყველაფერში დაჯაბნა „ანჟი" და რუსების „სახალხო გუნდიც" ამ გამარჯვებით IV ადგილზე აღზევდა. ჩვენთვის ნამდვილად არასასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ზედიზედ სამი შთამბეჭდავი მატჩის მერე თამაში არ „წაუვიდა" „ანჟის" 24 წლის მეკარეს **ნუკრი რევიშვილს;** ჰოდა ჩვენს რუს კოლეგებსაც მეტი რა უნდოდათ, — მაშინვე იმაზე დაიწყეს ლაპარაკი, „ანჟი" ბევრად უფრო მაღალი დონის მეკარეს იმსახურებსო; ამ დროს კი, რატომღაც „ავიწყდებათ", რომ მახაჩყალელთა ძვირადღირებულ ახალწვეულებს, 27 წლის **იური ჟირკოვსა** და 24 წლის **ბალაშ ჯუჯაკს** იმ მატჩში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ.

ჟირკოვის გარდა, გასულ ტურში კიდევ. რამდენიმე ცნობილ ახალწვეულს ჰქონდა დებიუტი რუსულ პრემიერლიგაში: 32 წლის ხორვატ მეკარეს **სტიპე პლეტიკოშას** („როსტოვი"), 30 წლის ბრაზილიელ **ევერტონს** („დორტმუნდისა" და „სარაგოსას" ყოფილი ნახევარმცველი კარიერას „ტერეკში" აგრძელებს), 24 წლის ნიგერიელ თავდამსხმელს **ემანუელ ემენიკეს** („სპარტაკი"), 25 წლის პორტუგალიელ მცველს **მანუელ და კოშტასა** და 22 წლის ეკვადორელ ფორვარდს **ფილიპე კაისედოს** (ორივე-„ლოკომოტივი"). სადებიუტო მატჩი ჩაატარა 23 წლის **ზურაბ არზიანმაც,** ვინც 26 წლის **გოჩა ხოჯავასთან** და 22 წლის **მათე ვაწაძესთან** ერთად „ვოლგას" ძირითადში თამაშობდა. დაბოლოს, ამ ჩემპიონატის მართლაც გამორჩეულ გუნდზეც: **სერგეი სილკინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე მოსკოვის „დინამომ" მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და „ტერეკი" დიდი ანგარიშით (6:2) დაამარცხა. შესანიშნავ ფორმაში არიან დინამოელთა ვეტერანი ლიდერები: 33 წლის **იგორ სემშოვი,** 32 წლის **ანდრეი ვორონინი** და 29 წლის **კევინ კურანი,** რომელთა წინააღმდეგ „ტერეკის" მცველები ვერაფერს ახერხებდნენ. არანაკლებ ჩინებულად ითამაშა მასპინძელთა მარჯვენა ნახევარმცველმა, 27 წლის **ალექსანდრ სამედოვმა,** რომელმაც ამ შეხვედრაში სამი საგოლე პასი გააკეთა; საერთოდ კი, გამოუყენებელი პენალტის გარდა, „დინამომ" მეტოქის კართან... 14 საგოლე მომენტი შექმნა!..

გია ტუხაშვილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცსკა	20	12	6	2	37-15	42
2. ზენიტი	20	11	7	2	31-13	40
3. დინამო	20	11	5	4	36-23	38
4. რუბინი	20	9	7	4	26-17	34
5. სპარტაკი	20	10	4	6	27-22	34
6. ანჟი	20	9	6	5	22-17	33
7. ყუბანი	20	9	4	7	24-20	31
8. ლოკომოტივი	20	8	6	6	31-22	30
9. კრასნოდარი	20	6	8	6	24-26	26
10. ტერეკი	20	6	4	10	18-28	22
11. ამკარი	20	5	6	9	14-27	21
12. ტომი	20	4	7	9	18-32	19
13. ვოლგა	20	5	2	13	17-24	17
14. ნალჩიკი	20	3	7	10	17-26	16
15. როსტოვი	20	4	4	12	21-35	16
16. კრილია	20	3	7	10	12-28	16

მომდევნო, XXI ტური, 20 აგვისტო

ამკარი-რუბინი
ცსკა-ტომი
კრილია-ზენიტი
ტერეკი-როსტოვი
ლოკომოტივი-კრასნოდარი
ნალჩიკი-სპარტაკი (მ)
ანჟი-დინამო
ყუბანი-ვოლგა

● მანჩესტერ იუნაიტედი



ეშლი იანგი

სკოლა – 2

26 წლის ინგლისელი ვარსკვლავი **ეშლი იანგი** ამბობს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ თავს ისე გრძნობს თითქოს სკოლაში დაბრუნდა. „ასტონ ვილასგან" 20 მილიონ ფუნტად ნაყიდი ჰაფბეკი მიხვდა, რომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმისგან ჯერ ძალიან შორს არის და წინ დიდი გზა აქვს გასავლელი.

„ვარჯიშებზე ყველაფერს ვაკვირდები და ვცდილობ შევითვისო. მოედანზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით გასული, ვალდებული ვარ, თავდადებით ვითამაშო და საუკეთესო თვისებები ვაჩვენო.

ჩემ გარშემო ისეთი ბიჭები არიან, რომ მათგან ვსწავლობ. აქ, ერთმანეთის ყველას ესმის. მეც ყველასი მესმის და ისინიც მხარში მიდგანან. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო მოიგო „იუნაიტედმა" ამდენი ჯილდო".

ილია ბაბუნაშვილი

● ამბები

ლუჩო უნდა დარჩეს

"იუვენტუსის" ბრაზილიელი თავდამსხმელი **ამაური** რა ხანია, "ქალბატონიდან" სათამაშოდ სხვაგან გადასვლას გეგმავს, მაგრამ ამ მხრივ ახალი ჯერჯერობით არაფერია. "ეკიპის" ცნობით, "მარსელმა" "იუვეს" ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალურად მიმართა. საფრანგეთის ექსჩემპიონებს ჩემპიონთა ლიგისთვის თავდასხმის გაძლიერება სურთ. ამაურის შეძენა ველოდრომელთა გარდა "პალერმოს", "ფიორენტინასა" და "ჰამბურგს" უნდათ.

დიდიე დეშამის ასისტენტმა **გი სტეფანმა** გუნდის არგენტინელ ლიდერს, 30 წლის **ლუჩო გონსალესს** მოუნდა თავიდან ამოიგდოს გუნდიდან წასვლის განზრახვა. ნახევარმცველის შეძენას ყველაზე მეტად "რომა" ცდილობს. *"იმის მიუხედავად, რომ ლუჩო ვერც "აიაჩოსთან" და იქამდე "სოშოსთან" იდეალურად არ გამოიყურებოდა, მისთვისაც და გუნდისთვისაც უმჯობესი იქნება, თუკი ის დარჩება. ის ახლა ჩვენთან თავს მშვენივრად გრძნობს და ვარჯიშებზეც და ჩემპიონატის შეხვედრებშიც ბოლომდე იხარჯება,"* – განაცხადა სტეფანმა.

აქვე გეტყვით, რომ "მარსელმა" დაახლოებით თვე-ნახევრით დაკარგა 25 წლის კამერუნელი უნივერსალი **სტეფან მბია**. ფეხბურთელს ფეხი აქვს მოტეხილი.

ნალდო ბრუნდება

ბრემენის "ვერდერის" ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ნალდო** ფეხბურთს თითქმის 15-თვიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება. **თომას შააფი** გეგმავდა, გუშინ ფეხბურთელი "ზანკტ პაულის" წინააღმდეგ დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრაში განაცხადში შეეყვანა. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ ტანმაღალი ფეხბურთელი ფორმას ნელ-ნელა აკრეფს და გუნდს დასახული ამოცანების გადაჭრაში შეეწევა. მისი დახმარება კი მუსიკოსებს ძალიან სჭირდებათ. გულშემატკივარს ეხსომება, რომ შარშანდელი "ვერდერის" დაცვის ხაზი სულაც არ ჰგავდა "დაცვასას", რადგან მის გაბრიყვებას ნებისმიერი მსურველი იოლად ახერხებდა.

ბურსასპორმა ობრანიას დაუმიზნა

თურქულმა "ბურსასპორმა" "ლილისა" და პოლონეთის ნაკრების ნახევარმცველ **ლუდოვიკ ობრანიაკს** დაადგა თვალი, - იუწყება "ფრანს ფუტბოლი". ფეხბურთელით დაინტერესებულია ასევე "გალათასარაიც". 26 წლის ფეხბურთელში თურქული კლუბები ჯერჯერობით მხოლოდ 4 მილიონს იხდიან. საფრანგეთის ჩემპიონები ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

უეფამ ოლიმპიაკოსს უარი უთხრა

უეფას სააპელაციო კომიტეტმა უეფასავე საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის 10 აგვისტოს გადაწყვეტილება პირეოსის "ოლიმპიაკოსის" დისკვალიფიკაციის შესახებ ძალაში დატოვა. შეგახსენებთ, ბერძნული კლუბი ევროასპარეზიდან სამი წლით მოიკვეთა, რადგან მას შიდა პირველობაზე გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა დაუმტკიცდა. ამასთან "ოლიმპიაკოსი" ჩამოაშორეს ევროპის ლიგის მიმდინარე გათამაშებასაც. ბერძნებს ახლა ერთადერთი გზაღა დარჩათ, ისინი ლოზანის უმაღლეს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში უნდა წავიდნენ.

ლევან ბიბილაშვილი

უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. რეიტინგები



მარდი ფიში

სერენა ისევ პირველია

ტორონტოს ტურნირზე გამარჯვების შემდეგ **სერენა უილიამსმა** დაიბრუნა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ჩოგანის არაოფიციალური ტიტული. შეგახსენებთ, რომ 2011 წლის 4 ივლისიდან, WTA-ის რეიტინგის თანახმად, ამერიკელთა შორის ყველაზე მაღლა კლასიფიკაციაში **ბეტანი მატეკი** იდგა, რომელმაც ტრავმის გამო გამოტოვა ტორონტოს სუპერტურნირი.

სერენამ კანადაში ტრიუმფის წყალობით 80-დან 31-ე პოზიციაზე გადაინაცვლა, მატეკი კი ორი საფეხურით დაქვეითდა და ახლა 33-ე ადგილზეა.

გარდა ამისა, ახალი რეიტინგის მიხედვით ორმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა მიაღწია კარიერაში საუკეთესო პოზიციას. მონრეალის მასტერსის ფინალში გასვლამ **მარდი ფიშს** მეშვიდე ადგილი მოუტანა, ხოლო **ალექს ბოგომოლოვი** პირველად კარიერაში საუკეთესო 50 ჩოგბურთელს შორის მოხვდა.

ATP		WTA	
1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	13 500	1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	9 915
2(2). რაფაელ ნადალი (ესპ)	11 420	2(3). ვერა ზვონარევა (რუს)	7 045
3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც)	9 200	3(2). კიმ კლაისტერსი (ბელ)	6 726
4(4). ენდი მიურეი (ბრიტ)	5 715	4(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	6 390
5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ)	4 325	5(6). ნა ლი (ჩინ)	5 671
6(6). დავიდ ფერერი (ესპ)	4 200	6(7). პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	5 561
7(8). მარდი ფიში (აშშ)	3 060	7(5). მარია შარაპოვა (რუს)	5 446
8(7). გაელ მონფილსი (საფ)	2 995	8(8). ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	4 955
9(9). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	2 420	9(9). მარიონ ბარტოლი (საფ)	4 325
10(16). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	2 305	10(11). სამანტა სტოსური (ავსტრა)	3 775
11(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	2 300	11(10). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	3 530
12(11). ჟილ სიმონი (საფ)	2 155	12(12). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	3 335
13(13). რიშარ გასკე (საფ)	2 080	13(15). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	2 751
14(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	2 070	14(14). ელენა იანკოვიჩი (სერ)	2 710
15(12). ენდი როდიკი (აშშ)	2 030	15(17). შუაი პენგი (ჩინ)	2 600
16(15). ვიქტორ ტროიცკი (სერ)	2 015	16(18). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ)	2 595
17(14). მიხაილ იუჟნი (რუს)	1 955	17(16). ანა ივანოვიჩი (სერ)	2 415
18(18). იურგენ მელცერი (ავსტრია)	1 865	18(13). ა. პავლიუჩენკოვა (რუს)	2 410
19(19). ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	1 755	19(22). რობერტა ვინჩი (იტა)	2 350
20(24). იანკო ტიპსარევიჩი (სერ)	1 740	20(20). იულია გორჯესი (გერ)	2 335

ATP. ფულადი მონაგარი		WTA. ფულადი მონაგარი	
1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	8 063 518	1. პეტრა კვიტოვა (ჩეხ)	3 209 884
2. რაფაელ ნადალი (ესპ)	5 269 089	2. ნა ლი (ჩინ)	3 178 713
3. როჯერ ფედერერი (შვეიც)	2 534 199	3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ)	2 525 784
4. ენდი მიურეი (ბრიტ)	2 520 664	4. კიმ კლაისტერსი (ბელ)	2 325 741
5. დავიდ ფერერი (ესპ)	1 746 375	5. მარია შარაპოვა (რუს)	2 323 975
6. რობინ სიოდერლინგი (შვედ)	1 323 473	6. კაროლინ ვოზნიაცკი (დან)	2 192 454
7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)	1 165 383	7. ფრანჩესკა სკიავონე (იტა)	1 358 551
8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ)	1 127 616	8. მარიონ ბარტოლი (საფ)	1 354 133
9. მარდი ფიში (აშშ)	1 091 026	9. ვერა ზვონარევა (რუს)	1 140 091
10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ)	1 044 089	10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)	972 327
11. ჟილ სიმონი (საფ)	920 968	11. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)	895 794
12. ა. დოლგოპოლოვი (უკრ)	852 329	12. სამანტა სტოსური (ავსტრა)	852 084
13. ბრუ ბრაიანი (აშშ)	848 329	13. საბინ ლისიცკი (გერ)	739 504
13. მაიკ ბრაიანი (აშშ)	848 329	14. შუაი პენგი (ჩინ)	694 981
15. მიკაელ ლოდრა (საფ)	792 398	15. ფლავია პენეტა (იტა)	679 108
16. რიშარ გასკე (საფ)	782 285	16. მარია კირილენკო (რუს)	660 765
17. ხ-მ. დელ პოტრო (არგ)	772 233	17. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს)	656 489
18. სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	763 951	18. იულია გორჯესი (გერ)	617 741
19. გაელ მონფილსი (საფ)	759 538	19. ელენა ვესნინა (რუს)	613 118
20. ვიქტორ ტროიცკი (სერ)	727 858	20. დ. ჰანტუხოვა (სლოვაკ)	603 282

შნიდერი ბანკროტია

წარსულში ცნობილი შვეიცარიელი ჩოგბურთელის **პატი შნიდერის** მეუღლე - **რაინერ ჰოფმანი** ოფიციალურად გამოაცხადეს ბანკროტად. როგორც შვეიცარიული გამოცემა Schweizer Illustrierte იტყობინება, შნიდერისა და ჰოფმანის სახლს, რომელიც ციურიხის გარეუბანში ერთ-ერთი ტბის პირას მდებარეობს, სასამართლოს წარმომადგენლები ესტუმრნენ ქონების აღწერისთვის და მისი კონფისკაციისთვის.

მაგრამ მათ გასაკვირად, სახლში ძველი ავეჯისა და ჭურჭლის გარდა არაფერი დახვდათ. არც პატი და რაინერი იყვნენ შინ - წყვილი გერმანიის ქალაქ ვესენდორფში (ქვემო საქსონია) ჰოფმანის მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად. ცოლ-ქმარი უახლოეს პერიოდში არ აპირებს პრესასთან ურთიერთობას. იტყობინებიან, რომ შნიდერი და ჰოფმანი გერმანიაში თითქმის საიდუმლოდ ცხოვრობენ - არ პასუხობენ სატელეფონო ზარებს, ურთიერთობა არ აქვთ მეზობლებთან.

ადრე რაინერ ჰოფმანი უარყოფდა გაკოტრების ფაქტს და საკუთარ თავს მსხვილი ბიზნესმენის აფერის მსხვერპლად მიიჩნევდა, რომელსაც მისთვის დაპირებული თანხა უნდა გადაეხადა. მაგრამ ფული კრედიტორების ანგარიშზე არ ჩაირიცხა და დაიწყო სასამართლო გარჩევები. პატი და რაინერი კომენტარს არ აკეთებენ და უბრალოდ ამბობენ, რომ ჰოფმანის მოხუც მშობლებზე ზრუნავენ. ასეა თუ ისე, სანამ წყვილი გერმანიაშია, კრედიტორებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ.

შეგახსენებთ, რომ პატი შნიდერმა წელს დაასრულა აქტიური საჩოგბურთო კარიერა.

ტურნირები

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდიკი გასაჭირში

კანადური მასტერსის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებმა ცინცინატიში გადაინაცვლეს, სადაც სეზონის რიგით მეშვიდე მასტერსი დაიწყო.

ტურნირის პირველივე დღე არასასიამოვნო გამოდგა ამერიკული პუბლიკისთვის. კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ერთ დროს ამერიკული და მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავი **ენდი როდიკი** ღრმა კრიზისშია და იქიდან გამოსასვლელ გზებს ვერ პოულობს.

მსოფლიო რეიტინგის ყოფილი ლიდერი პირველ მატჩს თამაშობდა უიმბლდონის შემდეგ, სადაც მესამე წრეში **ფელისიანო ლოპესთან** წააგო. ყოფილი პირველი ჩოგანის მეტოქე გერმანელი **ფილიპ კოლშრაიბერი** იყო. როდიკისთვის მატჩი კარგად დაიწყო - პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, მეორეში კი ბრეიკით დაწინაურდა - 5:4, მაგრამ ამერიკელმა მატჩზე ჩაწოდება ვერ შეძლო, რადგან მოწოდება მოიშალა. მეათე გეიმი მან ორმაგი შეცდომით დაასრულა, 5:6-ზე ზედიზედ ორი ორმაგით მეორე ბრეიკი გააკეთებინა მეტოქეს, რის შემდეგაც გერმანელმა სეტზე ჩააწოდა.

როდიკმა მესამე სეტის დასაწყისში ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ვერ გამოიყენა, შემდეგ გეიმში კი 30:40-ზე კიდევ ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ამის შემდეგ ენდის თამაში საბოლოოდ მოიშალა. სულ მალე ანგარიში 5:0 გახდა კოლშრაიბერის სასარგებლოდ, რითაც მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

კოლშრაიბერი შემდეგ წრეში ფელისიანო ლოპესს შეხვდება, ვინც ესპანურ დერბიში **ხუან კარლოს ფერეროს** 19 ეისის დახმარებით მოუგო.

კვლავაც კარგ ფორმაშია 19 წლის ამერიკელი **რაიან ჰარისონი**. მან ეს არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელას** ორ სეტში ძლევით დაამტკიცა. ჰარისონმა ამერიკული სერიის ორ ტურნირში (ატლანტასა და ლოს ანჯელესში) ნახევარფინალამდე გააღწია, მაგრამ ცინცინატიში წინსვლა გაუჭირდება, რადგან მეორე წრეში მას თვით **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ელოდება, თანაც ამერიკელს ტოპთეულის წევრებთან ნული მოგება და შვიდი წაგება აქვს.

სამმატჩიან წაგებათა სერია შეწყვიტა არგენტინელმა **დავიდ ნალბანდიანმა**. მას საათი და 36 წუთი დასჭირდა იაპონელი **კეი ნიშიკორის** დასამარცხებლად. შემდეგ ეტაპზე დავიდს **ენდი მიურეი** ელის, ვინც წინა კვირას ჩააგდო მონრეალის მასტერსი, როცა პირველივე წრეში წააგო სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან**. საინტერესოა, ამჯერად როგორ ფორმაშია ბრიტანელი ვარსკვლავი.

გუშინ ერთი განთესილი გამოეთიშა ბრძოლას - იტალიელმა **ფაბიო ფონინიმ** ოთხი ბრეიკის წყალობით მოუგო მე-14 ნომერ **ვიქტორ ტროიცკის**. **ფერნანდო ვერდასკომ** შვიდიდან ექვსი ბრეიკ-პოინტი მოიგერია **ტომაშ ბელუჩისთან** მატჩში და ორ სეტში მოუგო ბრაზილიელს.

ენდი როდიკი

I წრე

რიშარ გასკე (საფ, 12)-ალექსანდრ დოლგოპოლოვი 6:1, 7:6(4); **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ტომაშ ბელუჩი (ბრა) 6:3, 7:6(4); **ფაბიო ფონინი (იტა)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 14) 6:4, 6:1; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ) 4:6, 6:3, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ)**-კეი ნიშიკორი (არგ) 6:4, 6:4; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 6:3; **ხუან მონაკო (არგ)**-ტომი ჰაასი (გერ) 6:7(5), 6:4, 6:3; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-მარსელ ილჰანი (თურ) 6:3, 7:5.

გერმანიამ ორი დაკარგა

პარალელურად ცინცინატიში ქალებმაც დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა და პირველივე დღეს ორი საინტერესო მატჩი გაიმართა, რომლებშიც გერმანელმა ჩოგბურთელებმა მიიღეს მონაწილეობა.

თითქოს არაფერი უცნაური არ უნდა იყოს იმაში, რომ მსოფლიოს 24-ე ჩოგანმა 22-ე დაამარცხოს. სწორედ ასე მოხდა გუშინ, მაგრამ ამ მატჩის შედეგი დღის მთავარ მოულოდნელობად მოინათლა.

შაარ პეერი ამა წლის აპრილში მსოფლიოს მე-11 ჩოგანი იყო და ერთი მოგება აკლდა იქამდე, რომ ისტორიაში ტოპათეულის პირველი ებრაელი წარმომადგენელი გამხდარიყო. მაგრამ პეერმა ეს ვერ მოახერხა, შემდეგ კი ექვსი ტურნირიდან ხუთში პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას, მათ შორის წინა კვირას ტორონტოში, როცა მსოფლიოს 150-ე ჩოგანთან **ალექსანდრა ვოზნიაკთან** 1:6, 0:6 წააგო.

პეერის მეტოქე იყო გერმანელი **საბინ ლისიცკი**, რომელმაც წელს უიმბლდონზე ნამდვილი ფურორი მოახდინა, ისრაელელთან მატჩს კი შესანიშნავი სტატისტიკით შეხვდა - ბოლო 20 მატჩში 17 გამარჯვება. ამ ყველაფრის მიუხედავად, პეერმა მოიგო პირველი სეტი და მეორეში 5:0 დაწინაურდა, შემდეგ ორი მატჩბოლიც მიიღო და სწორედ აქ მოახდინა პატარა სასწაული ლისიცკიმ - მან ზედიზედ ექვსი გეიმი აიღო და თავად გავიდა წინ, თუმცა პეერმა საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, იქ კი უკეთესი მოწოდების წყალობით 7:4 გაიმარჯვა.



ანდრეა პეტკოვიჩი

შემდეგ წრეში პეერს **ვიქტორია აზარენკა** შეხვდება, ვინც ტორონტოში ნახევარფინალი ითამაშა. ბელარუსს სამიდან სამჯერ ჰყავს დამარცხებული ისრაელის წარმომადგენელი, თანაც ისე, რომ სეტიც არ დაუთმო მას.

ლისიცკისგან განსხვავებით, თითქმის წაგებული მატჩის მოგება შეძლო კიდევ ერთმა გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა**. ავსტრალიელმა **იარმილა გაიდოშოვამ** პირველ სეტში 7:5 იმარჯვა, მეორეში 2:0-ს იგებდა, მაგრამ გერმანელმა ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა საქმე, იქ კი კიდევ ერთი კრიტიკული მომენტი დაუდგა, რადგან გაიდოშოვა „შემოკლებულ გეიმში“ 4:1 დაწინაურდა. პეტკოვიჩს კიდევ ერთხელ მოუწია ხასიათის სიმტკიცის გამოვლენამ და ისევ გაუმართლა - ტაი-ბრეიკი 7:5 მოიგო, ბოლო სეტში კი მისი უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა.

რაც შეეხება მესამე გერმანელს **იულია გორჯესს**, მან მოულოდნელად სამ სეტში წააგო ჩინელ **ჟიე ჟენგთან**.

I წრე

ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 9)-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 5:7, 7:6(5), 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 14)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:3, 6:4; **ანა ივანოვიჩი (სერ, 15)**-ალექსა გლეტჩი (აშშ) 6:0, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:3, 4:1 დომინგესის უარი; **შაარ პეერი (ისრ)**-საბინ ლისიცკი (გერ) 6:4, 7:6(4); **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:2, 6:2; **სარა ერანი (იტა)**-სლოუნ სტივენსი (აშშ) 6:1, 7:5; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 7:5, 6:3; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:2, 4:6, 6:2; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 2:6, 6:2, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ჯულია გორჯესი (გერ) 6:2, 1:6, 6:4; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-ელენა ვესნინა (რუს) 3:6, 7:6(5), 6:0; **შანელ სხეპერსი (ს.აფრ)**-რებეკა მარინო (კან) 7:5, 6:2; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:0, 6:0; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 0:6, 7:6(4), 6:3; **კრისტინა მაკჰეილი (აშშ)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 7:5, 4:6, 6:1.

მეც ხომ ადამიანი ვარ

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, რომელმაც გასულ კვირას სეზონში რიგით მეხუთე მასტერსი მოიგო, კომენტარი გაუკეთა იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი მატჩი აქვს წაგებული.

„შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ მე ადამიანი ვარ. წელს მართლაც დაუჯერებელ თამაშს ვაჩვენებ, ვიცი, რომ ფანტასტიკური სეზონი მაქვს, მაგრამ არ ვფიქრობ იმაზე, რამდენ მატჩს წავაგებ წლის ბოლომდე, ვფიქრობ იმაზე - რამდენ შეხვედრაში გავიმარჯვებ.

ამერიკის ღია პირველობაზე ერთ-ერთი ფავორიტი ვიქნები. მაგრამ ეს არაფერით განსხვავდება იმ სიტუაციისგან, რომელშიც ბოლო წლებში ვიყავი. ტოპ-მოთამაშეებისგან ყოველთვის დიდი მოლოდინი აქვთ. ამ ტურნირის მიმართ ჩემი მიდგომა არ შეიცვლება - ვეცდები ყველა მატჩი მოვიგო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ძალიან მინდა გავაგრძელო კარგად თამაში და ტურნირების მოგება“, - მოჰყავს სერბი ჩოგბურთელის სიტყვები სააგენტო „როიტერს“.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● კალათბურთი

ლიგას შემცირება ემუქრება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** აღიარებს, რომ ლიგაში, შესაძლოა, გუნდების რაოდენობა შემცირდეს, რათა თავიდან მრიშორონ წამგებიანი კლუბები.

„ჩვენი თვითმიზანი არ არის ლიგის შემცირება. მოგების გაყოფაზე საუბრისას, რამდენიმე გუნდს მიაჩნია, რომ თუ რომელიმე კლუბი წამგებიანია, უმჯობესი ხომ არ იქნება მისი შესყიდვა? იმის ნაცვლად, რომ მათ ფული გავუყოთ და ტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი გადავცეთ, ჩვენ საკუთარი ფულითვე შეგვიძლია მათი შეძენა.

ბოლო მოლაპარაკებების დროს მოთამაშეებმა დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, რაც მეტად უცნაურია, რადგან საუბარი მიდის ოცდაათი ვაკანსიის ან პოტენციური ვაკანსიების შემცირებაზე. ჩვენ მოთამაშეებს ვუთხარით: „მოდით, თავიდან კონტრაქტი გავაფორმოთ. შევთანხმდეთ საბაზო პირობებზე. დავდოთ ახალი ხელშეკრულება და შემდეგ ვილაპარაკოთ შემცირების საკითხზე“.

თუმცა ჯერჯერობით მოხალისეები არ ჩანან. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე კლუბმა თავად ასწიოს ხელი.

„ნიუ ორლეანი“ ლიგის პირველ თხუთმეტ შემოსავლიან კლუბში მოხვდება, თუ დასწრების საშუალო მაჩვენებელი 10 ათასს დაუბრუნდება. ლუიზიანას შტატის მხრიდან მხარდაჭერის პირობებში, ეს ძალიან საინტერესო გუნდი იქნება. დარწმუნებული არ ვარ, რომ ის შემცირების კანდიდატი გახდება.

არ მინდა მომავალი სავარაუდო შემცირების დეტალებზე ვილაპარაკო. მაგალითად, ამჟამად ჩვენ ვთანამშრომლობთ საკრამენტოს მერთან - კევინ ჯონსონთან, რომელიც ყველა ღონეს ხმარობს იმისთვის, რომ ქალაქში ახალი არენა აიგოს. მის ასაშენებლად გამოყოფილია 7 მილიარდი დოლარი მომავალ 30 წელიწადზე. ჯონსონმა ამ პროექტის განსახორციელებლად მთელი რეგიონის მხარდაჭერა მოიპოვა. ასე რომ, მოდით დავიცადოთ და შემდეგ ვიმსჯელოთ ლიგაში გუნდების შემცირებაზე“, - განაცხადა სტერნმა ESPN-ის პროგრამაში.

● ოლიმპიზმი

ბრიტანეთი მედლებს ითვლის

ბრიტანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა და 2012 წლის ოლიმპიადაზე ქვეყნის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელმა **ენდი ჰანტმა** გამოთქვა ვარაუდი იმის შესახებ, რომ XXX ოლიმპიადის მასპინძლები შინ უკეთ გამოვლენ, ვიდრე 2008 წელს პეკინის თამაშებზე. სამი წლის წინ ბრიტანელმა ოლიმპიელებმა 47 მედალი მოიპოვეს, მათ შორის - 19 ოქროსი და გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავიდნენ. ისინი ჩამორჩნენ ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს.

ბრიტანეთს მარკ კევენდიშის იმედიც ექნება

„მეოთხე ადგილის შენარჩუნება ძალიან რთული იქნება. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბევრ ქვეყანას მოუნდება ჩვენთან კონკურენცია და მზად არიან კიდეც მასპინძლებთან საბრძოლველად, - ამბობს ჰანტი. - მაგრამ ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია. შეგვიძლია თუ არა უფრო მეტ სახეობაში უფრო მეტი მედლის მოგება? ვფიქრობ, ეს შესაძლებელია.

ძნელი სათქმელია, შევინარჩუნებთ თუ არა ოქროს მედლების რაოდენობას. ეს არც ისე იოლია. არსებობს გარკვეული მოთხოვნები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ეჭვგარეშეა, რომ სპორტის რამდენიმე სახეობას სტაბილურად მოაქვს ბრიტანეთისთვის მედლები და დარწმუნებული ვარ, ლონდონშიც ასე იქნება. რამდენიმე სხვა სახეობაში ჩვენ „მედლების ზონაში“ ან მასთან ძალიან ახლოს ვიქნებით. კიდევ არსებობს სპორტის სახეობები, რომლებშიც ოლიმპიადებზე არასოდეს გამოვსულვართ, მაგრამ ახლა ღირსეული შედეგებისთვის ვემზადებით“.

■ ■ ■

ამასობაში, ოლიმპიადისთვის მზადება სრული სვლით მიმდინარეობს და ამ საქმეში კომპანია BBC-იც არის ჩართული. ის აპირებს შექმნას დროებითი რადიოსადგური, რომელიც მხოლოდ 2012 წლის ზაფხულის თამაშების გაშუქებისთვის იქნება გათვალისწინებული.

რადიოსადგური 20 დღე იმუშავებს. ასევე ჩაშვებული იქნება მისი ინტერნეტ-ვერსია. BBC-ის ამ პროექტის ღირებულება 200 ათასი ფუნტი სტერლინგი იქნება.

გარდა ამისა, BBC-მ გადაწყვიტა, რომ ლონდონის ოლიმპიური თამაშების დროს ახალგაზრდული არხი BBC3 ტურნირების მთავარი ტრანსლატორი იქნება. ამ მომენტისთვის არხზე მხოლოდ საღამოს ტელეგადაცემები გადის, მაგრამ მომავალ ზაფხულს იქ დღის ეთერიც გაჩნდება და სპორტულ მოვლენებს მიეძღვნება. ტელეკომპანიას თამაშების ჩვენება BBC3-ზე დაახლოებით 4.5 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

როგორც „დეილი მირორი“ აღნიშნავს, BBC-ის ვებგვერდი დაახლოებით ათას საათს დაუთმობს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას, რომლებიც არ იქნება წარმოდგენილი ტელევიზიით.

● მოტოსპორტი

იაპონია როსისაც არ უნდა

იზრდება იმ მოტომრბოლთა რიცხვი, რომლებსაც არ სურთ იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპზე გამგზავრება. მიზეზად ისინი ქვეყანაში არსებულ რთულ რადიაციულ ფონს ასახელებენ.

ვალენტინო როსი

პირველმა იაპონიაში გამგზავრებაზე კატეგორიული უარი განაცხადა ესპანელმა **დანი პედროსამ**. ახლა კი მის აზრს იზიარებს ლეგენდარული იტალიელი, „დუკატის“ ნევრი **ვალენტინო როსი**.

„მე ვეთანხმები დანის, მართლაც არ ღირს იაპონიაში გამგზავრება. ბოლო მომენტამდე იმედი მქონდა, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ და რბოლას გააუქმებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. ახლა ჩვენ სერიოზული პრობლემები გვაქვს“, - განაცხადა მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონმა.

შეგახსენებთ, რომ რბოლა „მოტეგის“ ავტოდროზე 2 ოქტომბერს უნდა გაიმართოს.

როსი ორგანიზატორებს ეტაპის „მოტეგიდან“ „სუზუკას“ ავტოდრომზე გადატანას სთავაზობს, რომელიც რადიაციისგან დაბინძურებული ტერიტორიიდან მოშორებით მდებარეობს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

პლეი ოფი. I მატჩები

არსენალი-უდინეზე	1:0
ბატე-შტურმი	1:1
კოპენჰაგენი-პლზენი	1:3
ტვენტე-ბენფიკა	2:2
ლიონი-რუბინი	3:1

ამხანაგური მატჩები

სტ. პაული-ვერდერი	4:5
ნიურნბერგი-ფენერბაჰჩე	1:2

ინგლისი

ჩემპიონშიფი

ბარნსლი-მიდლსბრო	1:3
დონკასტერი-ნოტინგემი	0:1
იფსვიჩი-საუთჰემპტონი	2:5
ლიდსი-ჰალი	4:1
პორტსმუთი-რიდინგი	1:0
უოტფორდი-ვესტ ჰემი	0:4
კრ. პალასი-ქოვენთრი	2:1

I ლიგა

ბორნმუთი-სტევენეიჯი	1:3
ბერი-უენსდი	2:1
ჩესტერფილდი-პრესტონი	0:2
კოლჩესტერი-ჩარლტონი	0:2
ექსეტერი-ბრენტფორდი	1:2
ჰარტლპული-ჰადერსფილდი	0:0
ლეიტონი-უიკომბი	1:3
ნოტსი-ტრანმერი	3:2
როჩდეილი-კარლაილი	0:0
სკანთორფი-ოლდჰემი	1:2
შეფილდი-უოლსოლი	3:2
იეოვილი-მილტონი	0:1

II ლიგა

აკრინგტონი-ბრედფორდი	1:0
ალდერშოტი-ტორკი	0:1
ბარნეტი-ჯილინგემი	2:2
ბრ. როვერსი-ნორთჰემპტონი	2:1
ბარტონი-პორტ ვეილი	1:1
ჩელტენჰემი-მორეკამბი	1:2
ძროული-საუთენდი	3:0
ძრიუ-როტერჰემი	1:2
დაგენჰემი-სუინდონი	1:0
ჰერეფორდი-მაკლსფილდი	0:4
ოქსფორდი-შრიუსბერი	2:0
პლიმუტი-უიმბლდონი	0:2

კონფერენსი

ალფრეტონი-საუთპორტი	0:0
ბეტი-რექსჰემი	0:2
ბრეინტრი-ბრიმსბი	5:0
კემბრიჯი-ტელფორდი	1:0
ფლიტვუდი-დარლინგტონი	0:0
გეიტშიდი-მენსფილდი	3:0
ლინკოლნი-კიდერმინსტერი	0:1
ლუტონი-ფორესტ გრინი	1:1
ნიუპორტი-ჰე�ტი	4:0
სტოკპორტი-ჰეტერინგტ	1:0
ტამუორტი-ებსფლიტი	1:0
იორკი-ბაროუ	3:1

გერმანია

III ბუნდესლიგა

ჰაიდენჰაიმი-კარლ ცაისი	0:0
ერფურტი-ოსნაბრიუკი	0:0
უნტერჰახინგი-ხემნიცი	3:0
ბურგჰაუზენი-შტუტგარტი A	1:1
ზააბრიუკენი-ვერდერი A	2:0
ზანდჰაუზენი-არმინია	0:0
ვეენი-დარმშტადტი	0:1

ჩეხეთის თასი

პიშეკი-ვიქტორია	2:3
სოკოლი-დუკლა	0:1
უსტი-ტეპლიცე	0:2

ლიტვა

ატლანტასი-კრუოია	1:2

ესტონეთი

ფლორა-ლევადია	0:1

არგენტინა

სან მარტინი-ტიგრე	2:1
ლანუსი-ინდეპენდიენტე	1:0

კალათბურთი

ამხანაგური მატჩები

ავსტრალია-ჩინეთი	71:43
სერბეთი-ხორვატია	71:83
ბრიტანეთი-საფრანგეთი	60:82

ჩოგბურთი

ATP. ცინცინატი

კარლოვიჩი-ფ.მაიერი	6:1, 6:3
ტიპსარევიჩი-რ. ვასელენი	6:0, 3:6, 7:6
დავიდენკო-სტახოვსკი	6:2, 7:6
ვავრინკა-გოლუბევი	6:3, 4:6, 1:6
ცონგა-ჩილიჩი	6:3, 6:4
გულბისი-დოდიგი	3:6, 6:7
იუჟნი-ლოდრა	5:7, 6:3, 6:7
ისნერი-შტეპანეკი	5:7, 7:5, 6:7
ალმაგრო-მონტანიესი	7:6, 6:4
სიმონი-მელცერი	6:7, 6:3, 7:5
ბენეტო-გარსია ლოპესი	6:3, 1:0 უარი

WTA. ცინცინატი

პეტროვა-ვინჩი	6:3, 0:6, 6:4
პავლიუჩენკოვა-პენეტა	6:2, 3:6, 3:6
ნა ლი-საფაროვა	6:3, 6:4
კირილენკო-ჟანგი	7:6, 6:3
იანკოვიჩი-ბენეშოვა	6:0, 6:3
პენგი-დულკო	6:3, 4:6, 6:4
ვიკმაიერი-იოვანოვსკი	6:3, 6:4
სტოსური-დანილიდუ	6:3, 6:1
ბარტოლი-ა.ბონდარენკო	6:1, 6:2
ს.უილიამსი-ჰრადეცკა	6:3, 7:6

● TV პროგრამა

17 აგვისტო. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. ვოლფსბურგი-ბაიერნი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტური. ბოკა ხუნიორსი-უნიონი.
16:00 ესპანეთის სუპერთასი. I მატჩი. რეალი-ბარსელონა.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ნიუკასლი-არსენალი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
22:00 პროგრამა - სპორტის ვარსკვლავები.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. ტვენტე-ალკმაარი.
01:00 ესპანეთის სუპერთასი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-რეალი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური. აიაქსი-ჰერენვეენი.
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. ჩიკაგო-ატლანტა.
14:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I წრე. ცინცინატი. აშშ.
18:20 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
18:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ცინცინატი. აშშ. მიმოხილვა.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. II წრე. ცინცინატი. აშშ (LIVE).
12:00 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. პლეი ოფი. ჩიკაგო-ატლანტა.

I არხი

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. პირველი მატჩი (LIVE).

რუსთავი 2

23:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ბაიერნი-ციურიხი. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:30 ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ოდენსე-ვილიარეალი. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ოლაინი)

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. მაკაბი (ჰ)-გენკი. პირველი მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

19:00 ATP-ის ტური. მასტერსი. III დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).
03:00 ATP-ის ტური. მასტერსი. III დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).

SPORT+

22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. პლეი ოფი. ბაიერნი-ციურიხი. პირველი მატჩი (LIVE).

EUROSPORT

19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).
02:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/2 ფინალი. კოლუმბია (LIVE).

EUROSPORT-2

11:00 ფრენბურთი. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
14:00 ცურვა. უნივერსიადა. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
16:00 მძლეოსნობა. უნივერსიადა. ჩინეთი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. ცინცინატი. აშშ (LIVE).

ფორმულა 1

შუმახერი დარჩება

მიხაელ შუმახერი

ფორმულა 1-ში გამოცხადებული ერთთვიანი არდადეგების დროს პრესაში იკლო ინფორმაციებმა „სამეფო რბოლების“ შესახებ, ამიტომაც ჟურნალისტებმა დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს სპეკულაციები **მიხაელ შუმახერის** თემაზე - თითქოს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ნაადრევად აპირებს „მერსედესთან“ კონტრაქტის განყვეტას და 2011 წლის სეზონის შემდეგ დიდი სპორტიდან ნასვლა აქვს განზრახული. გერმანელის მოქმედი ხელშეკრულება 2012 წლის ბოლომდეა ძალაში, მაგრამ პრესის ცნობით, ბოლო ორ სეზონში წარუმატებელმა გამოსვლამ შუმის კარიერის დასრულებისკენ უბიძგა.

თუმცა ამ დღეებში 42 წლის ლეგენდამ კატეგორიულად უარყო მსგავსი ვარაუდი. „მერსედესის“ მიერ ორგანიზებული აქციისას, რომელიც ავტომობილის შექმნის 125 წლისთავს მიეძღვნა, შუმახერმა „სასაცილო“ და „სულელური“ უწოდა მსგავს ჭორებს და განაცხადა: *„აუცილებლად მიხილავთ მომავალ წელს ტრასაზე. ამაში ეჭვი არ მეპარება“.*

ამასთან, მიხაელმა ფრთხილი პროგნოზი გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რა შეიძლება მოხდეს მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ. *„უნდა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რა ძალისხმევა გახდება საჭირო კარიერის გასაგრძელებლად და მომიტანს თუ არა რბოლები სიამოვნებას“*, - ამბობს შუმახერი.

გერმანელმა პილოტმა მიანიშნა იმის შესახებ, რომ ბევრი რამ სწრაფი მანქანის შექმნაში გუნდის შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული. ამავდროულად, მიხაელი რეალისტად რჩება: *„ზედმეტად თვითდაჯერებაა იმაზე ფიქრი, რომ გაისად ტიტულისთვის ვიბრძოლებთ. ამ დონემდე ჯერ ძალიან შორს ვართ და დრო გვჭირდება, რომ საჩემპიონო გუნდად ჩამოვყალიბდეთ“.*

ფაქტობრივად, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის სიტყვებს ადასტურებს „მერსედესის“ შეფი **ნორბერტ ჰაუგი**, რომელმაც გულშემატკივრებს მოუწოდა, რომ სასწაულის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

„არანაირი გარემოების მიხედვით არ გამოგვივა მეოთხედან პირველ ადგილზე ასვლა. ფორმულა 1-ში ასეთი ნახტომი გამორიცხულია“, - ამბობს ჰაუგი.

თუმცა „მერსედესის“ გულშემატკივრებისთვის კარგი ამბავი ის არის, რომ კომპანიის ინოვაციური განყოფილების ხელმძღვანელმა **თომას ვებერმა** განაცხადა, რომ მზად არის დაელოდოს წარმატებებს. *„გუნდს საჭირო დროს მივცემთ მწვერვალზე ასასვლელად“*, - განაცხადა ვებერმა.

ჰოკეი

თვითმკვლელობა?

ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი კლუბის „ვინიპეგ ჯეტსის“ მოთამაშე **რიკ რიპიენი** საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, - ამის შესახებ წერს NHL-ის ოფიციალური ვებგვერდი. პოლიციის ინფორმაციით, 27 წლის ჰოკეისტის სიკვდილი ძალადობის შედეგი არ ყოფილა. ბოლო დროს დეპრესიით გატანჯული რიპიენის გარდაცვალების მიზეზს არ აზუსტებენ.

როგორც გამოცემა Sportsrageous ვარაუდობს, რიპიენს, შესაძლოა, თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. პოლიციამ არც დაადასტურა და არც უარყო ეს ინფორმაცია.

ეს ჰოკეისტი დიდი ხანი გამოდიოდა დაბალ კანადურ ლიგებში, 2005-06 წლების სეზონში კი დებიუტი ჰქონდა „ვანკუვერ კენაქსის“ შემადგენლობაში. კარიერის განმავლობაში ფორვარდმა NHL-ში 119 მატჩი ჩაატარა და 16 ქულა (9+7) დააგროვა.

2010 წლის ოქტომბერში რიპიენი თავს დაესხა „მინესოტას“ გულშემატკივარს. ჰოკეისტი ბარიერის მიღმა ცდილობდა ქომაგის გადმოთრევას, მაგრამ მწვრთნელმა და პარტნიორებმა შეაჩერეს.

რიპიენი „ვინიპეგში“ (ყოფილი „ატლანტა“) 2011 წლის ივლისში გადავიდა. ფორვარდმა ამ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი მიხედვით მომდევნო სეზონში 700 ათასი დოლარი უნდა გამოემუშავებინა.

ამბები

კალათბურთი

ჟალგირისმა ლოუსონი გაიფორმა

ახალი სეზონისთვის სერიოზული შენაძენი აქვს ლიტვურ გრანდს, კაუნასის „ჟალგირისს“. კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმების შესახებ „დენვერის“ 23 წლის გამთამაშებელ **ტაი ლუოსონთან**. ხელშეკრულება მაშინვე გაუქმდება, როგორც კი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ლოკაუტი შეწყდება.

ლოუსონს NBA-ში 145 მატჩი აქვს ჩატარებული, რომლის დროსაც საშუალოდ 10.2 ქულა, 2.3 მოხსნა და 4.0 პასი დააგროვა.

ჩოგბურთი

აგასი ისევ დააფასეს

ძალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ხელმძღვანელი **სტეისი ალასტერი** და ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **ანდრე აგასი** „როჯერს ქაფის“ დიდების დარბაზში შეიყვანეს. ცერემონია მონრეალის მასტერსის ბოლო დღეს გაიმართა.

„სტეისი და ანდრე დაეხმარნენ ამ ტურნირს პოპულარობის მოპოვებაში. აგასი ზრდიდა მის მნიშვნელობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. რაც შეეხება ალასტერს, ის დიდი ხანი ჩვენი მამოძრავებელი ძალა იყო და ტურნირის სტატუსის ამაღლებაზე ზრუნავდა“, - განაცხადა კანადური მასტერსის დირექტორმა **კარლ ჰეილიმ**.

ფორმულა 1

ექლსტოუნი ქუინზ პარკს ყიდის

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, „თიმ ლოტუსის“ შეფი **ტონი ფერნანდესი**, შესაძლოა, ლონდონური საფეხბურთო კლუბის - „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თანამფლობელი გახდეს. სავარაუდოდ, დღეს გამოცხადდება იმის შესახებ, რომ მან აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა **ბერნი ექლსტოუნისგან** და **ფლავიო ბრიატორესგან**.

გარიგების დეტალები ჯერჯერობით უცნობია. თავის დროზე ბერნიმ განაცხადა, რომ მზად არის გაყიდოს კლუბი 100 მილიონ ფუნტად. ექლსტოუნი აქციათა 66 პროცენტის მფლობელია, ბრიატორეს კი მხოლოდ ერთი პროცენტი ეკუთვნის.

ქრივი

ქუჩიდან რინგზე

კიმბო სლაისი

ამერიკელმა მებრძოლმა **კიმბო სლაისმა**, რომელიც წლების განმავლობაში გამოდიოდა ქუჩის ბრძოლებში, პირველი შეხვედრა გამართა პროფესიულ საკრივო რინგზე. გუშინ, გვიან ღამით სლაისმა თავისი თანამემამულე **ჯეიმს უეიდი** დაამარცხა. მას ნოკაუტის მისაღწევად პირველი რაუნდის საწყისი ათი წამი დასჭირდა, - იტყობინება ინტერნეტგამოცემა Fightnews.com.

ბრძოლა ოკლაჰომას შტატის ქალაქ მაიამიში გაიმართა. ნოკაუტში მოხვედრის შემდეგ უეიდი დიდი ხანი უგონოდ იყო და საბოლოოდ დარბაზიდან საკაცით გაიყვანეს. მისთვის ეს იყო მეორე ბრძოლა კარიერაში და მეორეჯერ არ გაუმართლა.

2003-07 წლებში სლაისი (ნამდვილი სახელი - **კევინ ფერგიუსონი**) მონაწილეობდა ე. წ. ქუჩის ბრძოლებში. ეს არის არლეგალური ორთაბრძოლები, რომელთა ჩანაწერებს ინტერნეტში დებენ. სლაისი ამ ჩხუბების ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული მონაწილე იყო.

2007 წელს სლაისი შერეულ ორთაბრძოლებში (MMA) გადავიდა, სადაც ექვსი ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგანაც ოთხი მოიგო და ორჯერ დამარცხდა. გარდა ამისა, მან ორ საჩვენებელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა (ერთი მოგება და ერთი წაგება).

2010 წელს სლაისმა პროფესიული მოკრივის კარიერის დაწყება გადაწყვიტა. თავისი პირველი ოფიციალური ბრძოლა (უეიდის წინააღმდეგ) 37 წლისამ ჩაატარა. ახალ ამპლუაში მორიგ ჩხუბს ამერიკელი ამა წლის 15 ოქტომბერს გეგმავს.

გაისად დიდ ბრძოლას ვნახავთ

პრომოუტერული კომპანია Golden Boy Promotions-ის გენერალურმა დირექტორმა **რიჩარდ შეფერმა** განაცხადა, რომ საშუალო წონაში უმნიშვნელოვანესი ბრძოლა **ფლოიდ მეივეზერსა** და **ამირ ხანს** შორის 2012 წლის მეორე ნახევარში, სავარაუდოდ, ნოემბერში გაიმართება.

„ხანი დიდი ნაბიჯებით უახლოვდება მეივეზერთან ბრძოლას. თავის მხრივ, ფლოიდსაც სურს ამ ჩხუბში მონაწილეობა.

მიუხედავად ამისა, მეივეზერი ჯერ ვიქტორ ორტისის წინააღმდეგ უნდა გავიდეს რინგზე, ხანი კი, შესაძლოა, კიდევ ორ მოწინააღმდეგეს შეხვდეს და შემდეგ 2012 წლის მთავარ ბრძოლას წინ არაფერი დაუდგება. ეს იქნება გრანდიოზული მოვლენა კრივის სამყაროში“, - აღნიშნა შეფერმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ამირ ხანი

EuroBasket 2011 LITHUANIA

ყველაფერი ევრობასკეტის შესახებ

144 გვერდი

სპეციალური ხრიბელი

ევროპის ჩემპიონატი ლიეთბურთში

ლიეონდური

ჩვენი მეტოქეები

საქართველოს ნახრების ბზა

40 გამოჩვება

56 ლიეთბურთელი

76 თამაში

20 აგვისტოს!

-სთან ერთად!

ფასი: 3 ლარი.
(ლელოსთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)